

F565
1960

УДК 62-50
ББК 62.010.00

6
1960

Исследования

УДК 62-50



ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
შურნალი

საქართველოს საბჭოთა მშოღალბის
ქაზშირის აზარის ბანშოფილბის
ორბანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

6. მალაზონია—ლექსები 3
ფრ. ხალვაში—ლექსები 5
3. ლორია—უცნობის ჩანაწერები (მოთხ-
რობები) 8
ლ. გელაძე—ბუღბუღის ციხე (ბალადა) 21
შ. შუბლაძე—ლექსები 23
ზ. გორბილაძე—ლექსები 25
ი. შავეიშვილი—ქალაღდის ყვავილები
(მოთხრობა) 27
6. შამანაძე—საქართველოში იმგვარი
მზეა... (ლექსი) 29
დ. ჯინჯინაძე—აკაცია (ლექსი) 40
ა. კოფშტინი—ლექსები აჭარაზე (თარ-
გმანი თ. ჯანგულაშვილისა
და ე. ქურდიანისა) 41
3. ბრიუსოვი—ლექსები (თარგმანი გ.
სალუქვაძისა) 43

1840 აპრილი 1960

3. აბაშიძე—აკაკი და აჭარა 45
დ. ნაცვალაძე—აკაკი ბათუმში 48
ბ. შიძოძე—აკაკი წერეთელი და ძველი
ქართული ლიტერატურა 52
კ. დონაძე—რომანტიკული სტილი აკაკის
შემოქმედებაში 57
შ. ძუბრიძე—აკაკი წერეთელი და ქარ-
თული ქალი 60
კრიტიკა და პუბლიცისტიკა
ლ. აბაშიძე—მხატვრული სახის ბუნების
შესახებ 67
ი. დიასამიძე—აჭარის კურორტები მემ-
დინარე შვიდწლედში 71

ა ზ ა რ ი ს ს ა ხ ე ლ მ ფ ი ფ ო ზ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა



ლიტერატურული კალენდარი

- ნ. ღუმბაძე—დიდი ხალხის დიდი მწე-
რალი 74
გრ. ბაბილძე—დიდი ქართველი პედა-
გოგი 79

ხელოვნება

- ე. დავითაია—„როცა ასეთი სიუვარუ-
ლია“ 82

აჭარის წარსულიდან

- პ. ცჳვიტარია—სახელოვანი ბრძოლის
ისტორიიდან 86

კუბლიკაცია

- ფრანგი ორიენტალისტი
ბათუმის შესახებ 89

წიგნის თარო

- მ. ჯიჯეიშვილი—აჭარის ასსრ სახელ-
მწიფო მუზეუმის შრომები 93
პ. ხმალაძე—პატრიოტული ლექსები . . 94



რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პმგ მდივანი),
აღ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

ნესვორ მაღაზონია

ამხანაგი და მეგობარი მყავს

ჩემი ცხოვრების ბილიკს მივყვები,
არ ვიცი
სად და ვისთან გამოიყვანს,
მაგრამ ეს ვიცი —
ყველგან მიმღები
ამხანაგი და მეგობარი მყავს.
ჩემია მიწა,
მთა და ბორცვები,
ბაღი,
ვაკეს რომ ფარავს ნარიყალს,
ყველგან ნანატრი და ნაოცნები
ამხანაგი და მეგობარი მყავს.
ამ ქვეყნის ეშხი ვის არ დაატკობს,
და თუ მისი ცა ღრუბელს გადიკრავს,
ვერც მაშინ მნახავთ ეულს და მარტოს —
იმდენი ძმა და მეგობარი მყავს.
მე ეს იმედი თან დამყოლია:
თუ ოკეანე გაღმა გამრიყავს,
თვით ბროდვეიზე, ასე მგონია,
ვიღაც უცნობი მეგობარი მყავს.
ნუ ჩათვლით თავის ქებად და კვეხნად —
ერთი ზედმეტი სიტყვაც არ მიყვარს.
წელგამართული დავალ ამ ქვეყნად:
ყველგან ძმა მყავს და
მეგობარი მყავს!

მღინარესთან

მთიდან ჩამორბის ზათქით,
ხმაურით,

აცოცხლებს ტყეებს,
მინდორს და ჭალას.

ყანებს ჩაუვლის,
ბაღებს ჩაუვლის,
ფესვებში უდგამს სიცოცხლის
ძალას.
მერე ქალაქთან,
სოფლის განაპირ,
დაეჭახება კაშხალს და მრღებს...
და ნათურების მწყობრი ბანაკი

სოფლად სინათლეს შეარბენს
ოი, მდინარევ!
შენი ეს შემშურს...
თავს ბედნიერად ჩაეთვლიდი,
თუკი
მშობელი ქვეყნის დიდ სინათლეში
ჩემიც ინათებს პატარა შუქი.

ტ ვ ი ნ ი დ ა გ უ ლ ი

ამბობენ:
მოკვდა ლირიკა,
ყავლი გავიდა ლექსისო;
რადგან ცას იპყრობს ფიზიკა,
ის ლირიკასაც შეცვლისო.

ტვინს გული არ შეუცვლია, —
არ არის და არც იქნება.
რის თქმაც ტვინს არ შეუძლია,
გულით უნდა თქვან რითმებმა.

დ რ მ

წამი რა არის,
წელი რა არის,
როცა სიცოცხლით სავსეა თასი!
მაგრამ ლოდინი გრძელი არ არის,

არც გამოცანა ძნელი არ არის —
დროს სიკვდილის წინ ეძლევა
ფასი,
სიკვდილმა იცის სიცოცხლის
ფასი!

უ ჩ ი ნ მ ო ნ ი

მე წავიკითხე ისტორიის ბევრი ფურცელი —
მაკედონელიც,
ბონაპარტეც,
პეტრეც,
თამარიც...
და ყველგან ასე, ამ რჩეულთა სია უცვლელი,
მაგრამ უჩინო შემოქმედი არსად არ არის.
ვისი სახელიც ისტორიას არ შეუნახავს,
ვინაც სამშობლოს სიყვარულში კრაქივით
ჩაქრა,
ვინაც ქვეყანას გვირგვინებით არ დაუმარხავს,
რადგან წარსულმა ავბედითმა ქანგივით დახრა
და ვერ მოესწრო ჩვენი ქვეყნის ნათელ
ალიონს, —
დღეს მე იმათი სადღეგრძელო მინდა
დავლიო!



შკიღონ ხაღვაში

ა ტ ლ ა ნ ტ ი კ ა ზ ე

მივილტვი, მიკვირს და მიხარია...
ცა განთიადის ცეცხლში დაიწვა.
მგონია ერთი ზომის არიან
წვეთი, ფოთოლი და ღედამიწა.
ფრთებს დაყინვია ღამის ცვარ-ნამი,
მღერის ხომალდი ცაში მცურავი.
ქვეშ — დანგრეული ღრუბლის
კარავი.

ზემოთ ლაყვარდის ჩანს სახურავი.
ჩანს სივრცეები, როგორც
ზღაპარი,

ცივი, საშიში და შორებელი.
წამოგვეწია მზე კვლავ მაღალი,
ნაცნობი, როგორც დედა მშობელი.
და შეიღება ყვითლად სარკმლები
და ოკეანედ იქცა სინათლე.
ქვეშ კი, აქედან ვხედავ გარკვევით,

ღრუბლები შავად წამოიმართნენ.
ძირს ოკეანე ბნელმა შემოსა,
რომ დაემუქროს გემებს
ქარიშხლით.

აქ, თვითმფრინავში,
საქართველოზე
ამბავს ვუყვები მე შეედ
ქალიშვილს.

არც ბავშვი არის და არც ხნოვანი,
ლიმილი თბილად ჟონავს სულამდი.
შევყურებ, — ჩემგან ნასახსოვარი
მკერდზე უელავს შოთას სურათი.
მივილტვი, მიყვარს და მიხარია...
ცა განთიადის ცეცხლში დაიწვა.
მგონია ერთი ზომის არიან
წვეთი, ფოთოლი და ღედამიწა.
23. 8. 60 წ.

ბ რ ლ დ ვ ე ი

აქ თითო სხივი ღირს მილიონი,
აქ თბილი ვერცხლით ჰავა ცხელდება.
გარედან თითქოს არის იოლი,
შეხვალ და ყოფნა გაგიძნელდება.
სახლებზე ელვის ტალღა გადივლის,
ცამ თითქოს ცეცხლის ფრთები. შეისხა.
იშლება შუშა და საათივით

წვრილად წკრიალებს ქალთა ფეხის ხმა.
არ ვიცი, რამედ ღირს, თუ არა ღირს,
მაგრამ მე ვხედავ — ცეცხლი ღამაზე
ცათამბეჯენიდან მიწას დასაძახის:
— მომეცი სული, მომეცი აზრი.
კარები არის ძალიან ვიწრო.
გამოვა კაცი და ხელს მიმიშვერს,

რომ შიგ შევიდე და, თუ არ ვიცნობ,
ფულზე ვიხილო ტურფა სიშიშვლე.
გახედავ, არ გრძნობს ვითომ არავინ,
რომ სხვისთვის ოქროს ქმნიან მონები,
რადგან ყველაფერს ყვითლად ფარავენ
ბროდვეის მღვრიე ლამპიონები.
ჩაეღალ, ჩაივლი კიბეს დაობილს,

მიმეჩქარება, ველარ ვეტივი.
მინდა დაებრუნდე, საღაც და
ფიზიკოსები და პოეტები.
მინდა დაებრუნდე, რომ მზის წამალი
მასხურო, ხეო, მამის დარგულო,
რომ ყოველ შემხვდურს ვუთხრა სალამი
და ყველა კარზე დავაკაკუნო.

სიზვარული მიჩიგანის ტბასთან

ტბა მიჩიგანის
სანაპირო კორდზე,
შინდისფერ მანქანაში
ჩახუტებული, გაჩუმებული
იჯდა ქალ-ვაჟი.
აღბათ, უყვარდათ ერთმანეთი,
მიტომ დაავიწყდათ ყველა
საუბარი.

გვიკვირდა: ნუთუ
ვერ მონახეს
სადმე სხვა უბანი?
მაგრამ დაისი მეწამული
ტბის სარკეში ისე იცვლება,
იტყვი: მართლაც და სიყვარული
აქ შეიძლება.
მერე მოგვწყურდა.
ფარდულებში შევედით,

შევსვით...
წინ ჩაიარა მებადურმა
მცირედი თევზით.
მოშორებით შეჩერდა,
თევზი დაყარა,
მივარდა მანქანას...
ისე გადირიო, რომ ის ველარავინ
დააკავა.
გამრათრია ვაჟი გარეთ
და წინ გაიგდო
ერთი ყვირილით,
მიაბიჯებდა გაფოფრილი ბიჭი
გმირივით.
მიჩიგანის ტბა
ელვარებდა სალამოში,
ვით მინანქარი.
სანაპიროზე სხვას ელოდა
ქალი მანქანით.

ნაბგარას კენჭები

აქ წყლის ხანძარი გუგუნებს კლდეზე,
ჩანჩქერებს ასდის მოთეთრო კვამლი
და გეგონება, აუკეთესებ
სიცოცხლეს წყალთან უბრალო გავლით.

გავგიგონია და მაინც თურმე
ბევრი რამ ჩვენთვის უცნობი არის.
ეჰ, რა კარგია, შეგეძლოს მსურველს
გაიცნო სახე ყოველი მხარის...

თორემ მე ახლა, რაც უნდა ვხატო
ლამით როგორი ჩანს ნიაგარა,
არ შემიძლია სრული გაცხადო
შენთვის აქ ყოფნის წუთიც პატარა.

მაინც ეს ღამე რომ დიდხანს შემრჩეს,
ხავსიან ქვათა ნატეხებს ვარჩევ.
თუ ნიაგარის მოგიტან კენჭებს,
მგონია ამით გაჩვენებ ჩანჩქერს.

„მთების იმედი“

ინდიელს ერქვა „მთების იმედი“,
მაგრამ ჩაჰკეტეს ცათამბჯენებში
და გაწვეტილი სულის სიმებით
იმედისათვის გიცქერს ხელებში.

ის მაღალია, ისე მაღალი,
რომ თვით სახლები ჩანან
დაბლები,
მაგრამ სიმდიდრემ სხვისმა დაღალა
და დაამწუხრა მისი ამბები.



პაკიან ღოკია

უცნობის ჩანაწერები

რვეული, საიდანაც აქ მოთხრობილი ამბები ამოვწერე, უცნობ ავტორს ეკუთვნის. მე იგი მატარებელში ვიპოვე, მივიკითხე-მოვიკითხე და, რაკი პატრონი არ აღმოჩნდა, თან წამოვიღე.

რვეული საკმაოდ სქელია და თავიდან ბოლომდე ჩანაწერებით სავსე. აქლია თავფურცელი, რომელზეც, შეიძლება, ავტორის ვინაობა ეწერა.

ზოგიერთი ადამიანი სახელგანთქმული მწერლის ნაწარმოებს არ წაიკითხავს ისე გატაცებით, როგორაც შემთხვევით ხელში ჩავარდნილ სხვის დღიურებსა და პირად ბარათებს. სათაკილოა ასეთი საქციელი, მაგრამ ცდუნება დიდაა და, მაპატიეთ, მეც შევცოდე.

რვეულში ოცამდე მოთხრობა და ნოველაა. ყველა მათგანი დასრულებული არ არის და ესკიზების შთაბეჭდილებას ტოვებს. რვეულში ჩაწერილია ანეგდოტური ამბები, აფორიზმები და ნაკვესებიც, რომლებიც თავისთავად დიდ ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ ინტერესმოკლებულიც არ არიან.

ვერ ვიტყვი, ამ რვეულის პატრონი თვითონ არის-მეთქი ამ მოთხრობების ავტორი. შეიძლება გადმოიწერა, მაგრამ ვინაიდან გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა შორის ეს მოთხრობები არ შემხვედრია, გადავწყვიტე გამოვაქვეყნო ზოგი მათგანი.

თუ რვეულის პატრონი, ან ცალკეული მოთხრობების ავტორი გამოჩნდება, მე მზადა ვარ ვცნო მისი უფლებები.

მოქალაქე პირველ ყოვლისა

დედა...

თქვენ გაყავთ დედა?

ბედნიერი კაცი ყოფილხარ. მე არც დედა მყავს, არც მამა, აღარც და-ძმა და ნათესავი.

ცა. დიახ, ობოლი ვარ, მაგრამ არა ისეთი, მშობლები რომ ჰყავდა და დაეხმოდნენ.

არა, ზეციდან მოფრენილიც არა ვარ...

არც შეცოდებული ქალწულის მიერ მოძულებული და მიგდებული.

გეთანხმებით, უთუოდ საკვირველია... მაგრამ არ იფიქროთ, რომ არ გამოეცადოს მშობლებისა და ძმების სიყვარული!

რასაკვირველია, მყავდა დედა, რომლის კალთაში თავმიდებულს ბევრი ტკბილი წუთი განმიცდია, მრავალჯერ მიგრძენია მისი ალერსის სიამე. მამა ხომ უკეთილშობილესი ადამიანი იყო. ძალიან მიყვარდა და მეც გაგიჟებით ვუყვარდი. ოჯახის დამამშვენებელი ქალიშვილი მეზრდებო, იტყოდა ხოლმე ჩემზე.

დაი არა, ძმები კი მყავდა. ერთი ჩემზე უფროსი, მეორე — უმცროსი.

ახლა? არავინ აღარ მყავს...

თუ მოსმენას არ დაიზარებთ, მოგიყვებით.

მამა რომ გარდაიცვალა, მოსწავლე გოგონა ვიყავი... მძიმედ განვიცადე მისი დაკარგვა. თვეობით ვერ შევიშრე ცრემლი. კვირაში ორ-სამჯერ მივაკითხავდი მის საფლავს და ვარდ-ყვავილებით ვამკობდი.

მერე, იცით, როგორი გლოვა იცის გოგონამ?! მისი თვალებიდან დადვრილ ცრემლზე უსპეტაქესი დილის ნამიცი კი არ არის. მამას ქალიშვილზე ტკბილად და გულმდუღარედ ვერავინ დაიტირებს! ზოგი ვაჟკაცი ლოდქვეშ მდებარე მამის ბედს დაინატრებს, საფლავზე დამხობილი ქალიშვილის გულამოსკვნილ ქეითინს რომ გაიგონებს...

უფროსი ძმა მედგა ამ დროს იმედად. ის იყო ჩემი მწუხარების ყველაზე გულწრფელი მონაწილე და თანამგრძნობი. მას მე ვუმტყუნებდი დარდით გატაცებას, ის მე მიწუნებდა მოჭარბებულ ტირილს და გლოვას.

თქვენ. გაყავთ, ძმა?

მაშ გეცოდინებათ, რა ძვირფასია ძმის იმედიანი შემოძახება.

დედა? დედა ხომ ყოველგვარი სიკეთის, სიმშვიდისა და სათნოების სიმბოლოა. მასზე უტკბესი და უნეტარესი ადამიანს არა გააჩნია რა. ამიტომაც არის ხოლმე ყოველ ჭირსა და ლწინში დედას ახსენებს კაცი.

დედაო, ვამბობ და გული მიკვდება, რომ ეს სახელი სულიერ მყუდროებას შიორღვევს და სიამის ნაცვლად შხამითა და ნაღველით მავსებს.

დედაო, ვამბობ და ცეცხლით ვიწვი. დედა, ვამბობ და ვწუხვარ, რომ ერთ დროს მე იგი უკეთურად მოვისხსენიე და ღღემდე ვერ შევქელი მისი მონანიება... მაგრამ ოდესმე ვითომ მოვისურვებ ბოდის თქმასა და მონანიებას?

მე მომავალი დედა ვარ და, თუ ვერ ავცდები ისეთ ცდუნებას, დაე უარე-
სი მერგოს ჩემი ძისა თუ ასულისაგან.

მხოლოდ შენ გიმხელ. გიმხელ იმიტომ, რომ შენზე უკეთესი მეგობარი
მეორე არა მყავს და კიდევ იმიტომაც, რომ ძალიან მიძნელდება ამ მძიმე ტვი-
რთის მართო ტარება.

ერთ საღამოს სარკმელთან ვიჯექ თვალცრემლიანი. შევევბრალე თუ საკუ-
თარი სევდის გამხელა მოესურვა, მოვიდა დედა, გვერდით მომიჯდა და მშობ-
ლიური აღერსიანი ხელი თავზე დამადო.

— დიდი იმედი დავკარგეთ, შვილო, — ცრემლმორეული ამბობს დედა.
— მაგრამ ცრემლებით საქმეს ვერ ვარგებთ. მე ცოლი ვარ და არ დამშვენდება
სხვაგვარად მოქცევა, მაგრამ შენ...

— დამეძრახვის, რომ ჩემი მამიკოს საფლავი ცრემლით დავენამო?

— ყველაფერში ზომიერებაა, შვილო, საჭირო. — ამბობს დედა და მიკ-
ვირს, რად არის ჩემი ნაღველისადმი ასე გულგრილი.

— არა, მე ვერასოდეს ვერ დავივიწყებ ჩემი მამიკოს ძვირფას სახელს.
ჩემი ცრემლები მუდამ უნდა სდიოდეს მისი ამაგის გადასახელად.

ყელში ბურთივით მომადგა სიტყვა და აეჭვითინდი.

— ჰო, მართალი ხარ. შეიღს მეტი მართება მშობლების მიმართ... მაგ-
რამ... — ხელი მომხვია, ცრემლი მომწმინდა და თვალებში ჩამხედა. — ბავშვი
არა ხარ, მალე სრულწლოვანი ქალი გახდები... ყველაფერს შეგნებულად უნ-
და შეხედო... — კარგახანს მელერსა... — ჰო, მე შენ ერთი რამ უნდა გითხ-
რა... აქამდე უნდა მეთქვა. მაგრამ... ხოლო რასაც გეტყვი... — მიიხედ-მოიხე-
და, თითქოს ეშინია არავინ გაიგონოსო. — საიდუმლოდ შეინახე.

— დედა! — რაღაც უბედურების მოახლოება ვიგრძენი.

— ნუ გაიკვირებ. ცხოვრებაში უარესიც არის მოსალოდნელი. ყური მიგ-
დე და...

— დედა, ნუთუ ისეთი რამ უნდა მითხრა, რომ წინასწარ მომზადება სა-
ჭირო?

— არც ისეთი, მაგრამ... — დედა წუთით დადუმდა.

ნეტავი ამ დროს მიწა გამსკდარიყო და შიგ ჩავეტანე, ან მას დაბმოდა ენა
და ქვად ქცეულიყო...

მაგრამ ასე არ მოხდა. არც მას დაბმია ენა, არც დედამიწა გამსკდარა.

მან თქვა და მე მოვისმინე...

რომ ის ალალი მამა არ იყო ჩემი...

— დღემდე დავფარე, მაგრამ... მეც დამიანი ვარ, როდემდე უნდა ვატა-
რო ფარულად ასეთი ცოდვა და დანაშაული?!

— ნეტავი ახლაც არ დაგცდენოდა! — თავზე ვიტაცე ხელი.

— შეიძლება აჯობებდა, მაგრამ შენ ხომ უნდა იცოდე...

— არა, არ მითხრა. — პირზე ავფარე ხელი. — მე არ მყოლია და არც
მეყოლება შენს გარდა სხვა მშობელი. შენს თავს ვერც ერთი ქალი ვერ წამარ-
თმევს. რაც უნდა მითხრა, მე მაინც ვიტყვი, რომ შენი ალალი შეილი ვარ და
ამ ოჯახის...

ახლა უფრო მაგრად ჩამიკრა დედამ გულში.

— სულელი! ჩემზე ვერავინ შეგეცილება, შვილო. მე რომ დედა ვარ და

შენ ჩემი ალალი შვილი, ამას შენი უფროსი ძმაც დაგიმომწმებს; მაგრამ...

— დედა! — კი არ ვიყვირე, ვიკივლე, მაგრამ მან პირზე დამადო ხელი ხმა ჩამიხშო.

— არ გასურს იცოდე ვისი შვილი ხარ? — ცოტათი რომ დავმშვიდდი, შე-
მეკითხა დედა.

— წყეულო! — და ისეთი სახელი ეუწოდე, ყოვლად ზნედაცემულსა და
გარყვნილ ღიაცსაც კი შეაშფოთებდა.

მან ხელი მკრა. მე იატაკზე დავეცი და ავკვითინდი.

რას აცემებდა ამ დროს ის ქალი, რომელსაც დღემდე დედას ვეძახდი, სი-
ნიდის-ნამუსით სავსე და სათნო მეგონა, ეს არ ვიცი, მაგრამ მე მას ვხედავდი
ჩვენი ოჯახის ახლო მეგობრის გვერდით, სახეგაბადრულსა და აელვარებულს.
იმ კაცის ნახვით მოლხენილსა და გასხივოსნებულს. მეც მიხაროდა ერთ დროს
იმ ძიას მოსვლა. მუდამ საჩუქრები და ტკბილეული მოჰქონდა ჩემთვის. მამა-
ჩემი კეთილ მეგობრად თვლიდა და გაღიმებული ეგებებოდა. ჩვენს მახლობ-
ლად პატარა სავაჭრო ჰქონდა და შეძლებული კაცის სახელით იცნობდნენ. დღეს
რალაც ბნელ საქმეს ჩასჭიდებია და თავს კარგად გრძნობს.

არა, მის სახელს არ ვახსენებ. ვერ შეურაცხვეთ ჩემი აღმზრდელი კეთი-
ლი მამის წმიდათა-წმიდას. ჩემი უფროსი ძმის სიყვარული დამიბამს ენას...
საბრალო ბიჭი, ის აღრიდანვე ამჩნევდა, ალბათ, რომ ისე სძაგდა ის გაიძვე-
რა...

— დამშვიდდი, გოგო! — კარგა ხნის შემდეგ მიბრძანა დედამ. — მე მშო-
ბელი ვარ და ჩემი ვალია შვილებზე ზრუნვა. მე შენი ბედი მაწუხებს ყველაზე
უფრო. ის შეძლებული კაცია, ძალ-ღონე ერჩის. სურვილი აქვს გიპატრონოს
და დაგეხმაროს. თუ შენ კერპობას არ გამოიჩენ...

— გამშორდი, მრუშ...

დმერთო, რა წამცდა! ვინ იცის, როგორ გამასამართლებს ამ სიტყვისათ-
ვის ჩემი თაობა, რა მძიმე სასჯელს მომაკუთვნებს საზოგადოება... მაგრამ მე
შაინც ვიტყვი, რომ ასეთი ღიაცი ღირსია უფრო შხამიანად დაგესლებისა და
დაღუბნების. მან ჩირქი მოსცხო ყველა დედის უმანკო სახელს.

— გონს მოდი, შვილო...


— იქით! შორს ჩემგან! არ მინდა თქვენი შველა და დახმარება, არც მისი
ქონება და შეძლებულობა. წაიღეთ, რაც მაქვს და რაც მაბადია. მე ჩემი მამიკოს
ნაქონ ფარაჯაში გამოვეხვევი, ისე ჭივლი მის საფლავზე და დავითრიებ. შევ-
ჩივლებ, რომ შენ გამძარცვე, წამართვი ყველა ქონებაზე უძვირფასესი, რომ
არავინ არ შემარჩინე, ძვირფასი მამის საფლავი შემიგინე, ძმები გამომტაცე
და გულზე მომწყვიტე, დამტოვე ობლად, ისეთ ობლად, რომლის მსგავსად ამ
ქვეყნად არავინ დაობლებულა. მითხარი, დედათა შორის თავლაფდასხმულო,
ვინა ვარ მე და ვინა მყავს ჩემიანი და ნათესავი?!

— გეყოფა! მეტისმეტ უფლებას აძლევ თავისთავს! — შემომყვირა დედამ
და მოქნეული ხელი სახეში გამარტყა.

ნეტავი ათასჯერ გაერთყა ჩემთვის, ჯვარზე გავეკარ და ვეწამებინე, მაგრამ
პატიოსანი დედის სახელი არ გაეტეხა.

ლოყაზე ტკივილი არ მიგრძვნიდა, გული კი...

— შენს გარდა არავინ გაიფოს, თორემ... — მრისხანე თვალები დამიბრია-
ლა და განმერიდა.



საზიზღარო, წყეულო! ვის უნდა ვუთხრა, ვის უნდა შევჩვიო? საზიზღრობას ვერავის ვეტყვი. ჩემი კეთილი მამიკოს საფლავზეც ვერ დავსვენებ. როგორ შევკადრო იმ კდემამოსილს, რომ მას დასცინოდნენ და დალატობდნენ. დაე ჩაიწვას და ჩაიფერფლოს ჩემში ეს საიდუმლო.

შენ კი... უგუნურო დიაცო, თუ აწყვეტილი გრძნობის დაოცება ვერ შეძელდა უღალატე ოჯახს და ქმარ-შვილს, დღეს რად ვერ დაადგი ენას კბილი, რად არ დამუწხდი, ქვად რად არ იქმეც? წყეული იყავ უკუნიითი უკუნისამდე.

მან ვერ გაუძლო ამდენ გმობასა და წყევლას, მონანებაც არ მოისურვა და იქვე ჩაიკეცა.

შეიგნო დანაშაულის სიმძიმე თუ ითვალთმაქცა, არ ვიცი, მაგრამ ის კი მჯერა, რომ ასეთი დედები იშვიათია და სწორედ ეს არის ბედნიერება.

დედა, დედაო ტკბილო! იძახიან ჩემი ტოლები და გული მწყდება, რომ მე მათ შორის არ ვურევევარ.

სუსხიანი ღამე. 1926 წ.

პ ა ტ კ ა მ ბ ა

ბრეზენტგადაფარებულ მანქანაში ბლომად ვისხედით. მეტწილად დედაკაცები და ბავშვები. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალიშვილი გვერია და ორი უმცროსი კაცი.

ქალიშვილი საკმაოდ ეშხიანი და მიმზიდველი ჩანდა და ყურადღებას იპყრობდა. განსაკუთრებით ჩემს გვერდით მოთავსებული ჭაბუკი ვერ ისვენებდა. იგი ახოვანი ვაჟკაცი ჩანდა. ჯარიდან ახალდაბრუნებულს ჯერ კიდევ შერწენოდა სამხედრო ხალათი და ფარაჯა. ოდნავ ნასვამი იყო და ამიტომ ზედმეტად თამამიც.

მეორე — ახალგაზრდა ვაჟი, ხაკისფერი კოსტუმი რომ ეცვა; მოშორებით იჯდა, ჩვენგან ზურგშექცევით და დაჟინებით გაჰყურებდა შარას.

სამამულო ომი ახალდამთავრებული იყო და ვინ დაკარგულ შვილს იგონებდა, ვინ ქმარსა თუ ძმას. ფარაჯიანი ახალგაზრდა ხშირად ერეოდა ლაპარაკში, თავის საგმირო საქმეს გაიხსენებდა, ზოგიერთ ლაჩარს შეუტურობებდა და ყველაზე ქალიშვილს გაელაზლანდარებოდა.

ქალიშვილმა ერთ-ორჯერ გასცა პასუხი ჭირვეულ თანამგზავს, კეთილად გაელაპარაკა, მაგრამ გათამამებულმა ახალგაზრდამ გადაჭარბება რომ მოინდომა, გოგონამ პირი იბრუნა და ხმა აღარ ამოუღია.

— აი დედასა! — ამაყად ასწია თავი ახალგაზრდამ. — მე იქ ქვეყნის გადამსარჩენად სისხლს ვღვრიდი, აქ კი...

— დიდხანს იბრძოდი, შვილო? — გამოეხმაურა ერთი შავებიანი დედაკაცი ჭაბუკს.

— ბერლინის აღებამდე. მაშ, ისე ხომ არ გგონიათ, ზოგიერთი აქ რომ აფარებდა თავს. ვიბრძოდი, სისხლს ვღვრიდი, სამშობლოს ვიცავდი. აი, ნახეთ. — მარცხენა ხელი ასწია და ორი მოკვეთილი თითი გამოაჩინა. — ამის გამო რომელიმე ქალიშვილმა იქნებ კიდევაც დამიწუნოს, მაგრამ... — ხაკისფერ-კოსტუმიანი ახალგაზრდისაკენ მიიხედა. — ზოგიერთ შინგამომცხვარ ყმა-შვილს მაინც ვაჯობებ.

— მაგით ვინ დაგიწუნებს, შვილო.

— ნეტავი ცოცხალი დამბრუნებოდა და არც ერთი თითი არ მოჰყოლოდა! — ერთმანეთს აყენენ დედაკაცები.

მანქანა ერთ სოფელში, სასაუზმის ახლოს გაჩერდა. ვინ გადმოვიდა, ვინ მანქანაშივე გაშალა საგზალი და წაისაუზმა, ვინ კიდევ ჩემსავით მიენდო თავის ფიქრებს და გაირინდა.

ფარაჯიანი ახალგაზრდა ყველაზე ადრე ჩავიდა, მაგრამ ყველაზე ბოლოს ამოვიდა და ამოჩემებული ქალიშვილის გვერდით ჩამოჯდომა მოიწადინა.

— ცოტა წესიერად მოიქცეით, ყმაწვილო. — მკვახედ ახედა ქალიშვილმა.

— რაო, მაშ მე უწესოდ ვიქცევი? — ახლა უფრო აუწია ახალგაზრდამ ხმას. ეტყობოდა, რამდენიმე ჭიქა არაყით კიდევ უფრო აემიღლებინა გაწყობილება.

ქალიშვილი ადგა და ხაკისფერკოსტუმიან ახალგაზრდას გვერდით მიუჯდა.

— აუ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, გამირბიხარ, გოგო? — და ფარაჯიანი ქალიშვილისაკენ წაიწია. — შენ რომ ჩემი ვაჟკაცობა იცოდე...

— გეყოფა, ამხანაგო! — იწყინა კოსტუმიანმა ახალგაზრდამ. — თუ გიომნია და ვაჟკაცობა გამოგიჩენია, კარგი საქმეა, მაგრამ ახლა რად უნდა იქცევოდეს ასე?

— ეს ვინაა!? — ახლა ახალგაზრდისაკენ მიმართა ცეცხლი ყოფილმა ფრონტელმა. — გეტყობა, როგორი ვაჟკაციცა ხარ. ალბათ, სოროში აფარებდი იმ დროს თავს. — შემკრთალ ქალიშვილს მიუბრუნდა. — რას მიბღვერ, გოგო? მაგაზე ნაკლები ბიჭი ვარ? — და ხელი უნდა წაეწყო, მაგრამ ქალმა შეჰკივლა და წამოვარდა.

— რა ამბავია?! — იუვირა კოსტუმიანმა ახალგაზრდამ, არ მობრუნებულა, ისე გაშალა ხელები.

მგზავრები შეეცადნენ დაემშვიდებინათ ყოფილი ფრონტელი. მაგრამ იგი თანდათან შმაგდებოდა, ვაჟკაცობას იკეცნიდა და უცნობისაკენ მიიწევდა.

— ეს ვილასი ქომაგია, მე მაგის... — მაგრამ კბილებმა მიუსწრეს ენას და ჩაკეტეს, თუმცა მის მკლავებს ბორკილი ვერ დაადეს და...

მიიჭრა კოსტუმიან ახალგაზრდასთან, საყელოში უნდა ჩაეწყო ხელი, მაგრამ უცნობმა დაასწრო, მაგაზე მოავლო მარჯვენა და ისე მაგრად მიუგრინა, რომ ფარაჯიანი სიმწრისაგან მუხლებზე დაეშვა.

— ასე არ უნდა! — აღრიალდა ის ხელის გათავისუფლების შემდეგ, წამოიმართა და მოპირდაპირეს სახეში გაარტყა.

დედაკაციები აკივლდნენ, მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა. აყალ-მაყალის მიზეზი ქალიშვილი გალახულ ვაჟთან მიიჭრა და ყელზე ჩამოეკიდა.

— ვინა ხარ მაინც, შემეძლოს შენი შეხედვა. — ამოიგმინა გალახულმა ახალგაზრდამ და აქამდე ზურგშემოქცევით მჯდომი მხოლოდ ახლა შემობრუნდა მთელი ტანით.

ყველამ დაინახა მის მკერდზე ოქროს ვარსკვლავი.

— დამშვიდდი, ძამიკო, დამშვიდდი შემოგველე. — ცრემლმორეულ მოეხვია მას ქალიშვილი. — ასეთ ადამიანს ვაჟკაცი შემოკრავს? — ანთებული თვალებით შეხედა მან მგზავრების მიერ გაკელებულ ყოფილ ფრონტელს.

ფარაჯიანი, ალბათ, კიდევ შეეცდებოდა ვაჟკაცობის გამოჩენას, მაგრამ როცა უცნობი ახალგაზრდის თეთრი გარსით მოცულ უსიცოცხლო თვალებს შეეფეთა, გაშეშდა და ხელები ჩამოუცვივდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაპატიო იქნებ, ძამია, იქნებ შემინდო... — ძლივს გასაგონი ამოილაპარაკა ფარაჯიანმა. — ღირსი ვარ გაკიცხვისა და სასტიკად დასჯის. — დაუმატა მან, მუხლებზე დაეშვა და აქვითინდა.

„რამდენი ვაჟკაცობა ჩაუდენია და“... — ფიქრობდნენ მგზავრები გულში, როცა ამ სურათს ხედავდნენ.

მე კი მგონია, ყველაზე დიდი ვაჟკაცობა, რომელიც ამ ახალგაზრდას ღმრთისმად ჩაუდენია, მისი ეს უკანასკნელი საქციელი იყო.

მწერალ გ. ნ. ძეს

დიდად პატიცემულო მწერალო!

აი, ეს არის დავამთავრე თქვენი რომანის „უფერული დღეების“ კითხვა და სასაფლაოდან დაბრუნებული ჭირისუფლის გუნებაზე დავდექი.

გაგივლიათ სასაფლაოზე, მაისის თვეში, როცა ახალ სამოსში მორთული ზუნება კეკლუცობს და ლალობს? როცა ფრთხილად ბუზბუზივით ერთი ბუჩქიდან მეწყვეტილ სტვენას მეორეზე აგრძელებს და მიძინებულთა სავანეს ესალბუნება? ან თუ ყოფილხართ ამ ადგილას შემოდგომის მიწურულში, როცა სამარის მსგავს მყუდროებას ხეებიდან დაცვნილი ყვითელი ფოთლების შარბი-შური არღვევს?

ლამაზი იდილიაა, არა?

ახლა ჩაიარეთ ხეივანებში, დაათვალიერეთ ძვირფასი ძეგლები და ქანდაკებები, ნახეთ მარმარილოსა და გრანიტის ჩუქურთმები და ორნამენტები, რომლებიც აქ განსვენებულთა უკანასკნელ სახსოვრად დაუდგამთ ჭირისუფალთ. წაიკითხეთ ოქროს ასოებით ამოგვირისტებული ეპიტაფიები. ბევრია მათში ულაზათოდ და უშნოდ თქმული, თუმცა ადამიანის გრძნობებზე მაინც მოქმედებს. მაგრამ უფრო ბევრი იმდენად გამართული და სრულყოფილია როგორც შინაარსობრივად, ისე მხატვრულად, რომ, ალბათ, ავტორი ნანობს, რომ მიწი ენიაობა არავინ იცის.

ჩემზე ცუდად მოქმედებს მიცვალებულთა სამყაროს დათვალიერება. როგორი ლამაზი და შემოკბილიც არ უნდა იყოს იგი, მაინც არ მსიამოვნებს მისი სიახლოვე.

ბევრი ვიტყვით თქვენი რომანის კითხვისას, ცრემლი ვდვარე. ეს უთუოდ თქვენი ნიჭის გამარჯვებაა. ძლიერი მხატვარი ყოფილხართ...

ცრემლი აღინოს მკითხველს — ეს თუ მწერლის გამარჯვებაა, — მომილოცნია. ზეიმი გამრთებთ. მაგრამ მე უცნაური ვარ და ამ საკითხში სულ სხვა აზრი მაქვს...

მაპატიეთ!

სტუდენტობის დროს სამი გოგონა ვცხოვრობდით ერთ ოთახში. ერთმანეთისაგან მკვეთრად განვსხვავდებოდით როგორც გარეგნულად, ისე ხასიათითაც. ერთი მეტად დინჯი, გულკეთილი და ბავშვით გულუბრყვილო იყო, მეორე კი, რომ იტყვიან, ეშმაკის ფეხიო, ნამდვილად ისეთი. „მოშპი-გავარდის“ ვეძახდით მეტსახელად. ის რომ არ გააკეთებდა, ისეთი არა იყო რა.

ერთ დღეს, სადილის შემდეგ, წიგნებით ხელში ჩვენ ჩვენს ტახტზე წამოვეწყეთ და კითხვას შევუდექით. კარგა ხნის კითხვის შემდეგ ჩამძინებია. მძი-

ნავს ტკბილად და ნაირნაირ სიზმარს ეხედავ. ეხედავ რეალურსა თუ ფანტა-
სტიკურ ქვეყნებსა და ამბებს. აგერ უეცრად ჩემი სმენა მიიპყრო ქალის მომ-
ქმამ. დედაა და შვილს დასტირის. საოცრად ტკბილი ხმა აქვს, მაგრამ ისე ნა-
ღვლიანი სიტყვებით მოთქვამს, რომ ცრემლს ვერ ვიკავებ. ნეტავ ვინ არის ეს
უბედური? მინდა ავიცილინო მისი ხმა, გავშორდე, გავეცალო აქაურობას, მაგ-
რამ ადგილიდან ვერ ვიძვრი.

გამეღვიძა. თვალი ჯერ კიდევ არ გამიხელია, მაგრამ სიზმრიდან გამოყოლი-
ლი მოთქმა თითქოს ახლაც მესმის, თითქოს კი არა, ნამდვილად მოთქვამს ვი-
ლაცა. ვილაცა კი არა! ჩემი დედა. ახსენებს ჩემს სახელს და ჩემს დაუსრულე-
ბელ ქალიშვილობას დასტირის.

ნუთუ კვლავ სიზმარში ვარ?

არა, სიზმარში არ ვარ. მაშ სად ვარ?

მესმის დედის მოთქმა, მესმის მისი სიტყვები და ვჭეითინებ.

— კარგი, გოგო, შე სასიკვდილევ, ნუ მომკალი ტირილით. — ამბობს ვი-
ლაცა და ვცნობ, რომ ეს თეოა, ჩვენი გულკეთილი ამხანაგი.

ვახელ თვალს. ეხედავ ამ ჩვენს „მოშპი-გავარდის“ გაუშლია თმა, ჩამომჯ-
დარა ჩემს საწოლთან და მოთქვამს, მოთქვამს დედაჩემის ხმით და ისეთი სი-
ტყვებით, რომ. ალბათ, ისეთს დედაჩემიც ვერ მოიგონებდა.

იქნებ თქვათ, რომ ესეც ნიჭი და ხელოვნებაა?

გეთანხმებით. უთუოდ ნიჭი და ხელოვნებაა, მაგრამ ვისთვისაა საჭირო და
სასარგებლო?

ადამიანი მოკვდავია და ამის შეგნება მას მუდამ აწუხებს. სიკვდილი თა-
ვისთავად იწვევს მწუხარებასა და ცრემლს. ესეც საკმაოა კაცისათვის და ხე-
ლოვნებაში სიკვდილის ინსცენირება და ცრემლის ნიაღვართა ხელოვნური გა-
მოწვევა მავნებელია.

ადამიანი აატრო და ააცრემლო, ეს უფრო ადვილია, ვიდრე გაამხნეო, გა-
ახალისო და გააცნო.

და თქვენ, საყვარელო მწერალო, ნუ დაგვიწერთ ისეთ რომანებს, რომ-
ლებიც მხოლოდ დაგვამწუხრებს, აგვატირებს და ცრემლებს გვადვრევინებს.

დაე, თქვენი რომანის გმირების გზა ნუ იქნება ვარდ-ყვავილიანი, განელონ
ძნელი და ეკლიანი გზა, მაგრამ ძლიონ ყოველგვარ დაბრკოლებას და გაიმარ-
ჯონ.

დაე ვღვართ თქვენი რომანების წაკითხვისას ცრემლები, მაგრამ სიხა-
რულითა და კმაყოფილებით გამოწვეული.

აი როგორი წიგნი მოგეწონს ჩვენ.

სალამო, 1928 წ.

„სხალეუბანი ღლეჯის“ ავტორს

მე ვფიქრობ, თქვენ გზას ამცდარხართ, კალმისთვის ხელი რომ ჩაგივლიათ
და მწერლობას ჩემობთ.

არ ვიტყვი, წერა არ გეხერხებათ. გეტყობათ, სწავლა-განათლებაც ვიწ-
ყობთ ხელს, ენერგიაც დაუშრეტელი გქონიათ, მაგრამ ის, რაც შემოქმედისათ-
ვის საჭირო და აუცილებელია, არ გაგაჩნიათ. ძალიან მიკვირს, რად აწვალვებთ
საკუთარ თავსა და მონდობილ მკითხველს?

თქვენი მოთხოვნების კითხვისას ბევრი ძველი თუ თანამედროვე შემოქმედნი დაიძვრნენ...

ნეტავ ბაძვდეთ, ქურდობაზე ნაკლებ ცოდვად ითვლება მიმბაძველობა.

ნაქურდული ცხენი ფერშეცვლილი გაჰყავდათ ბაზარზე. იშვიათად ღალატობდათ საღებავი და ხელოვნება.

თქვენ იმ ცხენის ქურდებს მაინც მიბაძეთ. შედეგზე ისე და იმნაირად, რომ გულუბრყვილო მკითხველმა ვერ იცნოს მისი ნამდვილი პატრონის ხელი და თქვენი ნიჭის წინ მოკრძალებით დაჰხაროს თავი.

აგარაკი, 1940 წ.

ყველაზე ძვირფასი სამკაული

ამბობენ, ოქრო ყველაზე ძვირფასი ნივთიაო ქვეყნად... ბევრს შეუწირავს მისთვის სიცოცხლე, ზოგი ახლაც იმწარებს დღეებს მასზე ოცნებით.

მე ამ ძვირფასი ლითონის მხოლოდ ერთი პატარა ბეჭედი მაქვს. იგი სტუდენტობის დროს მისახსოვრა საქმრომ და იმ ბედნიერი დღის მოსაგონებლად ვატარებ.

როცა ოქროს ძვირფასობაზე იტყვიან რამეს, მე მაშინ ამ ბეჭედზე დავიხედავ და ვიტყვი: მეც ხომ მაქვს ერთი ძვირფასი თითი?

ჩემს მეგობარ ქალს ყველა თითი ძვირფასი აქვს, მაჯაც, გულმკერდიც და ახლა არ იცის, რა გაიძვირფასოს.

ერთხელ მოხოვა მესტუმრეო, და მეც შევიარე. ამ მოკლე ხანში ბევრი ძვირფასი რამ შეუძენია. უპირველეს ყოვლისა ოქრო-ვერცხლი და ავეჯი.

ხარბი არა ვარ, არც შურიანი, მაგრამ მეგობრის ამაყი და თავმომწონე გამოხედვა რომ შევნიშნე, შეურაცხყოფა ვიგრძენი და წამოვწითლდი.

— მაგრამ როგორ, საიდან ყველა ესენი? — უნებლიეთ დამცდა, რადგან ვიცოდი, ორიოდ წლის წინათ ეს ოჯახი არ იყო ესოდენ მდიდარი.

— იცი, თინიკო, პავლე ისეთი საქმის კაცია, მის ოჯახს უფრო მეტიც უნდა ჰქონდეს, — მითხრა პასუხად მასპინძელმა და მაგრძნობინა, რომ მალე ამაზე მეტიც ექნებათ.

„დიახ, პავლე ისეთი საქმის კაცია, მაგრამ განა ურიგო საქმის კაცია ჩემი. ლევანი, რომ“...

ეს მხოლოდ გავიფიქრე, მაგრამ მასპინძელმა ჩემს გულში ჩაიხედა, წამოწითლდა და მიპასუხა:

— ხელი ხელსა ჰბანს, ჩემო ძვირფასო.

„მაგრამ ერთ დღეს, რომ ორივე ხელი მოჰკვეთონ?“

ესეც გავიფიქრე, მაგრამ ამაზეც მივიღე პასუხი.

— განა გულმშვიდად გვძინავს მაგისი შიშით! — გამოტყდა მასპინძელი. — რამდენი ვინმე უცნობი შემოიხედავს... არა, — შეეცადა გამოსწორებას, — აქ ბნელი გზით ნაშოვი არაფერია, მაგრამ, ხომ იცი, ბოროტი ადამიანების შური სანამდე მიდის!

გასაგებია, ჩემო ყოფილო მეგობარო. შენ ყველაფერი ძვირფასი და ბევრი გქონია, მაგრამ გკლებია ის, რაც ადამიანისათვის ყველაფერზე ძვირფასი და სანუგვარია, — სინდისის სიწმინდე და სულის სიმშვიდე.

აი რა მიმაჩნია მე ყველაზე ძვირფას სამკაულად ამ ქვეყნად.

კვირა ღილა. 1954 წ.

მატარებელში ვსხედვართ. ჩემს გვერდით მოხუც ქალს კედელზე თავმოდებული დინავს. მოპირდაპირე მხარეს კი ჩვიდმეტოფრამეტი წლის ვაჟი ჩამოძვარა. იგი ქურდულად აველ-ჩაველებს ხოლმე თვალს ყველას, ვინც ჩვენს ვაგონში ჩამოივლის. მოშვებულ თმაზე შავი ქუდი ახურავს, რომელსაც ხშირად იხდის და აჩეჩილ ქოჩორს ისწორებს. აცვია კოხტად, თუმცა ამ სიკოხტავს ვერ იყენებს როგორც წესი და რიგია. მისი მიხვრა-მოხვრა და საქციელი ვერ ეხამება მისსავე ჩაცმულობას.

კარგად არ მახსოვს, ჩემთან ერთად ამოვიდა ის ვაგონში, თუ უფრო შორეული მგზავრია, მაგრამ კიბეზე რომ ამოვიდოდი, პირველად მან მომაშველა ხელი და ჩემი ჩემოდნებით დატვირთულ მებარგულსაც უშველა.

მატარებელი თვალგადაუწყველნ ტრამალზე აღვირმომშველებული ბელაური-ვით მიფრინავს.

ავგისტოს მიწურულია. ცხელა, მაგრამ არა ისე, ჩვენში რომ იცის.

ჩემი უცნობი ახალგაზრდა თანამგზავრი თამბაქოს ეწევა. ხშირად იხედება ფანჯარაში, ყოველ გაჩერებაზე წამოდგება, გავილ-გამოივლის, შემდეგ დაბრუნდება და თავის ადგილს დაიკავებს.

მე საგზალი ამოვიღე და სარკმლის რაფაზე გავშალე.

— გთხოვთ! — შევთავაზე თანამგზავრს, რომელმაც ის-იყო თამბაქოს ნამწვი საფერფლეში ჩააგდო.

— მაღლობა. — ცივად მითხრა მან. — ახლახან ვისაუხმე. — შემდეგ გავკირვება გამოთქვა, რომ სრულიად უცნობ პიროვნებას ვეპატიყები ისედაც მცირე ულუფაზე.

— კეთილი გულით მცირედიც შეიწირების. — ვუთხარი და კვლავ მივიპატიყე საუზმეზე.

— რა გაეწყობა. — თქვა მან და პური და ძეხვის მოზრდილი ნაჭერი აიღო.

— საიდან მოდიხართ, ქალოშვილო? — მკითხა მან, როცა სალზმეს მო-რაჩა და თამბაქოს მოუყიდა.

— თბილისიდან. — მივუგე მე.

— იქაური ხარ?

— დიახ, იქაური.

— ქართველი... სომეხი...

— ქართველი.

— მაშ, თქვენ კიევში მიდიხართ, არა? — კვლავ შემეკითხა იგი და საკუთარ ხელის თითებს უმიზნოდ დაუწყო სრესა.

— დიახ. თქვენ?

— მეც. — მიპასუხა მან. — ალბათ, ხვალ სადამოს ვიქნებით იქ.

— რატომ უფრო ადრე არა?

— ჰო, შეიძლება უფრო ადრეც. — დამეთანხმა ის. — თუ მეორე მატარებელი დაგვიხვდა № სადგურში.

— ვითომ დაიგვიანებს?

— შეიძლება. ზოგჯერ დილამდე უხდებათ ხოლმე ცდა მგზავრებს.

— რა გაეწყობა. დაველოდები. — ვუპასუხე მე და არ ვაგრძნობინე, რომ შემაწუხა მისმა ვარაუდმა.



— ყოჩაღი ყოფილხართ. იქნებ უფრო შორსაც გიმგზავრიათ?

— მიმგზავრია. გასულ წელს ლენინგრადში ვიყავი, მომავალ წელს ყაზანში ვაპირებ. თქვენ კი არ გიხდებათ მოგზაურობა?

— მეც ვმოგზაურობ, მაგრამ ლენინგრადამდე ჯერ არ მივსულვარ. რა საქმეზე მიდიხართ კიევში?

— სასწავლებელში. ვსწავლობ იქ.

— საინტერესოა. რას სწავლობთ?

— ექიმობას. თან ვმუშაობ.

— ოჰო! — წამოიძახა მან. — მაშ საკუთარი შრომით ირჩენთ თავს?

— დიახ!

— მერე, გყოფნით თქვენი ნამუშევარი? ან რა შრომას ეწევით სტუდენტი ქალი?

— უცხო ენებს ვასწავლი დაბალ კლასებში.

— მდა. კარგი საქმეა. — თქვა ჩემმა თანამგზავრმა. — მაგრამ ყველას როდი შეუძლია ასე მოიქცეს.

— რატომ? ვინც თავის ძალ-ღონეს საქმეს მოახმარს და იმუშავებს, უმადური არ დარჩება. თუნდაც თქვენ. არა მგონია, ცუდად ცხოვრობდეთ. კიევიდან ხართ?

ახლოგზარდამ კეთა შეიქექა.

— კი, იქაური ვარ.

— სად ყოფილხართ?

— როსტოვში. ბიძა მყავს იქ.

მატარებელმა ორი სადგური გაიარა და მესამეზე გაჩერდა. ჩემი მეზობელი მოხუცი ქალი მოფხიზლდა, ხელბარგი აჰკრიფა და გავიდა.

ერთ-ერთ გაჩერებაზე ჩემი თანამგზავრი ყმაწვილი ისე უცბად მოეფარა თვალს, რომ არც კი შემიინიშნავს, ზოლო. როცა მატარებელი დაიძრა და სადგურს გავცდით, აქოშინებული მოვარდა და თავისი ადგილი დაიკავა.

— სად იყავით? სად გაიქეციით? — შევეკითხე მე, როცა სული მოითქვა და დამშვიდდა.

— შემხედურ მატარებელს დავუხვდი. კიდეც კარგი, დროულად გამახსენდა. ძლივს მივუსწარი. ნათლია მიდიოდა იმ მატარებლით და აუცილებლად უნდა მენახა. — სახეზე ოფლი მოიწმინდა და განაგრძო: — ენახე კი. — ისეთი ტონით ლაპარაკობდა, თითქოს არ მჯეროდა მისი და უნდა დავერწმუნებინე.

სიმართლეს ამბობდა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ არც მაინტერესებდა. მართალი გითხრათ, არც შემიინიშნავს შემხედური მატარებელი. საქმაოდ ბნელოდა და ყურადღებაც არ მიმიქცევია. ან კი რა მესაქმებოდა, ვინ ვის შეხვდა, ვინ ვის გაესაუბრა. შეეძლო სრულიადაც არ გაეცა ჩემს შეკითხვაზე პასუხი. ან უბრალოდ ეთქვა, გავედი და შემოვედიო, მაგრამ ამდენი ახსნა-განმარტება, ალბათ, იმიტომ დასჭირდა, რომ წასვლისას ხელცარიელი იყო და ახლა კი ლამაზად შეკრული ფუთა ეჭირა ხელში.

— ნათლიამ გადმომაცა დედაჩემისათვის. — თქვა მან. — ფუთა ჩემს ჩემოდნებს შუა დადო და გაიღიმა. — თქვენ ჩემზე მეტი ფხიზელი თვალი გაქვთ.

— არავის გავატან. — ღიმილითვე მივუხე მე.

ჩვენი ბაასი ამაზე შეწყდა. გაუმა კედელს მიაღო თავი და წასთვლიმა, მა-

გრამ კურდღელივით ფხიზლად. ოდნავი ფაჩა-ფუჩი და მოფხიზლებული ფეხ-
გასაფრენად ფრთებშეწყობილი.

№ სადგურში შუალამისას მივედით. აქ მეორე მატარებელში უნდა გადავ-
მსხდარიყავით და ავიბარგეთ. ახალგაზრდამ თვითონ იკისრა ჩემი ბარგის ჩატა-
ნა. მე მისი ამანათი წამოვიღე.

ბაქანზე ლიანდაგის მახლობლად დავალაგეთ ნივთები. ასე მირჩია მან.
აქედან უფრო ადრე ავალთ მატარებელში და რიგიან ადგილსაც ვიპოვეთ. რი-
გიანი ადგილის შობოვებაზე ფიქრიც არ იყო საჭირო, მაგრამ ჩემს ახალგაზ-
რდა თანამგზავრს ხათრი არ გავუტეხე და მეც იქ დავბარგდი, სადაც მან მირ-
ჩია. მაგრამ როცა გავიგე, ჩვენი მატარებლის ჩამოდგომამდე სულ ცოტა ორი
საათი მაინც იყო დარჩენილი, გადავწყვიტე ბუფეტში შევსულიყავი და ჩაი და-
მელოა.

— ძვირფასო, დარჩით ბარგთან ცოტა ხანს. — ვთხოვე ახალგაზრდას. —
მალე დაებრუნდები.

— კარგი! — თქვა მან მოგვიანებით და თითქოს დანანებით, მაგრამ ამისა-
თვის მე ყურადღება არ მიმიქცევია.

ბევრი არა, მაგრამ ნახევარი საათი კი დავყავი ბუფეტში. რომ დაებრუნ-
დი, ჩემი თანამგზავრი ჩემოდნებს შუა ჩამჯდარიყო, აქეთ-იქით ხელი ჩაევლო
და მელოდებოდა. რომ დამინახა, წამოდგა, ხარბად დატანა თვალი ჩემს ჩე-
მოდნებს და შემდეგ შემომხედა.

— აფსუს! — სინანულთ თქვა, მაგრამ არც ამისთვის გამიწევია ანგა-
რიში.

— შეგიძლიათ ახლა თქვენც ისარგებლოთ თავისუფლებით. წახვიდეთ, გა-
იარ-გამოიაროთ. — შევთავაზე მე გულკეთილად.

— მადლობელი ვარ. — თქვა მან კუშტად. — მშვიდობით. — მიბრუნდა
და წასვლა დააპირა, მაგრამ უცებ შეჩერდა და მოტრიალდა. — მაგრამ აქ უხე-
რხულია. ბარგი მოსაცდელში შევიტანოთ. იქიდან მებარგულს გაატანინებთ.

— მაგრამ თქვენ?! — გამოაცა მისმა საქციელმა.

— მაკმარეთ ბარგის დაცვა. — მწარე ღიმილი დააყოლა მან.

ჩანს, ნაწყენია. დახეთ, როგორი თავმოყვარე ყოფილა! მაგრამ მაშინ რად
არ ფიქრობდა თავმოყვარეობაზე, როცა ჩემი ბარგი მატარებლიდან თავისივე
ნებით ჩამოჰქონდა?!

— მაპატიეთ. დიდ ბოდის ვიხდი თქვენთან. დამნაშავე ვარ. მიკვირს,
ღმერთმანი, როგორ მომივიდა ეს. როგორ შეგბედეთ. თუმცა თქვენი ბრალია,
ძალიან გამათამაშეთ. მეც არ დავუკვირდი ჩემს საქციელს... ხომ მოგესხენებათ,
მგზავრობის ამბავი... ხშირად მომსვლია ხოლმე, ჩემთვისაც მოუბარებიათ
რაიმე...

— ჩემთვის კი არასოდეს. — იმავე ტონით თქვა ვაჟმა.

— ჩემი სიკვდილი. ძალიან გთხოვთ მაპატიოთ. — მზად ვიყავი მუხლებზე
დავცემულიყავი და ისე მეთხოვა შენდობა.

— აქ საბოდიშო და საპატიებელი არაფერია, ქალიშვილო. — ნაღვლიანად
დაიწყო მან. — თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ ნაწყენი ვარ იმით, რომ
ბარგთან დამტოვეთ? არა, ასე ტუტუცი როგორ ვიქნები...

— მაშ, რით გაწყენინეთ? — ცოტათი გულზე. მომეშვა.

— თქვენ? თქვენ არაფრით. მე ის მწყინს, რომ ამოდენა გზა გამოვიარე,
ამდენი დრო დავკარგე და შერცხვენილი და ხელცარიელი უნდა დაებრუნდე.

— დრო დაჰპარგეთ? გზა გამოიარეთ? შერცხვენილი უნდა დაბრუნდეთ? არაფერი მესმის, ვერაფერი გამიგია!

— არ გესმით? ვერაფერი გაგიგიათ? მართალს ამბობთ! მაგ სიმართლემ და გულუბრყვილობამ გიხსნათ თქვენ ამ შემთხვევაში, თორემ...

— თორემ?! — გაოცებით შევეკითხე მე.

— კიევში ჩასვლისას მებარგულის გამოძახება არ დაგჭირდებოდათ ჩემოდნების წასაღებად.

— რას ამბობთ?! ჩემი ჩემოდნები? — სისხლი ამივარდა თავში.

— დიახ, თქვენი ჩემოდნები. განაწილდებოდა ამქართა შორის.

— ვაიმე! — თავზე ვიტაცე ხელი. — ამ ჩემოდნებშია ჩემი სიცოცხლე.

— ნუ გეშინიათ. ყველაფერი რიგზეა. მე შორი მანძილიდან მოვეყვები და ვდარაჯობ მათ. ვდარაჯობდი იმიტომ, რომ სხვა არ დაპატრონებოდა. სხვას არ წაედო. თქვენ არ იცით და ეს ჩემოდნები აქ მოსვლამდე გააგქივებოდათ ხელიდან, მის ახლოს მე რომ არ ვყოფილიყავ.

ახლა მიგხვდით, ვისთანაც მქონია საქმე და შემეშინდა.

— მაგრამ მე ხომ მოგეცით თქვენ საშუალება დაუფლებოდით ჩემს საარსებო ქონებას? ხომ მოგენდეთ და მრგაბარეთ, როგორც კეთილ ადამიანს.

— და სწორედ მაგ საქციელით შემბორკეთ და დამაძაბუნეთ. — გულისტკივილით თქვა მან. — ოდნავ რომ ეჭვის თვალით დაგეწყოთ ცქერა, დაგჭირდებოდათ მშობლებისაგან გამოგეთხოვათ საჭირო თანხის წამოშველება.

დავიბენი. არ ვიცოდი მადლობა გადამეხადა, საყვედური მეთქვა, თუ მეყვირა და ხალხი შემეყარა, ან იქნებ ჯობდა ჩემი ორი ჩემოდნიდან ერთი მისთვის დამეთმო?! ისევ უკანასკნელი ვამჯობინე.

— აჰა, წაიღეთ ეს ჩემოდანი. რაც იყოს შიგ, ღმერთმა მოგახმაროს. — ვუთხარი და უფრო მოზრდილი ჩემოდანი შევთავაზე.

ახალგაზრდამ წყენით შემომხედა.

— საჩუქრებს ჩვეული არ ვარ. ჯილდოდ კი ისიც მეყოფა, რაც ამაღამ მივიღე თქვენგან. ეს იყო ნდობა, ნდობა, რომელიც კარგახანს არ მღირსებია. — სწრაფად მიტრიალდა და ისე გაჰქრა, რომ მისი ჩრდილიც ველარ დავლანდე.

ფუტა, რომელიც ჩემს ახალგაზრდა თანამგზავრს დარჩა, თუ განგებ დატოვა, სადგურის მორიგეს ჩავაბარე, როგორც ნაპოვნი ნივთი.



ლევან გელაძე

ბულბულის ციხე

მე ვემუდარე ბულბულის ციხეს
მწარე წარსულზე ეამბო რამე,
დედა შვილს როგორ უთბობდა
ცივ ხელს
და სატრფო მტერმა მოუკლა
რამდენს.

ვეკითხებოდი ხაციაან ლოდებს,
ციხე რად არის გადაბუგული,
ქარი რად მოსთქვამს,
ქარი რად გოდებს,
საით გაფრინდა ციხის ბულბული.
უცებ შეირყა ლურჯი კედელი,
წამოიშარტა გმირის აჩრდილი,
თქვა, ვიყავ კაცი ხმლების
მკვდელი, —

წელში ფრანგული ჰქონდა
გაჩრილი.
ცრემლი დაცვივდა, როგორც
ჩანჩქერი

და პირი ვედარ მოიმზიანა,
მთხოვა, ნახმლევეში ნულარ
ჩამტყერი,

მე მტერმა გულიც დამიზიანა,
უროს დაკვრაში არ მყავდა ტოლი,
ჩინჩხლებს ისერიდა კერა გიზგიზა,
ფოლადს ვლუნავდი გმირობის
ლტოლვით,
მომწონდა გოგო ლოყაყირმიზა.

მიყვარდა მისი სახლი, სარკმელი,
მზია მღეროდა, როგორც
ბულბული,
მნათობებს მე მის სახელს
ვარქმევდი,
სიბოხს, სიწმინდეს
სთხოვდა გულს გული.

შევიყრებოდი მთვარიან ღამით,
ის მიგალობდა ბულბულის
ჰანგებს.

მომხვდურმა პირი აივსო შხამით,
ლხინის დროს სახლში მოგვიტატა
განგებ.

ბულბული ომში გამყვა
მხარდამხარ,
მტერი მოგვაწყდა, როგორც კალია.
მე გავძახოდი ბულბულს „სადა
ხარ!“

— მესმოდა: „რა ვქნა, არა
მცალია“.

ხმალმა გვიმტყუნა, ციხე ვიფარეთ,
კარებს გავუგდეთ რკინის
ურდული.

ციხეს გარს ერტყა მტერი, ვით
ფარეხს,
ვიცოდით მისი ზრახვა ქურდული...
ვერ დაიმონებ შიმშილით
ქართველს,

* ბულბულის ციხე ციხე-სიმაგრეა ქართლში.

მომმის ლალატი გასტეხავს ციხეს...
ჩვენში გაზრდილი არწივის მართვე-
არ გაეცევა ყინვას და სიცხეს.
როგორც გვალვაში კამეჩს კამეჩი,
ისე მისდევდნენ თვეებს თვეები.
არ დაგნებდები, მტერო, რას
მერჩი,

თუნდ ჩავიჩოქო, მაინც შეგებში!
გადაეძახოდი ციხიდან მიღმა.
მომხედურს გაუწყდა ლოდინის

ძაფი,
ამ დროს მტერს ამცნეს, ჩაახშობთ
იმ ხმას,

სცადეთ შეტევა მარდი და
მძაფრი.

მაგრამ ცდა მტრისა გახდა ამაო,
ერთ თხილს იყოფდა ცხრა ძმა

ხალისით,
ენატრობდით მაღე დაალამაო,
გულს გვიმრთელებდა რწმენა
ხვალისა.

მტერმა მიაგნო კლდეში ბილიკი
და გადაგვიჭრა ფარული არხი,
შეწყდა ციხეში წყაროს ლიკლიკი
და შეაშფოთა წყურვილმა ხალხი.
წყლის შემოყვანა ვითავეთ სამთა,
ციხის ბულბულმაც აიღო თოფი.
გვითხრეს, ხუმრობა არ გარგებთ
ჟამთან,

გამოგვეთხოვენ ციხეში მყოფნი.
ფრთხილად გავლიეთ ბნელი
გვირაბი,

გული მიგრძნობდა რალაც
საშინელს,

ზაალმა მითხრა, ნულარ
ვისწრაფით
და შემოვბრუნდი მისკენ მაშინვე.

— გავსწორდეთ, ზურაბ, ვართ
მეტოქენი!

მზიამ ღიმილი მე მტყროცნა
ადრე,
დღეიდან სისხლი მე მედოს

თქვენი.
რატომ შემეყარეთ გრიგალს
ავდრებს.

თქვა და მესროლა უნდომ
დამბაჩა,

მიწას დავაჩნდი როგორც
ბუმბული.

— სისხლს არ შეგარჩენ, მხეცო,
დამაცა! —

თქვა და გავარდა თოფი
ბულბულის.

ამოვიკენესე, „მასვით, მწყურია“
და თვალში მყისვე ჩამიდგა რული.
ბედმა უმუხთოლა მოყმეს შურიანს,
ვერ შეისრულა ზრახვა მზაკვრული.
ბულბულმა კლდენი განვლო

მარტოკამ
და როცა დასძრა ციხისკენ წყალი,
— დაგვნებდი, გიაურ, ახლავ

გავთოკავთ,
ჩაესმა ქალწულს ძახილი

მწყრალი.
არ შეიხარა ბულბულმა წარბი,

მომხედურს ხანჯალი ჩასცა
ვალამდე.

აყეფდნენ: „ჩქარა, გიაური გარბის,
გავთოკოთ, ფაშას ნულარ

ვადარდებთ“.

ჩემამდე სდია ბულბულს
ურჯულომ

და როცა მომწვდნენ ცხელი
ბაგენი,

მკერდზე დამეცა სატრფო
უსულოდ,

სიცოცხლის წყაროს ვერ
მივაგენით.

თქვა და დადუმდა მყისვე
აჩრდილი,

ჯანდი დააწვა ბულბულის ციხეს,
დუმდნენ კოშკები ცამდე აწვდილი

და თითქოს ვილაც მიწვდიდა
ცივ ხელს.



შადვა შუბლაძე

ჩაქუთელთა სიმღერა

შეძლებულს გეხდის შრომა ჩვენი
აჭელებს და ქაქუთელებს.
მოდით, გასვით თაფლის წვენი,
ვიცით, კაცს გულს რაც უმრთელებს.
ბაღებშია მიმალული

ჩვენი მთები და კორდები,
გახედავ და სიხარულით
იტყვი, აწი არ მოგკვდები.

გულით მტკიცე, მარად მრთელო,
სულით სათუთო;
სასურველო, სანატრელო,
ჩემო ქაქუთო!

ჩაი გვაქვს და მანდარინი,
შრომამ გული გაგვიხარა.
ქორწილია ჩვენში, ლხინი,
დოქებით ვსვამთ თაფლის არაყს.
მტკიცენი ვართ, გულით სუფთა,
მოდით, თვალი ვასეიროთ,
კორღზე გავშლით ქართულ სუფრას,
ტიკებიდან გასმევთ ღვინოს.

გულით მტკიცე, მარად მრთელო,
სულით სათუთო,
სასურველო, სანატრელო,
ჩემო ქაქუთო!

დაკოდელი ერთ დროს გული,
გლეჩკაცს როგორ გაუმრთელდა,

ნახეთ ჩვენი სიხარულო,
აქელთა და ქაქუთელთა.
ზეიმი გვაქვს, ვილხენთ ყოვლით,
ვიციტ, კაცს გულს რაც უმრთელებს.
შრომაშიაც ვერვინ გვჯობნის
აქელებს და ქაქუთელებს.

გულით მტკიცე, მარად მრთელო,
სულით სათუთო,
სასურველო, სანატრელო,
ჩემო ქაქუთო!

სიმღერა ხულოზე

ხულო მქვია, ფრთალამაზი
ყაყაჩო ვარ, ია ვარ,
გამიცოცხლდა იგი ვაზი,
მტერმა რომ ჰყო იაყარ.
ბაღნარი ვარ, ვაზნარი ვარ,
თამბაქო ვარ ულევო,
მე ბეშუმის ზღაპარი ვარ,
ტკბილად ნაჩურჩულევი.

მე სახელად მქვია ხულო,
წინ იმედით გავყურებ,
სიყვარულო, სიხარულო,
ჩემთან დაისადგურეთ!

ვერ გამახმო ქარტეხილმა,
კვლავ აჩქეფდა მაჭარი.

მარგალიტის ნატეხი ვარ
აყვავებულ აჭარის.
ბაღ-ვენახებს გადახუნძლულთ,
მთებს, მარად რომ არ ძინავთ,
უწოვიათ ქართლის ძუძუ,
ზრდიდათ მისი ნანინა.
დიდი შრომით ვაღწევ მიზანს,
სასახელო მუშაკი,
ჩვენი ქვეყნის საზღვარს ვიცავ.
ვით ერთგული გუშაკი.

მე სახელად მქვია ხულო,
წინ იმედით გავყურებ,
სიყვარულო, სიხარულო,
ჩემთან დაისადგურეთ!



ზუკაბ გოგბილაძე

გაფრინდი, ზავო მერცხალო...

შენ ალაზანზე რა გინდა,
გულს რად მიახლი ალაზანს,
არ გეშინია?... ფრთები რო
წარბად წავართვას ლამაზმა?
ამ ზეცის სილაყვარდეში
კაცი ვქცეულვარ მერცხლადვე,
გადმოშურდულდი და ერთხელ,
ჭოროხზე გამომეცხადე.
აქაც ხომ ტალღა ღაღადებს,
აქაც ხომ მთები დიდია,
ცხენი მყავს გულმორახტული
და ომში როდი მივდივარ.
აქაც ხომ ხმოვენ საამოდ
დედალ კაკაბთა გუნდები,
სახლში ცოლი მყავს ლამაზი,
ომიდან როდი ვბრუნდები.
ვბრუნდები ნათავთუხარი,
მომყვება ნამჯის სურნელი
და ჩემი ნედლი მიწისა
ტრფობა მჭირს განუკურნელი.
ვბრუნდები ნაქორწილარი,
ნათამაღარი მაყარი,
ქეიფში ამღერებულო,
თავზე მზეგადანაყარი.
შენ ალაზანზე რა გინდა,
მკერდს რად მიახლი ალაზანს,
მოფრინდი, მნახე გულთეთრავ,
რა ძალამ გამაღამაზა,
რა ეშხმა ამაშრილა,

ან რამ მაქცია მერცხლადგე.
დაბლა ჩამოყევ ამ გორებს,
ჭოროხზე გამომეცხადე.
გიჩვენო ნალაფარი,
ლაზი ვაჟკაცის მკლავისა,
ფრთებზე პურ-ღვინოს გაწვიმებ,
სხვენზე ფანდურად დაგისვამ.
მოდო და, ერთი, მამული
ჭიკჭიკით გაიპარილე,
გაფრინდი, შავო მერცხალო,
გაჰყევ ჭოროხის ნაპირებს.

ნ უ მ ე ტ უ ვ ი

ჩემს წილ სიცოცხლეს ბრძოლით გავიარ,
აი იმ მთაზე მაინც გადავალ,
ნუ მეტყვით, რომ მე მარტოხელა ვარ
და სიყვარული სადღაც გათავდა.
ჯერ არ დამწვარა ლექსზე ლოყები,
ჯერ არ მიგრძენია გული უტოლოდ,
წამოფრენილან ფშანში ხოხბები,
რომ ჩემს სიყვარულს გადაუჭროლონ.
მოდო, ამაწყევ სულზე სიმივით
და სიყვარულით დამწვი, დამღვედე...
ვარ გარჩეული ნედლი სიმიინდი,
მიფიცებულნი ლექსის ნაღვერდლებს.



იოსებ ყაჭიშვილი

ქალაქის ყვავილები

მზე ახალჩასული იყო. ქუჩის ბოლოს, ვეება სახლებს შორის, თვალის-მომჭრელად ეღვარებდა დაისი. მე და ლილი უხმოდ მიყვებოდით ფილაქანს. ნიავე უბერავდა. დიდი სიცხეების შემდეგ პირველად ამოისუნთქა ქალაქმა.

— მწყურია, — თქვა ლილიმ, — რამე დავლიოთ.

— ლუდი დავლიოთ, — შევთავაზე მე, — ლუდი ხომ გიყვარს?

მკლავზე ხელი მოვკიდე. მინდოდა ქუჩის კუთხეში მიმეყვანა პატარა ფარ-დულთან.

— ეგლა მაკლია! — მიპასუხა მან ზიზღით და ხელი გაითავისუფლა.

გზა განვაგრძეთ. ქუჩაში უკვე აინთო ლამპიონები; ამოწითლებული ცის ფონზე ისინი მაინც უღიმდამოდ ჩანდნენ.

ფერადი რეკლამებით განათებულ კაფეში შევედით. მაგიდას მივუჯექით და შუშუნა ლიმონათი დავლიეთ.

— მეტს არაფერს ინებებთ? — იკითხა ოფიცინტმა და მაგიდის ზედაპირზე ფანქრის წვერი დააკაუნა. თავზე მას გვირგვინივით აღდა მაქმანის თეთრი ფატა.

— კოკტეილი გაქვთ? — ჰკითხა ლილიმ.

— ორი?

— არა, ერთი! — ვთქვი მე, რადგან არც კი ვიცოდი რა იყო კოკტეილი.

ლილის გულმობაჰული ჩითის დეკოლტე ეცვა. კაბა მშვენივრად აჩენდა კანის ფოლადისფერ სილამწვარეს. ზღვა მოხდენოდა, მაგრამ თმა გაჰხუნებოდა აგურისფერად. გამიკვირდა და მიზეზი ვკითხე.

— ორი თვეა ზღვაზე ვარ და... — მიპასუხა მან.

ოფიცინტმა მაღალყელიანი ბროლის ჭიქით კოკტეილი მოიტანა.

— შარშანაც ხომ იყავი, ლილი, ზღვაზე?

მან ლერწმის ღერო ამოუღია ჭიქაში და კოკტეილი მოწრუბა.

— მომეფი ახლა... შენ რას აკეთებდი აქ?

ჩემდაუნებურად დავიხედე დაკორძილ ხელებზე.

— ვმუშაობდი, ლილი, მთელი ზაფხული ვმუშაობდი.

— სად მუშაობდი? — მკითხა და ლერწმის მილით ჭიქაში კოკტეილი ააბრუნა.
ბუყა.

— ქარხანაში... დაზგაზე ჭანჭიკებს ვჩარხავ.

კოკტეილში ნელა დნება ყინულის ნატეხი. დაჩეჩქვილ მილს ჰაერი ებარება და სითხე შიშინით უკანვე იღვრება. ლილი დაჟინებით მომაშტერდა ხელეზზე.

— დაანებე თავი მუშაობას; დასწრებულზე გადადი!

— ლილი, კინოში ვაგვიანებთ, — ვუთხარი მე და საათზე დავიხედე.

— ჭანჭიკებს ჩარხავს ყმაწვილი, — თქვა მან და დაცლილი ჭიქა მაგიდის შუაგულისაკენ მისწია, — გირჩევნია შენი საქმე გაჩარხო!

დანახარჯი გავასწორე და გარეთ გამოვედი. ქუჩაში თანდათან მატულობდა ხალხი. სიარული გვიძნელდებოდა.

— ლექსებს რომ არ წერდე, — მითხრა ლილიმ, — კაპიკი იქნებოდა შენი ფასი.

მე უპასუხოდ დავტოვე ლილის შენიშვნა. ქუჩა გადავჭერით და კინოს დარბაზში შევედი.

კარგად არც მახსოვს, რა სურათი გადიოდა. ვიჯექი და იმ დღეებს ვიგონებდი, როცა სოფელში პირველად ვნახე ლილი. იმ დღეებს ყოველთვის სიამოვნებით ვიხსენებ.

ზაფხულის არდადეგებზე შვილიშვილი ესტუმრა ქალაქიდან ბებია პელაგის. პელაგი ჩვენი ახლო მეზობელი იყო და ამ ამბის შემდეგ მის ეზო-კარს აღარ ვცილდებოდი.

დილ-დილობით მე და ლილი ერთად მივრეკავდით მთაში ძროხებს. ლილის ტყავისძირიანი სანდლები ეცვა. სანდლები ხშირად უტურდებოდა ნამიან ბალახზე. ზოგჯერ მე ვშველოდი — ვიჭერდი, ან განგებ არ ვიჭერდი და ორივენი კოტრიალით მივდიოდით ფერდობზე. ძროხებს სახელდახელოდ მივრეკავდით თხმელის ჯაგებში. აქეთობას ფერდობს შევესოვდით და უზმოზე პირს ვიტყბარუნებდით ცერის სიმსხო მარწყვით. ფერდობზე მარწყვის მეტი რა იყო, მაგრამ ლილის მაინც უჭირდა მონახვა. სანამ იგი მუჟს გაივსებდა, მე უკვე ათიოდე აცმულა მქონდა მზად. მარწყვს კლარტას ხაშრებზე ვაგებდი და ლილის ვთავაზობდი.

სალამობით იმ კუთხის გოგო-ბიჭები ბებია პელაგისას ვიყრიდით თავს. გასართობად ხან რას მოვიგონებდით, ხან რას. ერთხელ დამალობანას თამაში მოგვეპოიანა. თვალის დახუჭვა მეზობლის გოგოს, თამრიკოს, მოუწია. სხვები შლივინით გადაცვივდნენ ყანებში. მე ერთი საწნახელი მეგულებოდა სამზადი სახლის წინ. ლილის ხელი ვტაცე და ორივენი ფაცხა-ფუცხით ჩავცვივდით შიგ.

საწნახელში ხმელი თივა ეყარა. თივის ჩეჩქები ნემსებივით მიჩხვლევდა ლოყას, მაგრამ ამას ვინ უყურებდა. ჩვენ მთელი ტანით ვეკვროდით ერთმანეთს. ყურის ძირში მესმოდა ლილის გახშირებული სუნთქვა. მხრებზე მებჯინებოდა მისი ახალაკოკრილი მკერდი.

— ლილი, — ვუთხარი ჩუმად, როცა ნაბიჯის ხმა გავივონე.

— ჰოო... — გამომეპასუხა შემკრთალი ხმით და ვიგრძენი როგორ აუფართოხლდა გული.

— ლილი, თამრიკო ხომ არ მოდის?

— რა ვიცი...

ეს ყველაზე ბედნიერი წუთები იყო ჩემს ცხოვრებაში. როგორ მინდოდა მისთვის მისთვის ლოყაზე მეოცნა, მაგრამ ვერ გავბედე.

აგვისტოს დამლევს ლილი ქალაქში გაბრუნდა. მე იგი სადგურზე გავაცი-
ლე და თეთრი ვარდების დიდი თაიგული ვაჩუქე. მოწყენილი იდგა ვაგონის კა-
რებთან და გულში ჩემს ნაჩუქარ ყვავილებს იხუტებდა. მატარებელი რომ და-
იძრა, ტირილი მომინდა, მაგრამ მარტო არ ვიყავი და თავი შევიმაგრე. მერე ბე-
ბია პელაგიმ ლილის ხელი მოჰკიდა და ვაგონის კარებს მოაშორა.

ამ ამბის შემდეგ ხუთი წელი გავიდა. ლილი მეტად აღარ ჩამოსულა სო-
ფელში.

შარშან საშუალო დავამთავრე და თბილისს ამოვაკითხე. როგორ ველოდი
ლილის ნახვას, სინამდვილეში კი ყველაფერი ძალიან უბრალოდ და თითქმის
გულცივად მოხდა. იგი ძლივს ვიცანი: დაქალიშვილებულიყო და მოსწავლის
ფორმაც უკვე გაეხადა. ისე, სხვათაშორის, გამოემკითხა ბებია პელაგის და მისი
ჭერამა ძროხის ამბავი. მე დამწუხრებული ჭირისუფალივით მოვუყვები, თუ
როგორ დავლიჯეს ერთ ღამეს ძროხა მგლებმა. წერილიც მინდოდა მომეწერა,
მაგრამ მისამართი არ ვიცოდი-მეთქი. მან გადაიკისკისა და ავღებულად მითხ-
რა: — ერთი შენც... საქმე შემოგლევია!

ლილი ხშირად დადიოდა ჩემს ბიძაშვილთან, ვისთანაც დროებით ვცხო-
ვრობდი. ორივეს ერთი სკოლა დაუმთავრებიათ და მეგობრობდნენ. ყურადღე-
ბას უკვე აღარ მაქცევდა, მაგრამ მისი გამოჩენა მაინც მახარებდა.

ერთ დღეს გავბედე და საკუთარი ლექსების რვეული ვაჩუქე. არ დამიჯე-
რა, შენი დაწერილი არ იქნებაო. მაშინ გულის ჯიბიდან დაქექილი რაიონული
გაზეთი ამოვადქრინე და ორიოდ დაბეჭდილი ლექსიც ვაჩვენე. ამის შემდეგ
თანდათან დამიტკბა. ჩვენ ძველი მეგობრობა გავიხსენეთ...

მისაღებ გამოცდებს ფილოლოგიურზე ვაბარებდი, მაგრამ რუსულ წერაში
ჩავიჭერი. ლილი უცხო ენების ინსტიტუტში მოეწყო.

... დარბაზში შუქი აინთო. ალბათ, კინოს ფირი თუ გაწყდა. მე ფრთხი-
ლად ავიღე ლილის ხელი და თითქმის მივევალერსე. მან ხელი უხეშად გამომ-
გლიჯა და რაღაც ჩაიბუზღუნა. დარბაზში ისევ ჩაქრა სინათლე.

— ის გოგო მოგწონს? — მკითხა ლილიმ და ხელი ეკრანისკენ გაიშვირა.

მომეჩვენა, თითქმის ეკრანის ფონზე მისი ხელი თრთოდა.

მშვენიერი გოგო იყო, მაგრამ მაინც ვთქვი:

— აბა რასა ჰგავს, ლილი, არა?

ამით იმის თქმა მინდოდა, შენს მეტი არავინ არ მომწონს-მეთქი.

ჩემის მხრივ მეც ვკითხე:

— შენ მოგწონს, ლილი, ის ბიჭი?

— კი, გადასარევი ბიჭია! — მიპასუხა მან.

კინო დამთავრდა. ერთხანს ქუჩაში ვისეირნეთ, მერე ბაღში შევედით და
ჭადრის ქვეშ დავჯექით გრძელ სკამზე. ცა მოღრუბლული იყო და ნიავეი აღარ
იძროდა.

— ზღვაზე კარგად დაისვენე, ლილი?

— არაჩვეულებრივად, — მიპასუხა მან, — შესანიშნავი აგარაკი ყოფილა
ხოსტა!

ჭადრის ფოთლებში აქა-იქ ატანდა ელნათურის შუქი. ბაღის სიღრმეში
შადრევანი ხმაურობდა.

— იცი როგორ მომენატრე, ლილი? — ვუთხარი ნაზად და მხარზე მჯდომი მამაჩემი.

— ჩვენს დიასახლისს რადიოლა ჰქონდა, — განაგრძობდა იგი ხოსტის ამბებს, — ღელა, რა ცეკვები, რა ჯაშები...

შუცხე მკერდზე მივიკარი; მინდოდა ჩამეკოცნა, მაგრამ არ დამანება, ჩემი ხელებიდან თავი დაიძვრინა და დამტოქსა:

— ჯაყო ხარ, ნამდვილი ჯაყო!

ხასიათწამსდარი გავედი ბადიდან. ცოტა ხანს მთავარ ქუჩაზე ვიარეთ. მერე ხილეულის წყლებთან შევეხვიეთ და აღმართს ავუყევით. აგურის დიდ სახლთან ლილი შეჩერდა.

— გაბრუნდი ახლა უკან! — მითხრა და სადარბაზო შესასვლელში შეცუნ-
ცულდა.

მე კარგახანს ვიდექი და ვფიქრობდი, რატომ არც ერთხელ არ შემიპატიჟა სახლში, მისიანები რად არ გამაცნო-მეთქი. მერე თავდაღმართზე დავეშვი და ის დრო გავიხსენე, როცა ჩვენ ერთად მივერეკებოდით მთებში ძროხებს.

* * *

იმ წელს დიდი ზამთარი იყო. ქალაქის გარეუბნებს გვიანობამდე შემორჩა ტალახისფერი თოვლი. სამაგიეროდ გაზაფხული მოვიდა უცებ. მაგრად დააცხუნა მარტის მზემ. მთაწმინდის ფლატეებზე ჩამოყიდული ვეეება ყინულის ლოწოვები დატყდა და ოკვათოში ჩაიხეჩრა. ყველგან აწირწყილდა პატარ-პატარა ნაკადულები. მტკვარი მოდიდდა.

მუშყიან ქუჩებში ნაკადულები დაიტოტა და წყალმა ვიწრო ზოლებად ჩა-
მორეცხა ასფალტი. ქუჩა დაემსგავსა წერილი, ლურჯი კაბილარებით დასერილ
ცოცხალ ორგანიზმს.

პარილის დამდეგს უკვე ნამდვილი გაზაფხული იყო. კვირტები დასკდა და განედლებულ ტოტებს კალიებოვით დაასხდნენ ლორთქო ფოთლები. სადამოს მე და ლილი მთავარ ქუჩაზე მივსერილობდით. ზურგში სასიამოვნოდ გვეკბენდა ჩამავალი მზე.

ზამთარი ისე გავიდა, ლილის ორ-სამჯერ შევხვდი. არ მეცალა. გახურებული მუშაობა გეჭონდა.

— გამოცდებს რომ მოვრჩევი, ზღვაზე უნდა წავიდე, — თქვა ლილიმ, — შენ არ წამოხვალ?

— არა, მე ოქტომბერში მეკუთვნის შვებულება.

მას ეცვა მერინოსის ყვითელი ჟაკეტი. თავზე პერლონის ნისლივით გამ-
ჭვირვალე თავსაბური შემოევია. ეს რომ ვუთხარი, სახე უმაცყოფილოდ დაე-
ღმიჭა:

— გააჭირე საქმე შენი მუშაობით და ჭანჭიკებით.

მოდერნიზებულ ვიტრინასთან შევჩერდით. ვიტრინა ლურჯი ქსოვილით იყო მოფირთქლული. უზარმაზარ თაროზე ერთადერთი პაწაბა სუნამო იდგა.

— ძან ორიგინალურია, არა? — მკითხა ლილიმ.

— კია! — ცალყბად დავეთანხმე მე.

ერთ ადგილას სიღამოს გაზეთს ჰყიდდნენ და ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა. ლილამ მარჯვნივ მიმახედა და შავ კოსტიუმში გამოწყობილი ლამაზი მამაკაცი დამანახა. ხელში მას გაგორგლილი ფერადი ქურნალები ეჭირა და ელოდა როდის ანთებდნენ მწვანე შუქს, რომ ქუჩის მეორე მხარეს გადასულიყო.

— ცოლი გაუშვა, თურმე, მაგან, არ იცი? — მითხრა ლილიმ.

— ვინ არის? არც კი ვიცნობ!

— ვაი შენს დღეს... ოპერის სოლისტია!

— აბა მე რა ვიცი...

— შენ არაფერი არ იცი, — გაჩაგრებული ხმით შემაწყვეტინა ლილიმ. —

მე მიკვირს შენ ლექსებს როგორ წერ.

კინოთეატრის წინ, ვიტრინაში, ახალი ფილმის რამდენიმე კადრი გამოეფინათ. ჩვენ დიდხანს ვათვალიერეთ ისინი. ლილის შევთავაზე კინოში შევიდეთ-მეთქი, მაგრამ უარი თქვა, ვიტრინის მინაში თმა შეისწორა და ქვედა ტუჩზე თითი მოისვა.

ოპერასთან ლილის ნაცნობი ვაჟი შეგვხვდა. შევჩერდით.

— იცნობდეთ, პოეტია! — უთხრა ლილიმ ჩემზე.

მე თავი უხერხულად ვიგრძენი.

— ეს კიდეც ჩემი საუკეთესო ამხანაგია!

— ენრიკო, გენაცვალე! — მითხრა ვაჟმა და ხელი ჩამომართვა.

თვალში მომხვდა მისი მოგრძო სახე და ოქროს წყალში ამოვლებული ქინძისთავი, რომლითაც შავი პალსტუხი დამემაგრებინა. ლაპარაკისას ოქროს კბილებს აელვებდა და ტუჩების მკვეთრი მოძრაობით წარმოთქვამდა ყოველ ფრაზას.

— იცი რა ბიჭია, — მითხრა ლილიმ, როცა ენრიკო წავიდა. — მღერის და უკრავს გადასარევად.

— მართლა?..

— აბა შენ კი არ გგავს... დააკვირდი რა კოხტად მოყვანილი თავი აქვს? მასეთი თავი თბილისში ორს არ ექნება!

ღამედბოდა. ლილის ხელი მოვკიდე და თითქმის ძალად შევიყვანე ბაღში. ჭადრის ქვეშ დავსხედით ამოჩემებულ ადგილზე. რამდენი ხანია უკვე აქ აღარ ყოფილვართ.

ნაზამთრ სკამს ფერი წასვლია: ლურჯი საღებავის თხელი ფენა დაბზარულა და აქა-იქ ამოტეხილა კიდეც. ნაბზარებში წვირი გამჯდარა. გაზონებს შორის ზოგან ფხვნილი აგურის ბორცვებია შექუჩებული.

— მგონი ფილარმონიაშიც მიუწვევიათ ახლა, — თქვა ლილიმ.

— ვინ?..

— ვინ და ენრიკო!

ერთხანს უხმოდ ვისხედით, მერე ვთქვი:

— ლილი, წავიდეთ ერთხელ სოფელში. ბებია პელაგი არ გენატრება?

— რას მიაჩემდი ამ ბებია პელაგის, — უკმაყოფილოდ მიპასუხა მან.

ბაღში ნათურები აინთო. შადრევანიც ახმაურდა და საღდაც სიღრმეში რადიო აღაპარაკდა. ჩვენს წინ ახალგაზრდა ქალმა ჩაიარა. გვერდზე მას აჯი-ბა-ჯით მიყვებოდა მოკლემარჯლიანი ბავშვი. ბავშვი ძაფზე გამობმულ ავტოს მი-ახრიგინებდა. მერე ავტო გადაბრუნდა და ღერძებმა მიწაზე მკრთალი ხაზები გაავლო. ბიჭს ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის.

— ლილი, საბოლოოდ სოფელში დავსახლდეთ, არა?

მან ირიბად გადმოხვდა და ჩაიცინა.

— ბიჭო, შენ გამოგყევ და ისიც სოფელში? ჰი, ჰი...

მე ავიღე მისი ხელი და დიდხანს მეჭირა.

— ლილი, გახსოვს, მთაში მარწყვს რომ ვეძებდით?... საწნახელში რომ დავაშავეთ ვიმაღეთ, გახსოვს?

— გამიჭირე საქმე; მაგის მეტი არაფერი გახსოვს!

მალე დავტოვეთ ბაღი. ხილეულის წყლებთან შევეუხვეით და ნელა ავუყევით ნაცნობ აღმართს.

— მართლა, კინალამ დამევიწყდა, — მითხრა ლილიმ და სადარბაზო კარებთან შეჩერდა, — შაბათს დღეობა მაქვს. მოდი!

* * *

შაბათ საღამოს, ცოტა არ იყოს, აღელვება შევატყვევ თავს. უტყბო საზოგადოებაში მომიხდებოდა ყოფნა. ლილის მშობლებსაც არ ვიცნობდი.

ოთახიდან გასვლისას ერთხელ კიდევ ჩავიხედე სარკეში. ახალშეკერილი შავი კოსტიუმი არც თუ ისე ცუდად მადგა ტანზე, მაგრამ მაინც მეგონა უშნოდ გამოვიყურებოდი-მეთქი. ჰალსტუხი მიჭერდა და მოვიხსენი. საერთოდ არ მიყვარდა ჰალსტუხის ტარება.

ლილის სახლს რომ მივეუახლოვდი, აღელვება კიდევ უფრო დამეტყო. სადარბაზო შესასვლელში შევედი და დაბორკილებით ავუყევი კიბეს, თან თვალებს აქეთ-იქეთ ვაცეცებდი. კიბე განათებული იყო. კარებზე გაკრულ რკინის ჟეტონებს მოზინდარეთა გვარი და ინიციალები ეწერა. მათ შორის მე მხოლოდ ყველაზე თვალსაჩინო აბრა წავიკითხე: „დოცენტი ფაცურია ა. ბ.“.

გულში გამეცინა. „აღბათ, ლილის მამაც დოცენტი ან პროფესორი იქნება“, — გავიფიქრე და მესამე სართულზე ზარის ღილაკს თითი დავაჭირე.

კარები ლილიმ გამიღო. ღვინისფერი საღამოს კაბა ეცვა. თვალები უბრწყინავდა. ოდნავ ამოზნექილი თეთრი საყურეები ეკეთა. კაბის ზემოთ გადმოშვებული ყელსაბამიც თეთრი ფერისა იყო. ლოყები წითლად უღვავოდა.

— შემოდი! — მითხრა და თავით ფეხამდე შემათვალიერა.

მე შევედი. ქაღალდში ლამაზად შეხვეული წიგნი გავუწოდე და მეოცე გაზაფხული მივეულოცე.

— წესიერად დაიჭირე თავი... — ჯერ მადლობაც არ გადაუხდია, ისე მითხრა. — შეიხსენი ხალათის ზედა ლილი, თმის გადავარცხნა აღარ შეგეძლო?

მერე მოეჩვენა, თითქოს, ცხვირზე რაღაც შავი მაჩნდა. ენის წვერზე საჩვენებელი თითი დაისველა და ის რაღაც შავი მომაცლია.

ჯერ დერეფანი გავიარეთ, მერე მისაღები ოთახი და ბოლოს ბროლის ჭაღებით განათებულ დარბაზში შევედით. კედლის მხარეს, მთელ სივრცეზე, იდგა თეთრსუფრიანი მაგიდა. მაგიდაზე აქა-იქ ხილით სავსე ვაზები ჩაედგათ. რატომღაც ჭერზე ჩამოკიდებული ჭალი ირწყოდა და მაგიდაზე ვაზების ჩრდილი ქანაობდა.

ენრიკოც აქ იყო. იგი როიალს უჯდა და თავის შესაქცევად რაღაც აკორდებს იღებდა. სხვები მაგიდებს შემოსხდომოდნენ და მხიარულობდნენ. მათგან მე ძალიან ცოტას ვიცნობდი. სათითოდ ჩამოვუარე ყველას და ხელი ჩამოვართვი. მერე მაგიდასთან დავჯექი. დარბაზი შემოვავალიერე. ძვირფასი ავეჯი ცალ მხარეს მიეჭუჭკათ; ნაწილი წინა ოთახში გაეტანათ.

სტუმრები ნელ-ნელა იყრიდნენ თავს. ძვირფასი საჩუქრები მოჰქონდათ ლილისთან. ოჯახის კაცი ჯერაც არ დაბრუნებულიყო სამსახურიდან.

დარბაზში ლილი შემოვიდა; შუახნის ტუჩებზეღებელი ჭალი შემოჰყვა. მას შავი მოარის კაბა ეცვა და ნაკეთები წარბ-წამწამი ჰქონდა. მე მომიახლოვდნენ.

ფეხზე წამოვდექი.

— შენი სოფლიდანაა, — გააცნო ლილიმ დედას ჩემი თავი. — ქარხანაში მუშაობს.

— მართლა? — უი, საზღალი ბიჩი, — თქვა ქალმა და ინტერესით შემომხედა.

ენრიკო ისევ როიალს უჯდა. სტუმრები ფლირტს თამაშობდნენ მაგილასთან.

— წიგნი მაჩუქა, — აცნობა ლილიმ დედას.

მე არ მომეწონა ამ სიტყვების კილო.

ქალმა თანაგრძნობით შემომხედა და თავი დაიქნია.

— ლექსებსაც წერს...

— მართლა ცერ? — მკითხა ლილის დედამ.

ჩემს სიცოცხლეში პირველად შემრცხვა, ლექსებს რომ ვწერდი. სახე ამეწვა.

— ცერე, ცერე, — მითხრა ქალმა და ტანის მოხდენილი რხევით მომცილდა.

თვალი გავაყოლე. უკანდან ის ოცდახუთი წლის ქალიშვილს ჰგავდა.

ლილი ჩემს პირდაპირ დაჯდა. ფლირტის თამაში დავიწყეთ. მალე ქეთინო და ჯონდო შემოგვიერთდნენ, მერე ენრიკოც მოვიდა. დანარჩენები იქეთ ისხდნენ და საუბრობდნენ ოპერაზე, მოდებზე.

— გაიგე, ლილი, — თქვა ენრიკომ, — სიმონა სინიორე ვილაც რემარკს გაჰყოლია.

— უი, რას ამბობ! — შეიცხადა ლილიმ.

მე გამახსენდა როგორ მიქებდა ლილი ენრიკოს თავის მოყვანილობას. გულდასმით შევათვალიერე ახლა, მაგრამ იქ მყოფი სხვა თავებისგან ბევრით ვერაფრით გავარჩიე. თმა კი, უნდა ითქვას, ძალზე შემეჩხრებოდა.

— ივ მონტანი ერთ იტალიელ კინოვარსკვლავს გაჰკიდებია რომში, — განაგრძობდა ენრიკო ახალ ამბებს.

— იასამანი! — მითხრა ქეთინომ და ქალაღი გადმომაწოდა. მე ლილისათვის ვეძებდი პასუხს და ქეთინოსათვის ველარ მოვიცალე. მისი ქალაღი სხვებში ამერია.

— მაგენი თუ დასცილდებოდნენ, არ მეგონა, — თქვა ლილიმ და ენრიკოს ქალაღი გადააწოდა, — ღიღილო!

— აბა, კაცო! — დავმოწმა ჯონდო, — კაცი რას არ გაიგონებს!

მე დაკვირვებით შევათვალიერე ჯონდო. მას ლამაზი, ფერხორცი თხევ, მაგრამ ოდნავ მოყვყეო სახე ჰქონდა, ისევე როგორც ყველა უზრუნველ და ჯანსაღ ადამიანს.

ლილი ახლა სამთან თამაშობდა ფლირტს. მიკვირდა როგორ ახერხებდნენ. წელან ვცადე, მაგრამ ქეთინო უპასუხოდ დამრჩა. მომეჩვენა, თითქოს ლილი მთელი გულისყურით ენრიკოს ეთამაშებოდა, მე კი ზეპირად მისახელებდა სათაურებს. ჩვენი კითხვა-პასუხი უკვე ალთა-ბალთას იყო.

თერთმეტი სრულდებოდა, როცა ლილის მამა სამსახურიდან დაბრუნდა. უკვე მოესწრო ტანსაცმლის გამოცვლა.

ორმოცდაათს მიღწეული მსუქანი კაცი იყო. დამრგვალებული ტანი ლოტოს კოჭს უგავდა. ასე მეგონა, თითქოს პირველადაც არ ვხედავ-მეთქი. ყოველ



შემთხვევაში ძალიან ვამსგავსე ლუდის გამყიდველს, რომელიც პროსპექტში
მასობოდა პატარა ფარდულში.

სტუმრებმა უკლებლივ მოიყარეს თავი. დარბაზში მხიარულებამ იმატა.

— არ დავიცქოთ? — იკითხა ლილის დედამ.

— დავიწყოთ, დავიწყოთ, ვავიანებთ, — უპასუხა მეუღლემ.

ლაპარაკისას მსუქანი ლოყები და ლაბები უთანთალებდა. სიტყვებს ძალ-ზე სწრაფად წარმოთქვამდა, თითქოს სადმე ეჩქარებო. მისი ბოხი ხმა რატომ-ღაც ქოფაის ავ ღრენად ჩამესმა.

პირველად ლილის სადღეგრძელო შევსვით. ყველა ამქვეყნიური სიკეთე და ბედნიერება ვუსურვეთ. ცოტა რომ შევკიკიცოდით, ენრიკომ გიტარა მოი-თხოვა და ქართული ტექსტით რომელიღაც სამხრეთამერიკული სიმღერა იმ-ღერა. მერე გიტარა მე გადმომაწოდა. მთხოვა ჩემი მარიფათი გამომეჩინა.

ორ თავ სიმღერას კი გავტყრიდი, მაგრამ უხალისოდ ვიყავ და უარი ვთქვი. უხერხულობის დასაფარავად ხაჭაპურის ყუას დავუწყე ლოლნა. მაინც არ მე-შეგებოდნენ.

ამ დროს ლილის დედა შემოვიდა და საქმეში ჩაერია. დიანტერესდა, რას მოითხოვდნენ ჩემგან.

— გვიმღეროს რამე, ქალბატონო ელენე, — ცბიერი ღიმილით უთხრა ენ-რიკომ.

მე ისევ ხაჭაპურის ყუას ვცუტქნიდი.

— დაანებეთ, კასო, თავი — გამომეჩომაგა ელენე და მზრუნველად შე-მოძახდა. — ჩამე, გენასეაღე, ჩამე!

მაგიდის თხოვნით ენრიკომ იმღერა კავარადოსის არია. ლილი როიალთან იჯდა.

კლასიკური მუსიკის დიდი არაფერი გამეგებოდა, მაგრამ იმდენი კი მივხე-დი, ენრიკოს სიმღერა რომ საძაგლობა იყო: პირიდან ცოფს ჰყრიდა. სახე ჯერ გაულუწრჯდა, მერე გაუწითლდა და ბოლოს აუჭრელდა. მის შემხედვარეს გუ-ლი შეგიღონდებოდა. ერთ-ორჯერ ყიყლიყოც გაუშვა, მაგრამ მაინც გამოიწ-ვია მაგიდის ერთსულოვანი ტაში და მოწონების შეძახილები.

— კარუზო ხარ, კარუზო!

— ენრიკო ტყვილა კი არ გქვია!

შუალამე გადასული იყო, როცა თამადამ შესვენება გამოაცხადა. მაგიდი-დან ავიშალენით. ენრიკომ ფირფიტები გადაარჩია და რადიოლაზე „აღუბლის ბაღი“ დაუკრა. დარბაზში მოცეკვავე წყვილები გაცურდნენ. მე მაგი-დასთან ვოჯექი და ნაძალადევი ღიმილით ვუტყქეროდი მათ.

— რა ხმა აქვს ამ ენრიკოს, არა? — მითხრა ჯონდომ და გვერდით მომიჯ-ღა.

— მეტი რა აწუხებს, იმღეროს, — ვუპასუხე მე.

— რას ამბობთ; — შემედავა ჯონდო, — უდარდელი კაცი სად ნახულა.

— აი, მაგალითად, თქვენ... — მივანახლე პირში.

მან ქაღალდის ხელსაწმენდი აიღო მაგიდიდან. თითებში მოჭმუჭნა და ბედ-ლაშვარივით ამოიოხრა:

— ეეხ, გარეშე თვალი ყოველთვის ბრმაა... შეიძლება მე სხვაზე მეტი სა-დარდო მქონდეს...

საზიზღრობა, როცა ადამიანი ცდილობს განგებ მოგაჩვენოს თავი უბე-

დურად. მეც ეს გრძნობა განვიცადე ამ წუთში თანამოსაუბრის მიმართ; კიდეც შევეშვი: „ხომ შეიძლება ვცდებოდე?“

— არა მგონია რამე გაწუხებდეს, — ვუთხარი ჯონდოს და თვალებში გამოცდელად ჩაეხედე.

მან თავი დახარა და გამელოტებული კოსრო დამანახა.

— აჰა, ნახე! რად უნდა მცვივოდეს ჯერ თმა? ამაზე უარესი რაღა გინდა! საზღვარგარეთული წამლები გამოვიწერე, რა არ ვიღონე, მაგრამ არაფერი მშველის...

გიჟურმა სურვილმა მომიარა, თითები დამენერწყვა და მელოტზე მეტკიცა ამ ცრუ ფილოსოფოსისათვის. ზურგი შევაქციე. ჩემს მარჯვნივ ქეთინო იჯდა.

— თქვენ რატომ არ ცეკვავთ? — მკითხა მან.

— არ ვიცი ცეკვა, — ვუპასუხე, — რატომაც სულ არ შემრცხვა მასთან ამის აღიარება, — ჩვენს ქარხანაში არის ცეკვების წრე და ახლა ვსწავლობ.

— მე ვიცი, მაგრამ არ მიყვარს, — მითხრა ქეთინომ.

ლილი ენრიკოსთან ცეკვავდა. მომეჩვენა, თითქოს ისინი იმაზე მეტად ეკვროდნენ ერთმანეთს, ვიდრე ეს საჭირო იყო. ამან ცუდ ხასიათზე დამაყენა, მაგრამ მაინც გამეცინა, როცა ელენესა და მისი მეუღლის ტანგოს შევხედე. „წრეხაზი და მისი მხები სხივი“ გამახსენდა საშუალო სკოლის გეომეტრიიდან.

შემდეგ სტუმრები კვლავ მიუსხდნენ მაგიდას. მე და ქეთინო აქეთა მხარეს დავრჩით. ლილი და ენრიკო კედლის მხარეს მოთავსდნენ. მოსამსახურეებმა ცხელი კერძები ჩამოარიგეს. ლხინი გაჩაღდა.

ენრიკო შემწვარი წიწილის საუკეთესო ნაჭრებს თავაზობდა ლილის. ვალში არც ლილი რჩებოდა. მე ვუცქეროდი მათ და თანდათან მიპყრობდა სურვილი წაესულიყავი აქედან.

სადღეგრძელოებს მოკლედ, ორ-ორი სიტყვით ვამბობდი. სამაგიეროდ ჭიქაში არ ვტოვებდი არც ერთ წვეთს. ალავერდს ენრიკოსთან გადავდდი. მინდოდა დამეტრო, მაგრამ ის ცოტ-ცოტას სვამდა. მერე ლილი გამოექემა.

— შენ შევიძლია, ბატონო და სვი; ამას არ შეუძლია ღვინოში ჩაწოლა.

მივხვდი, სისულელე იყო მასთან გაჩიბრება. ახლა უკვე წემთვის ვსვამდი. მაგარი ღვინო იყო; მაინც მეგონა, არ მათრობს-მეთქი, ორიოდ ჭიქა ზედმეტად დავლიე. ქეთინომ შემამჩნია და დამიშალა:

— იცოდე, აღარ გაბედო, დაგაბეზღებ!

თამადას უჭირდა წესრიგის დაცვა. ლაპარაკი, სიცილი და სიმღერა მაგიდის ყველა კუთხიდან ისმოდა.

უცებ მომეჩვენა, თითქოს ენრიკომ წელზე ხელი მოხვია ლილის. ამ ამბავმა უფრო გამაკვირვა, ვიდრე მაწყენინა.

— როგორ ბედავს?! — გავიფიქრე დაბნეულმა.

— რამ გამოგაშტერა! — მითხრა ლილიმ და ათქვირული მკერდი მაგიდას მოაბჯინა. ენრიკომ შეუმჩნევლად მოაცილა ხელი.

უნებურად ხელი წამოვკარი სავსე ჭიქას. ჭიქა შეტორტმანდა, მაგრამ, საბედნიეროდ, არ წაქცეულა. ლალისფერი ღვინო მაინც დაიღვარა და ვარდისფრად დააჩნდა გაქათქათებულ სუფრას.

— ჯაყო ხარ, აბა რა ხარ, — ბრაზიანი ხმით მითხრა ლილიმ. მაგიდის გვერდით დამოხარა და სუფრას მარილი მოაფცქვია სველ ალაგას.

„კმარა!“ გამიელვა სადღაც გონებაში. საოცრად მომინდა გადამებრუნებინა მაგიდა. წარმოვიდგინე კიდევ რა მოჰყვებოდა ამას. წარმოვიდგინე აყირავებული სკამები და დამსხვრეული ჭურჭელი. „ენრიკო, ალბათ, შარვლის წმენდას შეუდგებოდა ყველაზე უწინ“, გავიფიქრე და ესეც თვალნათლივ წარმოვიდგინე. ეს სისულელე რომ არ ჩამეძინა, ფეხზე წამოვდექი, წინ ორი საესე ჰიქა დავიდგი. ორიც ხელში დავიკავე.

— მაპატიეთ, მაგრამ... — დავიწყე უდარდელი ხმით; თან ვიღიმებოდი, — აუცილებელი საქმე მაქვს. უნდა წავიდე!

და ორივე ჰიქა სულმოუთქმელად დავცალე. მინდოდა დარჩენილი ორი ჰიქაც შემესვა, მაგრამ ქეთინომ არ დამანება:

— ოდნავ თუ ჩემი ხათრი გაქვს, ნუ დალევ!

ჩემმა საქციელმა დიდი არევ-დარევა გამოიწვია.

— რა საქმე გაქვს ამ შუალამისას? — შეცბა ლილი.

მე პასუხი არ გავეცი.

— დამკალი ახლა და აგია! — იღრიალა თამადაძე.

თამადასაც არ დავუჯერე.

— ძალიან მეწყინება შენი წასვლა, — მითხრა ქეთინომ.

ქეთინოს ბოდიში მოვუხადე და მაგიდას მოვცილდი. ბარბაცით გამოვედი დერეფანში.

ლილის მამა, რომელიც ამ დროს შევიდა დარბაზში, არეულობის მიზეზს კითხულობდა. ვილაყამ მას უთხრა, რომ მე წავედი.

— რათა, კაცო! — თქვა მან და ეს ხმა მე ისევ ქოფაკის წამოყეფებად მომეყურა:

— ჰაფ, ჰაფ!

„ზალიან ბევრი ღვინო დალია და, ალბათ, აზცქინა! — აუხსნა ელენემ კმარს.

კიბეზე ლილი წამომეწვია.

— რატომ მიდიხარ? — მკითხა და ხმაში შეშფოთება შევატყვე.

მე ერთი საფეხურით ავინაცვლე კიბეზე და ხელი სახელურს ჩავავლე. ლილიმ უნებლიეთ უკან დაიხია. რატომღაც მომეჩვენა, თითქოს შეეშინდა არ გამერტყა და ასე იმიტომ მოიქცა.

— დილით ადრე უნდა გავიდე სამუშაოდ, — ვუთხარი მშვიდად, — ხომ უნდა დავიძინო?

ლილის ეჭვი არ შეპარვია. ვერც ის მოისახრა, ხვალინდელი დღე რომ კვირა იყო.

— ჰოო, კარგი, — მითხრა მან, — ჩქარა სოჩაში წავალთ ზღვაზე. ხომ გამაცილებ?

მე დიდხანს ვუყუარებდი მის მოხდენილ ტანს, ბროლის ტუჩ-კბილს და ეუ. ეუნა შავ თვალებს; მერე ხმადაბლა ჩავილაპარაკე:

— ასეთი კარგი მაინც არ იყო, ლილი!

— რა თქვი?

— არაფერი, ბატონო, გაგაცილებ.

— ნანა და ენრიკო მოდიან კიდევ... შენ არ გცალია და...

— ნახვამდის, — ვუთხარი და კიბეზე დავეშვი.

„გადავიხდი სამაგიეროს!“ გავიფიქრე გულში.

ქუჩაში რომ გავედი, სიმღერა გავიგონე. ენრიკოს ხმა ვიცანი.

— რი-ო-დე-ჟა-ნეი-როო... — გაჰყვიროდა იგი.

სიცივემ ამიტანა; მივხვდი — მთვრალი ვიყავი. საშინლად მომინდა პაპი-როსის მოწევა, თუმცა თვეზე მეტი იყო თავი გავანებე.

ქალაქი დუმდა. ქუჩა განათებული იყო, მაგრამ ახლო-მახლო კაცი არ ჰქანებდა. მხოლოდ ერთხელ ჩაიქროლა მანქანამ და ისიც ჩქარა მოეფარა მოსახვევს. ღამის მყუდროებაში მისი ხმა მაინც დიდხანს მესმოდა.

ღალმართი ჩავლიე და მთავარ ქუჩაზე გავედი. ერთ ადგილას ხმაური გავიგონე. ალსაც მოვკარი თვალი. მივუახლოვდი.

ღამის დარაჯებს გატრეცილ ვედროში ცეცხლი ჩაენთოთ და გარს შემოს-ხდომოდნენ. ორნი იყვნენ.

— თამბაქო მომაწევიანეთ, ძია კაცებო! — ვთხოვე ღვინისგან გათამამებულმა.

ორივემ ერთდროულად გამომიწოდა „ყაზბეგის“ კოლოფი. კოლოფში იაფფასიანი სიგარეტები ეყარა. მე ერთი ცალი ამოვიღე და მუგუზალებზე მოვუცი-დე. ბოდიში მოვუხადე. შეგაწუხეთ, პაპიროსიც წაგართვით-მეთქი.

— აბა რას ამბობ, შვილო, — იწყინეს დარაჯებმა, — თუთუნს და წყალს ჩვენ მტერსაც არ დავამადლით!

გათენებამდე ვიხეტიალე ქუჩაში. შინ რომ მივედი, ღვინო უკვე გამოგალე-ბული მქონდა.

* * *

სპეცტანსაცმელი განგებ არ გამოვიცვალე. ქარხნიდან პირდაპირ ბაღში შევიარე და გვარიანად დავისვენე. რვა საათამდე არ გადიოდა სოჭისკენ მატარებელი. მანამდე დრო მქონდა, ლილის მივუსწრებდი.

პავილიონში ნაყინი ეჭამე. ზედ ორი ჭიქა ლიმონათიც დავაყოლე. ბაღიდან მოგვიანებით გამოვედი.

იქვე ქუჩის კუთხეში სარდაფი იყო. აბრაზე ფერადი ასოებით ეწერა „ყვა-ილეები“.

ქვის კიბით სარდაფში ჩავედი.

სარდაფში გრილოდა. ყვავილების, ხავსის და ნესტის სუნე ერთმანეთში იყო არეული.

— რა გნებავს? — მკითხა მკაცრი სახის მეყვავილემ, რომლის არც ხმა არ გგუებოდა აქაურ გარემოს.

— თეთრი ყვავილების თაიგული, — დანაბარებივით ვუთხარი, თან შეშის ხმელი პანელებით მორთული კედლები შევათვალიერე.

— ამოირჩიე, რომელიც მოგწონს, — თქვა მეყვავილემ და ხელი ქოთნე-ბისკენ გაიშვირა.

მე წინასწარ ვიცოდი რომელი ამომერჩია.

— აი, აქედან გამიკეთე... ოღონდ ჩქარა!

მეყვავილეს ეგონა, შევცდი; ამიტომ არაფერი არ გაჰკვირვებია, მხოლოდ ამისხნა:

— ესენი, ბიძიკო, ქაღალდის ყვავილებია; გასანთლული ქაღალდის ყვა-

ვილები. მაგათ სუნი არ აქვთ. მაგით ჩვენ გვირგვინებს ვუყუებთ მიცვალებუ-
ლებს...

— ვიცი, — შევაწყვეტინე მე და საათზე დავიხედე.

ახლა კი დაიბნა მეყვავილე.

— ბიძიკო, მახლობელი ვინმე დაკარგე?.. მაშინ გვირგვინს გაგიკეთებ.
გინდა გაგიკეთო გვირგვინი?

— აჰო ვითხარი, ძია კაცო, მაგვიანდება-მეთქი!

გაკვირებული მეყვავილე თაიგულის შეკვრას შეუდგა. თან იმეორებდა,
რომ ესენი ქაღალდის ყვავილები იყო და სუნი არ ჰქონდათ. მუშაობა რომ და-
ამთავრა, თაიგული რატომღაც ისევ ქოთანში ჩადო.

მე ისინი ქოთნიდან ამოვიღე და ვთხოვე შემოეხვია ქვემოდან რაიმე. მინ-
დოდა ხის ღეროები დამემალა, რომლებზეც ქაღალდის ყვავილები სპილენძის
რბილი მავთულით იყო მიმაგრებული.

მეყვავილე დარწმუნდა, რომ ნამდვილად მყიდველი ვიყავი. ხის ღერო-
ებს დაბლა ლურჯი ფილტრის ქაღალდი შემოახვია და გამზადებული თაიგუ-
ლი გამომიწოდა. მე ფული გადავიხადე და სარდაფიდან ამოვედი. მშვენიერი
თაიგული გამოვიდა; შორიდან ცოცხალი ყვავილებისა გეგონებოდა.

მატარებელს სულზე მივუსწარი. გამცილებლები ის-ის იყო ტოვებდნენ
ვაგონებს. ლილი და ენრიკო კარებთან იდგნენ. მათ უკან ნანა იდგა. იმისი მხო-
ლოდ თავი მოჩანდა მეწინავეთა მხრებს შორის.

აქვე იყო ელენე, ჯონდო, ქეთინო და სხვა გამცილებლები. ქეთინოს სუ-
როსფერი „კლიოში“ კაბა ეცვა. მე რომ დამინახა, სახე გაუბრწყინდა.

— ალბათ, აღარ მოვა! — ამბობდა ჩემზე ლილი.

ქეთინოს შემდეგ ელენემ შემნიშნა. როცა მან თვალი შეავლო მაზუთის
ლაქებით აჭრელებულ ჩემს ბლუზა-შარვალს, გულწრფელი სიტყვებით წამო-
იძახა:

— უი, ქე მოვიდა საზღალი ბიჩი!

ის იყო ლილის თაიგული მივაწოდე და მატარებელიც დაიძრა.

— ნახვამდის! — მითხრა ლილიმ და ყვავილები ცხვირთან მიიტანა.

— მშვიდობით! — მივაძახე მე და იქაურობას გავეცალე.



ნოღაი შამანაძე

საქართველოში იმგვარი მზეა...

საქართველოში იმგვარი მზეა,
ცაც იმგვარია,
ღარიც იმგვარი, —
ჩვილი რიყეზეც არ ნახავს ზიანს
და ფრთებს შეისხამს როგორც გრიგალი.
ბევრჯერ სიბნელე მეფობდა კრული,
მიწა კენესოდა მტრებით ნათელი,
სახლიც ეწვოდა, ეწვოდა გულიც,
შვილებს კი მაინც ზრდიდა ქართველი.
ერთს კი არ ზრდიდა უსისხლოს, დამგვანარს,
ვაჟკაცებს ზრდიდა: ქუდი ეხურათ
ხერხეულიძის ცხრა ძმათა მსგავსად,
ბევრი ათი ძმაც ქუხდა ვეფხურად.
შვილთა სიმრავლით სიხარულს ნახავ,
კაცი მოასავით შეიმართები,
დედისერთები გახშირდნენ ახლა,
ძნელად გვხვდებიან დედისათები.

რამდენს მეტს გავზრდით, ვიქნებით მძლავრი
და იძლიერებს ჩვენი მამულიც.



რომ ჯინჯიხაძე

ს ა ა ც ი ა

ჩემი ფანჯრის წინ ისე დგახარ განმარტოებით,
რომ შემოდგომა მე მგონია შენგან დაიწყოს,
ოქროსფერ ფოთლებს აღარ გარჩენს წვიმა და ქარი
და გაზაფხული თითქოს შენთვის სულაც არ იყო.
ვხედავ ცივ ქარში ფერმიხდილი როგორ კანკალებს,
რად ემონები ასე მწარედ ბუნების ძალას,
თუ სხვა ფიქრებმა გული შენი დაისაკუთრა
და შენც კაცივით, აკაციავ, რაღაცას მალავ.
თუნდაც არა თქვა, მაინც ვიცი მოვა პირველად,
არ მოგიხდება შენ წარსულზე ფიქრი და გლოვა,
დაითოვლები, დაირხევი ნორჩი ყლორტებით
და გაზაფხულის სურნელება შენთანც შემოვა.
გიშვერ და ვფიქრობ, რომ ვერაფერს დაგაკლებს ქარი,
თუნდაც გაახმოს, დაამტვრიოს შენი ტოტები,
და სანამ დგეხარ, ფესვი მიწას ჩავიბჯენია,
შენ, აკაციავ, ზეზეურად აღარ მოკვდები.



იკონ კოხჩავიძე

ლექსები აჭარაზე

„მამ მეც მომეცი ფშავლის სიქველე, მეღვას ზაპესის შუქი შეიდგე-
რი, რათა ვუმღერო მე საქართველოს უკრაინული ჩემი სიმღერით“.

ეს სიტყვები ამ ოცი წლის წინათ თქვა ნიჭიერმა ახალგაზრდა უკრა-
ინელმა პოეტმა არონ კოფშტეინმა. მაგრამ მან ვერ მოასწრო ბოლომდე
ეთქვა თავისი სიტყვა; ამ ლექსის დაწერიდან ერთი წლის შემდეგ, 1940
წლის 4 მარტს იგი გმირული სიკვდილით დაეცა თეთრფინელებთან ბრძო-
ლის ველზე.

ა. კოფშტეინი რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს. იმოგზაურა აჭა-
რაშიც. მან მოკლე ხნის განმავლობაში ისე შეისწავლა ქართული ენა, რომ
ექსპრომტად პატარა ლექსებსაც თხზავდა ამ ენაზე. შესანიშნავი პოეტური
ოსტატობითაა დაწერილი ლექსები აჭარაზე. მათგან აღსანიშნავია „ბათუ-
მი“, „აჭარელი ქალიშვილი“, „ბათუმის საბავშვო ბაგები“ და სხვ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ა. კოფშტეინის ორ ლექსს. „ბათუმი“ თარგმნილია
თეიმურაზ ჯანგულაშვილის, ხოლო „აჭარელი ქალიშვილი“ ემელიან ქუჩ-
დიანის მიერ.

ბ ა თ უ მ ი

ზღვას ბულვარზე თუ სურს გავლა, —
მოაწყდება ტალღით ნაპირს,
მისრიალებს, მიჰქრის ნავი,
ზოლად რჩება თეთრი ქაფი.
აქ შავ ზღვაზე თეთრი აფრა
შორს მიფრინავს გამალებით,
მას ზღაპრულად გრძელი ფოთლის
ხელს უქნევენ ბანანები.
სცადო კიდევ, — ვერ დახატავ,
სიმღერითაც ვერ იმღერებ;
ეს ბუნება დალოცვილი
როგორ ჰფანტავს ელვის ფერებს;
იმიტომ რომ ბათუმივით

ლამაზ ადგილს ვერსად ნახავ, —
ზღვის ქალაქი მშვენიერი
გადაშლილა ზღაპრულ ბაღად.
ბულვარს მისდევს პალმის ჯარი,
გულზე ვარდი მეფინება,
მოპრიალე ზღვის სარკეზე
ყირა შეჰკრეს დელფინებმა.
ზღვის პირს მდგარი ეს ქალაქი
ცასა სწვდება მზიან მხრებით,
აქ მიწის ქვეშ, დიდ მიღებში
ჩქეფენ ნავთის ნიაღვრები.
უხვ შუქს აფრქვევს მზე ციტრუსი
აყვავებულ ბათუმ-ქალაქს,

მანდარინის, ციტრუსების
ძარღვებში ჩქეფს მისი ძალა.
შორი მხრიდან ჩამოსული
უცხოელი მატროსები
ამ უმდიდრეს, ლამაზ ქალაქს
გაჰყურებენ გაოცებით.
აქ ბედნიერ პიონერებს
თვით სახკომიც ხვდება ღზნით,
აქ საქვეყნო დოვლათს ჰქმნიან
მეზღვაურნი, მებალენი.
მსურს ბათუმში დავესახლო,
ზაფხულობით დამწვას მზემა,
ვლიდინებდე ამ ზღვის ახლოს,

თვალი მომჭრას მისმა მზერამ.
ლიმონები დავრგო ბაღში,
მუშა ვიყო, ნავთის მხდელი,
ხან დელფინებს მივუცურდე,
ხან გავცურო ზღვა სიმღერით.
... დე, მხატვარმა თეთრი აფრა
დამიხატოს მე შავ ზღვაში,
კვლავ რომ ისევ ბათუმში ვარ,
დავიჯერებ მხოლოდ მაშინ,
დავიჯერებ, მის ქუჩებში,
რომ კვლავ ვმღერი ტკბილქართულად
და კეთილი მასპინძლები
მიღიმიან თბილად, ძმურად.

აჭარელი ქალიშვილი

ცისკრის ქამი არის გრილი,
თუმცა მწველი მიჰქრის ქარი;
აჭარელი ქალიშვილი
კარებს ალებს თვითმფრინავის.
ჩართავს მოტორს, ავა მალლით
ქალიშვილი ფრთებიანი,
ძირს აჭარულ ყაბალახით
თავწაყრული მთები არის.
მიჰფრენს, ქართან მართავს ჭიდილს,
წინ მამული მოიხატა,
ცის კიდიდან ჰფანტა ნისლი,
თითქო ჩადრი მოიხალა.
ძირს გოროზი მთა-ფიქალი
არწივების წილხვედრია.
აჭარელ ქალს ნაფიქრალი
სიმღერებად წინ ხვდებიან.



პადეჰი ბიუსოვი

ასურული ლურსმული წარწერა

მე — ბილ-იბუსმა ამოვკვეთე სიტყვები ესე.
მე — ასურთ მეფის დიდ მემკვიდრეს არ მყავდა ტოლი.
იავარკჷმნიდი ქალაქებს და ვმუსრავდი ტომებს,
აღვაშენებდი ქალაქებს და ღმერთების ტაძრებს.
თანამეცხედრედ მშვენიერი ნირგალი მყავდა.
ტუჩვარდო ნირგალ, მთვარე იყავ ვარსკვლავთა შორის.
დალალ-კავები, ნირგალ, გჷონდა ღამისებრ შავი.
ქუძუს კერტები, ნირგალ, წითელ ყვავილს გიგავდა.
მე შენი თეთრი თეძოები ძოწით შევმოსე.
შენს სურნელოვან ფეხებს, ნირგალ, ოჷრო ჩავაცვი.
როცა შენ მოკვდი, მე ორმოც დღეს უჷმელი ვიყავ.
როცა შენ წახველ, მოვკალ კაცი ათი ათასი.
მე — ბილ-იბუსი დიდი მეფე ვიყავ ამ ქვეყნად,
მაგრამ შენ ქრები ვარსკვლავით, აღამიანო!

* * *

სად ნილოსი მიდის ნელა,	ვით ოზარისი იზიდას —
სადაც ელავს ტბა მერიდა,	მეფეს დას და მეგობარს
სად მგზნებარე მეფობს რა,	და აფენდა პირამიდა
შენ გიყვარდი დიდხანს ტკბილად,	ჩვენს დაისებს ჩრდილის ფრთას.

პირველყოფილ ადამიანთა სიმღერები

უმარჯვე შუბლში,
უმარჯვე მკერდში,
უმარჯვე ღვიძლში,
უმარჯვე გულში,
უმარჯვე ფერდში,

უმარჯვე ფენთხში,
უმარჯვე ფაშეში,
უმარჯვე ჩქარა!
მარჯვედ ესროლე,
მარჯვედ ესროლე.
დაუღეწე ნეკნები,
მოუგრიხე კისერი,
ამოუგდე თვალი,
როცა გაიქცევა,
დაუმიზნე ზურგში,
ოჰო! ოჰო! ოჰო!

* * *

კენგურუები მარდად გარბოდნენ,
მე კი იმათზე მარდად.
კენგურუ იყო ძლიერ მსუქანი,
და მე შეგვამე იგი.
დაე, იქნიოს ხელები ალმა,
დე, ატყრცილდნენ ხმელი ტოტები,
კოცონის ირგვლივ შავი ჩრდილები
ბარემ აცეკვდნენ მალე.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ.



1840

1840

1960

პიუტა აბაშიძე

1840-1960

ქართველი ხალხი აკაკის საქართველოს
ბუღალტრულ ექსპერტს.

აკაკი ბედნიერი იყო, რომ მის სიცოცხლე-
შივე ერი ხელით ატარებდა და გულში იკრავ-
და — ასეთი საერთო სიყვარული იშვიათად
თუ ვინმეს ღირსება.

ჩვენი გამოჩენილი პედაგოგი იაკობ გო-
გებაშვილი სამართლიანად ამბობდა: „აკაკი—
საქართველოა“. დამახასიათებელია, რომ აკაკის
დაკრძალვაზე არ იყო გვირგვინები, იყო მხო-
ლოდ ერთადერთი გვირგვინი მთელი ქართვე-
ლი ხალხისაგან წარწერით: „აკაკის—საქარ-
თველო“.

1915 წლის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრ-
ება“ (№ 3) აკაკის შესახებ აი რას ვკითხუ-
ლობთ:

„გვარიშვილობამ, ოჯახმა, განათლებამ, მა-
შინდელმა გარემომამ და საზოგადოებრივი
ცხოვრების პირობებმა აკაკის ყოველივე უხვად
მიანიჭა, რომ ის მალე ცხოვრების თავში
დარჩენილიყო და პირად განცხრომასა და ფე-
ფუნებაში ტკბილად ეცხოვრა, მაგრამ აკაკიმ
უარყო ყოველივე ეს და დაბლა დაეშვა, ძირს
ჩამოვიდა და ჩაგრულთა შორის დაბინავდა.

სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული,
ქეშარიტი დემოკრატი, პირდაპირი, გულ-
ახილი, შეუპოვარი, უშიშარი ზღაპრული
პერსონაჟი — თავს დასტრიალებდა ჩვენს
ცხოვრებას და გზას უკვლევდა ქართველ ერს
ბრწყინვალე მომავლისაკენ“...

აი, ვინ იყო აკაკი და ამიტომაც ასე უსაზ-
ღოდ შეიყვარა იგი ქართველმა ხალხმა. მისი
„დაფი და ნაღარა“ მუდამ აღაფრთოვანებდა
ტანჯულებს მტანჯველების წინააღმდეგ საბრ-
ძოლველად.

ამრიგად, დიდი პოეტი თავისი ხალხის გუ-
ლის მესაიდუმლე, მისი ჭირისა და ღვინის თა-
ნაზიარი, მისი პირველი ჭირისუფალი იყო.
სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გამთბა-
რი, მომავლის რწმენით აღსავსე მისი პატ-
რიოტული ლექსები ადვილად იკვლევდა გზას
ხალხის გულისაკენ.

ეს ასე იყო საერთოდ, მაგრამ მე აქ მინდა
აღვნიშნო ის გარემოება, რომ აკაკის ხმა-
ტკბილად პანგებმა განსაკუთრებით დიდი რო-
ლი შეასრულა მრავალტანჯული აჭარის მოსახ-
ლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვივების
საქმეში. აკაკის ლექსების პატარა კრებულები,
რომლებსაც აჭარაში ავრცელებდნენ ზაქარია ჭი-
კინაძე და მისი მსგავსი მამულიშვილები, ჩვენს
გულში აღვივებდა დედა-სამშობლოს უსაზღვ-
რო სიყვარულის გრძნობებს, გვიწვავდა სი-
მნევესა და მომავლის რწმენას.

1878 წელს დიდი რუსეთის დახმარებით და
ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლით,
საუქუნოებით დაკარგული ქმეხი, სამხრეთ სა-
ქართველოს ნაწილი — აჭარა დახსნილ იქნა
თურქ დამპყრობთა ბატონობისაგან და შე-
უერთდა დედა-სამშობლო საქართველოს. ამ
ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით 1878
წლის ნოემბერში თბილისში ჩავიდა აჭარის
დელეგაცია, რომელსაც ქართველმა საზოგა-
დოებმა საზეიმო სადილი გაუმართა დაკარგუ-
ლი ქმეხის უკან დაბრუნების აღსანიშნავად.

ამ სასიხარულო შეხვედრაზე მგოსანმა აკა-
კიმ აღფრთოვანებით წარმოთქვა სადღეგრძე-
ლო: „ახლა ვხედვით, — თქვა პოეტმა, —
რომ ჩვენი წინაპრების დაბრუნებანი აქეთაც
და იქითაც შენახულა და ამით სჩანს, რომ

ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი“.

დიხს, ჩვენი სასიკადულო მგოსანი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი არასოდეს არ ყოფილა მოშლილი, მაგრამ ჩვენს ძმურ კავშირს, ჩვენს ვინაობას, საუკუნეების განმავლობაში სისხლში ახშობდნენ, პირიდან ენას გვეგლეჯდნენ, ცეცხლითა და მახვილით ძმებს ერთი მეორისაგან ვეთიშავდნენ თურქი დამპყრობნი, პანისლამიზმისა და პან-თურქიზმის იდეების მატარებელი ზოგადმოვლები.

მე მქონდა ბედნიერება, რომ პირადად შევხვედროდი ჩვენს დიდ მგოსანს აკაკის.

ამ შეხვედრის ვითარება ასეთი იყო: აკაკის მონაწილეობით ქუთაისში 1914 წლის 29 მაისს სალიტერატურო საღამო გაიმართა. იმ დროს დროებით ქუთაისში ვიყავი და საღამოზე დასასწრებლად თეატრის სალაროში ბილეთის შესაძენად მივედი. ბილეთები დიდხანსით ადრე გაყიდულიყო. თეატრი გაქვდილი იყო, ძალიან ბევრი, მათ შორის მეც, უბილეთოდ დავრჩით. ეს ამბავი ჩემს ახლო მეგობრებს ია ეკალაძესა და ილია ბახტაძეს ეცნობებინათ აკაკისათვის.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა აკაკის მითითებით ილია ბახტაძემ შემიყვანა თეატრში და დამსვა იმ ლოჯაში, რომელიც გამოყოფილი იყო აკაკისა და მისი სტუმრებისათვის.

რა თქმა უნდა, ასეთი ყურადღება მართომე არ მეუთვნოდა, იგი იყო გამოხატულება იმ დიდი მშობლიური სიყვარულისა, რომელსაც მუდამ იჩენდნენ ჩვენი ბუმბერაზი ქართველი მოღვაწეები აჭარის მიმართ.

ფარდა აიხდა და მცხოვანი მგოსანი სცენაზე გამოჩნდა. თეატრში დიდხანს ტაში და ოვაიები არ შეწყვეტილა.

სიხარულით აღტაცებულს, კარგად ვერც კი გამერკვია, თუ სცენაზე რა ხდებოდა, ვნატრობდნენ მხოლოდ იმ წუთების მოახლოებას, როცა აკაკი ჩვენთან შემოვიდოდა. აი, აკაკი სცენიდან ლოჯაში შემოვიდა, მოდიმარი სახით, სხეებთან ერთად, მეც ხელი ჩამომართვა და დაედა.

მე იმ დროს 21-22 წლის ახალგაზრდა ვიყავი; მოწონებით ფეხზე ვიდექი და აღტაცებით შევიტყუროდი დიდი ადამიანის მოლიმარ სახეს. ბევრჯერ გამიმეორა დემჯდარიყავი, მაგრამ მე მაინც ფეხზე ვიდექი, სანამ თვითონ არ მომიცა ხელი და გვერდით არ დამისვა.

მისი პირველი სიტყვა ის იყო, რომ მიცნობდა გაზეთებში დაბეჭდილი ჩემი წერილებით, ზაქარია ჭიჭინაძის, ოსიებ იმედშაფილისა და გაზეთ „ბათუმის გაზეთის“ რედაქტორის ნაამბობით.

მე ვთხოვარი, რომ ჩვენი მტრების წინააღმდეგ მის უკვდავ ქმნილებებსაც ვიყენებოდით და მაგალითისათვის ვუამბე იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც 1914 წლის დასაწყისში გვეკონდა გაჩაღებული ვინმე ყარაღაზადეს წინააღმდეგ, რომელმაც ვითომცა სტუმრად იყო ჩამოსული ბათუმში. მას თურმე კონსტანტინეპოლში დაემთავრებინა თურქული ენის უმაღლესი სასწავლებელი და ბათუმში „სტუმრად“ ჩამოსვლის დღიდანვე, სიტყვით თუ პრესის საშუალებით, ეწეოდა პანისლამიზმისა და პან-თურქიზმის მავნე იდეების აგიტაცია-პროპაგანდას, მოგვეწოდებდა ხელი აგველო ჩვენს მშობლიურ ქართულ დედა-ენაზე და ჩვევებზე.

აკაკის მოკლედ გავაცანი 1914 წლის მუსავატელების ბაქოს თურქულ გაზეთში „ილბალი“ (№ 628) გამოქვეყნებული ყარაღაზადეს წერილი, სადაც იგი აჭარლების შესახებ წერდა: „ისტორიის მიხედვით ქართველი მუსლიმანები ქრისტიან ქართველებიდან გადასულან, ე. ი. ისინი სხვა ბევრ მუსლიმანებსავე უწინ მუსლიმანები არ ყოფილან, მათ მუსლიმანობა მიუღიათ და თურქებთან შეერთებულან, ამიტომ მუსლიმანების ქართველობაზე გადაყვანა ყოველად შეუძლებელია“.

რასაკვირველია, ყარაღაზადეს ბოროტი გამოსვლები ჩვენ უყურადღებოდ არ დავტოვებოდა და იგი იმუღლებული გახდა ბათუმშიდან მაღე გაპარულიყო.

აკაკის აგრეთვე გავაცანი 1914 წლის 15 მაისის „ბათუმის გაზეთში“ (№ 38) დაბეჭდილი ჩემი წერილიდან ის ადგილი, სადაც ყარაღაზადეს ასე ვუპასუხებდი: „ბ-ნი ყარაღაზადე ტყუილად ირჩება იმის დასამტკიცებლად, რომ თითქმის სარწმუნოების გამოცვლასთან ერთად — გამაჰმადიანებულმა ქართველობამ დაჰკარგა თავისი ეროვნული სახე. მართალია თურქთა ბატონობამ და ისლამმა თავისი ბეჭედი დაასო მას, მარა ეროვნული თვით არსებობა და ერი ვერ აღმოფხვრა მასში. ამას უტყუარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ მაჰმადიანობასა და თურქთა გავლენას ჩვენზე 300 წლის ისტორია აქვს, ჩვენ მაინც ეროვნულად ქართველები დავრჩით, არ გადაგვყარდით. ასეთი ტიპები როგორც თვით ბ-ნი ყარაღაზადე ბრძანდება, საბედნიეროდ ჩვენში ნშეიკითია... ყარაღაზადე-ი გვიჩვენებს ჩვენ ქართველ მუსლიმანებს, რომ ჩვენი დავიფიყით და სხვის მისვლით“...

ჩემი საუბარი აკაკისთან დავამთავრე ჩემს წერილში ყარაღაზადეს წინააღმდეგ გამოყენებული აკაკის სტრიქონებით:

„გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია, მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია“.



ამ სიტყვების გაგონებაზე აკიმი თავზე ხელი გადაისხმა და ღიმილით მიიხრა: „გისურვებ წარმატებებს და სიმართლისათვის; სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე ქედი არავის წინაშე არ მოგეხაროს“.

აკის ეს სიტყვები მუდამ თან მახლდა და მუდამ ეცდილობდი ვყოფილიყავი ერთგული მამულისწილი.

აკიმი შემდეგ იკითხა მემედ აბაშიძე, გულო კაიკაციშვილი, რეგებ ნიქარაძე და თქვა: „მოხარული ვარ, რომ ახლა სარბიელზე ჩნდებიან გამაჰმადიანებული ქართველი პატრიოტები, რომლებიც ქართველი ხალხის მოწინავე შვილებთან ერთად ხელი-ხელ ჩაიდებულნი თვალდებით იბრძვიან საქართველოს ერთიანობისა და მისი ბედნიერი მომავლისათვის“.

აკიმი ჩემთან საუბარი ასე დაამთავრა: „მე ღრმად მწამს გმირული წარსულის მქონე ქართველი ხალხის დიდი მომავალი და ვინატრებდი, რომ მეც მოვსწრებოდე მის ბედნიერებას“.

მე იმ დროს საზოგადოებაში ახლად ფეხადგმული ვიყავი და ამ დიდი ადამიანის პირადად გაცნობამ ჩემს გულში საქართველოს სიყვარული უფრო გააღვივა და განამტკიცა.

1914 წლის 29 მაისს ქუთაისში აკის მონაწილეობით გამართული სალიტერატურო საღამოს შემდეგ ის მალე ლოგინად ჩაწვა და 1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა თავის სოფელ სხიტიორში.

აკის გარდაცვალება ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს და მისმა მალმერთებელმა მშობლიურმა ხალხმა ცხარე ცრემლით დაიტრია იგი.

ჩემდა სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო, აკის დაკრძალვას ვერ დავესწარი, მაგრამ ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ აქ მოვიყვან იმ სამძიმრის დეპუტის შინაარსს, რომელიც აჭარელთა ერთი ჯგუფის მინდობილობით გავუზგზავნე ქართველ მოღვაწეთაგან საგანგებოდ შექმნილ აკის დამკრძალავ კომიტეტს. ეს ჩემი დეპუტა აგრეთვე გამოქვეყნებული იყო 1915 წლის 4 თებერვლის ქუთაისის გაზეთ „სამშობლოში“ (№ 3). აი, ამ დეპუტის შინაარსი: „ქართველი ერის ნაწილ-ნაგრევეებს, ისედაც ბედისაგან დაწყევლილ-დატანჯულებს, ტანჯვაზე-ტანჯვა აღარ გვეზორდება და ამ უკანასკნელმა, სამუდამოდ დაუფიქყარმა თავზარდამცემმა საქართველოს დიდებული შვილის დაკარგვამ, გადააჰარბა ყოველ ტანჯვას... ჯგუფის მინდობილობით, ჰაიდარ აბაშიძე“.

აკის დაკრძალვას აჭარელთაგან მხოლოდ მოხუცი გულო კაიკაციშვილი, რომელიც თავს დაადგა აკის კუბოს და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „გვედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალი და ერთი ხელით სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვიანათონ — და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედა ენა, გვიხსნან იმ გავირვებისაგან, რომელშიდაც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით...“ (კრებული „მშური სიტყვა“, 1915 წელი, გვ. 59).

როცა მოხუცი გულო კაიკაციშვილი აკის კუბოსთან ამ სიტყვებს წარმოთქვამდა და როცა აკის დამკრძალავ კომიტეტს აჭარიდან სამძიმრის დეპუტას ვუზგზავნიდით, მაშინ ვილჰელმის გერმანიასთან კავშირში მყოფი თურქი დამპყრობლების ჯარები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ დედა-სამშობლოს ერთგულ აჭარას. თუ რა მდგომარეობა იყო იმ დროს აჭარაში, ამის ნათესაყოფად აქ მოვიყვან 1915 წლის 10 მარტის გაზეთ „სამშობლოში“ (№ 31) გამოქვეყნებული ჩემი წერილიდან ერთ ადგილს: „ოსმალეთის წყალობით კიდევ განადგურდა ნახევარი სამაჰმადიანო საქართველო, კიდევ დაინთხა მათი უღანაშუალო სისხლი. როგორც ვხედავთ, აჭარის მხარე გათელილია, საუკეთესო ძალა მოისპო და ვინც დარჩნენ, ისინიც უკანასკნელ წუთებს განიცდიან“. ამავე წერილში მოვეწოდებდი ქართველ ხალხს, რომ აჭარა ეხსნა სრული განადგურებისა და მოსპობისაგან.

აკის კუბოსთან მოხუცი გულო კაიკაციშვილის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა და აჭარის უმწეო მდგომარეობის გამო ქართველი ხალხის მიმართ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილმა მოწოდებებმა მთელი საქართველო ფეხზე დააყენა გასაჭირში მყოფი თავისი ღვიძლი ძემის — აჭარლების საშველად. მართლაც, აჭარას დიდი მშური დახმარება გაუწია მთელმა საქართველომ, რუსეთის პროგრესულმა ძალებმა და იგი გადარჩა განადგურებას.

ქართველი ხალხის მოწინავე შვილები, აკისა და ილიას მეთაურობით, აჭარლებს მუდამ გვანუგებდნენ: „მშობო, დადგება ღრო და თქვენს ტანჯვასაც ბოლო მოეღებო“.

მართლაც დადგა ეს სანატრელი ჟამი.

წარსულში მრავალტანჯული და დღეს კი ბედნიერებით აღსავსე აჭარა ჩვენს საყვარელ მგოსანს თითქმის საფლავში ჩასძახებს: „გაიხარე — ასრულდა შენი ნატვრა და აღსდგა შენი საყვარელი „ცა-ფირიუხ, ხმელეთ-ზურმუხტი“ საქართველო“.



რევით ნახვალაძე

აქაკი ბათუმში

ლამეა. ქალაქის ქუჩებში ადამიანთა ფეხის ხმა მიწყდა. ნავსადგურიდან ხანგამოშვებით ისმის „ვირა“ და „მანას“ ძახილი. მთვარის მკრთალი შუქი ვერცხლისფრად იღვრება უსწორმასწორო ქვაფენილზე და აკიფებს მოედნის ცენტრში აღმართულ ტაძრის ჯვარს, რომლის პირდაპირ მაღალი კოშკიდან სინათლის შუქი მოჩანს. ფოთელებმა იციან, რომ კოშკში სინათლე ძალიან გვიან ქრება, რადგან აქ მთელი ღამეებით მუშაობს ქალაქის მოამაგე ნიკო ნიკოლაძე.

მაგრამ ახლა ნიკო მარტო არ არის. მასთან ზის ძვირფასი სტუმარი, თანამოკალმე და მეგობარი აკაკი წერეთელი. დიდხანს, დიდხანს გაგრძელდა საუბარი. სამი დღე რომ ერთმანეთს გადაეხას, მათ სალაპარაკო არ გამოეცვალათ. სასიამოვნოა მათი შეხვედრა. ორივეს შვიი წვერი ამშვენებს. აკაკის მოღიშარი სახე და გაბრწყინებული დიდრონი თვალები რაღაც დიდ განცდაზე მეტყველებენ.

— ჰოდა, ჩემო ნიკო, — განაგრძო პოეტმა, — ამას წინათ გურაის ვესტლუმზე, ნავომარში სიმონ გუგუნავა ვინახულე. ნიჭიერ პოეტთან ყოფნამ და სიამოვნებამ მოლოდინს გადააჭარბა. გუგუნავები, დიდი და პატარა, ჩონგურისა და ლეკის ნამდვილი ოსტატები არიან. ჩავედით ოზურგეთს, ვინახულეთ პეტერბურგიდან დაბრუნებულ გრიგოლ გურიელი, რომელმაც ცხენებზე შეგვესვა და აჭის ციხისაკენ გავგასეირნა... გრიგოლმა ციხის სიმალიდან დაგვანახა ხშირი ტყეებით დაფარული ლაითურის ფერდობები, კინტრიშის სოფლები, საიდანაც ნათლად მოჩანდნენ ჩვენი ძმისშვილები — ტიტოკიანა მწყემსი გოგო-ბიჭები. მათ დანახვზე რეტი დამესხა, გული შემეკუმშა, ენა დამება და თითქმის გო-

ნებაც დამეკარგა. დაბარბაცებული ჩამოვჯექი ციხის ნანგრევზე და მომაგონდა შენი „ნაგრძნობი და გავონილი“, თვალწინ წარმომიდგა ციხისძირი — ქაჯეთის ციხე, ბათუმი, ჩვენი წარსულის დიდება აბსარის ციხე და მრავალტანჯული ქართველები. კვლავ გაცოცხლდნენ და მომევიწინენ ჩემი „თორნიკე ერისთავის“ იარაღ-ასხმული მეგრძოლები, ფიქრებში წავედი და ვინ იცის როდემდის ვიქნებოდი ასე გავგნებუ-ლი, რომ გრიგოლ გურიელი არ დამლაპარაკებოდა.

ნიკო გულდასმით უსმენდა მეგობარს, რომელიც საუბრის დამთავრების შემდეგ წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და თვალებიდან მოიწმინდა ორადორი კურცხალი.

— ეჰ, რას იზამ, ჩემო აკაკი, მოთმინება გვმა-რთებს. მგონი რუსეთი, რუსი ხალხი ამ ისტორიულ უსამართლობას გამოუსწორებელს არ დატოვებს. ახლა ეს საკითხი მომწიფებულა, — უთხრა ნიკომ აკაკის და საათს გახედა.

... ნიკომ ვერ დაიძინა, რადგან სტუმრის ოთახიდან საშინელი შფოთვა, ბორკვა და წუხილი ისმოდა. იგი წამოდგა, ფეხაყრფით მივიდა კარებთან, შეიჭვრიტა, მაგრამ არ შევიდა.

— ნეტავი რა მოუვიდა, ხომ არაფერმა აწყინა? — გაიფიქრა ნიკომ და ოთახში შესვლა დააპირა, მაგრამ ისევ თავი შეიკავა. მალე შფოთვა შეწყდა. ნიკო ჩაწვა. გავიდა რამდენიმე წუთი და აკაკი წამოდგა, სახიდან ჩამოღვრილი ოფლი მოიწმინდა, ფეხაყრფით შევიდა მეგობართან და საგანგებოდ განახული ნიკო შეან-ჯროდა.

— ნიკო, ნიკო, მამატიე რომ გავაღვიძე, მაგრამ ძალიან დაღლილი ვარ, ვთხოვ ჩასწვრი! — ხმაჩახლეჩილი ეუბნება აკაკი ნიკოს, რომელიც

განგებოსად თვალებს იფშენეტს. ნიკო წამოღდა, ლამა აანთო და შეხედა დატანჯული სახით გამოშვარულ პოეტს, რომელსაც ხელში ქაღალდი და ფანქარი ეჭირა. აკაკი კარნახობს და ნიკო აჩქარებით წერს:

ვით სპილო არ მრწამს სპილოდა,
თუ აღარა აქვს ხორთუმი,
იხე კავკასი კავკასად,
თუ არ ექნება ბათუმი...
ჭოროხი ჩვენს ძველ დედებს
წაიღებს, შავს ზღვას შერთავსო,
თუ დაგვეყარა ის წყალო,
ჩვენს „ვაის“ „უის“ შერთავსო!
ზედ იალბუზზედ შემდგარი
ქართლოსი ამბობს ამასო
და, როს იქნება, შვილებმაც
ერთხმად მოვძახით მამასო!..

აქ პოეტი შეჩერდა. კვლავ ოფლი მოიწმინდა. ნიკო ცდილობს ყველაფერი ჩქარა ჩაწეროს და სიტყვებს თვითონ იმეორებს:

შენც ხომ ყურს უდებ, აპარა?
ძველ დროში ჩვენო ძმა ტყილო,
რომელ ძმად გხედავ აწ არა.

კარნახი დამთავრდა. ნიკო გაკვირვებულია ამ შეთხზევით, მაგრამ არ იმჩნევს:

— რას არქმევ ამ ლექსს. აკაკი ჩემო? — ღიმილით ეუბნება და ჩანაწერს აწოდებს.

— ფოთს შევარქმევ, რადგან ფოთმა, რიონის დუღუნმა და ჩვენმა ამელამდელმა საუბარმა ამიშალეს ბათუმისა და ჭოროხის ხილის სურვილები. აი, თითქოს, ახლაც მესმის რიონის ჩივილი, ჩემი მშფოთვარე და მოუსვენარი ძმა ჭოროხი მტერმა დაატყვევა და იხსენითო, თითქოს გონიოც მომძახოდეს — მისხენით, სანამ მტარკალები მთლად დამანგრევედნენო.

— მეტად ახირებული ხალხი ხართ პოეტები, — სიცილით ეუბნება ნიკო აკაკის, — კაცო! იმდენს სწუხდი და ბორგავდი, რომ ავად შეიქმენ მეგონა!

— მართალს ამბობ, ჩემო ნიკო. სხვების არა ვიცი რა, მაგრამ ჩემი ყოველი ლექსი თუ პოემა ასეთი ტანჯვით შექმნილია! — უპასუვებს აკაკი და მასპინძელს მშვიდად ძილს უსურვებს.

* * *

სასახლის ქუჩაზე, თავდაზნაურობის სახლის შესასვლელთან არაჩვეულებრივი მოძრაობაა. შენობის დიდი დარბაზი კანდელითა და ლამპიონებით გაჩირალდნებულა. გრძელ მაგიდასთან ჩამწკრივებულან სტუმრების მომლოდინე მო-ჩუქურთმებული სკამები. მაგიდა სავესა გემრიელი საჭმელებითა და ნაირ-ნაირი სასმელით. გარბიან და გამორბიან თეთრთავსაფრიანი ლამაზი ქალები და სუფრას შნოსა და ლაზათს მპატებენ. ისმის მუსიკის ხმა, ხოლო გვერდით ოთახში დიდ მრგვალ მაგიდას შემოხსნომიან

გრიგოლ ორბელიანი, სერგეი მესხი, ღიმილთი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ალექსანდრე ყიფშიძე, რადიელ ერისთავი, მამია ილ მეფისოფი, გიორგი წერეთელი. მათ გვერდით ზის შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი. მას გადაშლილი შუბლი, ნათელი სახე, დარბაისლური მიხვრა-მოხვრა აქვს, წყნარად და სასიამოვნოდ საუბრობს. სახეზე ყველას ღიმილი გადაჰყავს. იგი გამოწვევლია დიდი ეროვნული სიხარულით — დედა საქართველოსთან აპარის შეერთებით.


გავიდა ცოტა ხანი და ნაქებმა თამადა რადიელ ერისთავმა ყველანი დარბაზში მიიწვია. მაგიდის მარცხენა მხარე უჭირავს აპარელთა დელეგაციას, რომელსაც შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი მეთაურობს. იგი ქართულ ჩოხაშია გამოწყობილი და მხრებზე რუსეთის არმიის გენერლის სამხრებები უბრწყინავს. შერიფის გვერდით სხედან მოსირმულ ჩაქურაში გამოწყობილი ქართველი მუსლიმანები: გული ალა კაიკაციშვილი, მემედ ალა ჭყონია, ზაზიფ ფეფენი ციხაძე, აბაშიძეები, ქიქავები და სხვები. თითოეულ მათგანს სახე უღიმის და თვალები უბრწყინავს. რადიელ ერისთავი ტაშის გრიალსა და მრავალამიგრის გულწრფელ სევამ ძვირფასი სტუმრების სადღეგრძელოს ჩვეულებისამებრ ყველა ცილობს სადღეგრძელოში გამოხატოს განუზომელი სიხარული და ბედნიერება. სადღეგრძელოს წარმოთქვამს პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომლის ამაღლებელმა და შინაარსიანმა სიტყვამ დიდი აღტაცება გამოიწვია. ღიმილთი ყიფიანი ერის სახელით მადლობას გამოთქვამს რუსი მხედრობის მიმართ, რომელთა უძლეველი იარაღით „ძველს მოძვედეს... თვალთა ვხედავთ და ძმურის სიყვარულით შევკვართ“.

ღიმილთი შემდეგ ფეხზე წამოდგა და ხელში ქიჩა აიღო აკაკი წერეთელმა. იგი დიდხანს ვერ ახერხებს სიტყვის დაწყებას. შეკრებილთა აღფრთოვანებასა და სიხარულს საზღვარი არ აქვს. პოეტი მზესავით გაბადრული სახით და ალერსიანი თვალებით მისჩრებიან ძვირფასი სტუმრებს. ყველას გული წყდება, რომ აკაკის გვერდით არ დგას დიდი ილია. წამით სინთმე... და დარბაზში გაისმის პოეტის ზავდროვანი ხმა:

„— ბატონებო! ბევრი ქართული ღვინო გვიანა, ხავს, ზმირად დავსწრებიერთ სუფრაზედ, სადაც ჩვეულებრივი მოლხენა და გულკანსნილობა ყოფილა. მაგრამ ისიც კი არ დავგრჩენია შეუნიშნავად, რომ ხანდახან ამ მოლხენის დროს ზოგიერთ მოლხინე ქართველების მხიარულ სახეს ქმულების ღრუბელი გადაჰყვრია, თითქოს იმათ იმ დროს რაღაც სწყვედრათ გულსა, თითქოს ისინი მაშინ რაღაცას ინაკლისებდნენ იმ მდიდარ სუფრაზე!..“

დღევანდელი ღვინო კი, ვხედავთ, სხვაგვარია: მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო.

და რას უნდა მივაწეროთ ეს? თუმცა თვითონ



ეული თქვენგანიც კარგად გრძნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამის მიზეზია დროთა-
ვითარებისაგან დაშორებული ჩვენის მოძევებ-
ის, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდე-
ბიან, დღეს ხელ-ახლად ჩვენთან შემოერთება
და ძლიერად შეკავშირება.

დიად, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლიან მი-
ვიდეთ ჩვენის წინაპრების საფლავებთან და ჩა-
ვსძახთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გა-
გვიფუჭებია!

და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი?

... აქ მე ნამეტანს არას ვიტყვი. ეს ან-
დერძი იყო: დედა-ენა და ერობა. ამავნის საღი-
დებლად ბევრი შრომა გაუწევია და დიდი
მსხვერპლი შეუწირავს ჩვენს ნეტარსენებულს
მამა-პაპებს.

პირველი, ესე იგი, ენა, ისე მდიდრულად შე-
უჯშამათ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ
კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება და
არა თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომელნიც
რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში დამორე-
ბულები გვყავდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დე-
და-ენა ტკილად სასუბროდ.

მეორე, ესე იგი, ერობა, ისე მდიდრულად
შეუთმუშევებიათ და ისეთ გვარად აუბეჭდავთ,
როგორც გარეგანის, ისე შინაგანის საკუთრად
ქართველის ერის საკუთვნელ ნიშნებით, რომ
დღესვე ქართველი ერისი შეხედვისთანავე იც-
ნობა. ესევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებ-
საც; ამის დასამტკიცებლად შორს ნულარ წა-
ვალთ, — საკმაოა, რომ აქვე, აი სუფრაზედ,
მივიხედ-მოვიხედოთ.

ახლა ვხედავთ, რომ ჩვენის წინაპრების დანა-
პირები აქეთაც და იქეთაც შენახულა და ამით
სჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურ-
მე არასოდეს არ ყოფილა მოშლილი!...

სადღეგრძელო ტაშის გრილმა დაფარა. მო-
სიმღერეთა ჯგუფმა მუშლი მუხსას დაიწყო და
ერთბაშად მთელი დარბაზი ავუგუნდა. მნათო-
ბივით იდგა აკაკი მაგიდის შუაგულში და გულო
აღა კაიკაციშვილის სამადლობელი სიტყვით
ტკებოდა.

გადიოდა დრო. ქართველი ინტელიგენცია
ძალიან არ იშურებდა მოძმეთა დასახმარებ-
ლად. აკაკის, ილიასთან ერთად, მთელი გულის-
ყური აშარისკენ ეჭირა, აშარაც დიდად აფასე-
ბდა ამ ზრუნვასა და ამავს.

... შემოდგომა იდგა. დილის ნიაჲ ეალერსე-
ბოდა ბათუმის ქუჩებს. შავი ყურძნის მტევნე-
ბით დახუნძლული ვენახის ღერწები შემოხვე-
ოდნენ სახლების აივნებს. სადგურის ბაქანზე
შეგროვილ ხალხს წინ თაიგულიანი ქალიშვილე-
ბი ჩასდგომოდნენ, ხილი მთორე ხმარეს ჩამ-
წკრივებულიყვნენ ბათუმის გიმნაზიის მოსწავ-

ლები. ბაქნის ერთ-ერთ ბოძთან იდგნენ, მ-
ანდრონიკაშვილი, ივანე მესხი, ნიკოლოზი
მიხეილ შარაშიძე, გულო ალა კაიკაციშვილი
და სხვები.

მატარებელი გაჩერდა და ვაგონის კარებთან
გამოჩნდა მოღიმარი აკაკი, რომლის დანახვზე
ხალხში გაისმა სასიხარულო აღტაცებული შე-
ძახილები:

— ბატონი აკაკი!

— აკაკი გვესტუმრა! კეთილი იყოს თქვენი
მოზრძანება, დიდო პოეტო!

ყველაზე პირველად ვაგონში თაიგულიანები
აიჭრნენ. პოეტი სიყვარულით ჰკოცნიდა ყვე-
ლას. სიყვარულით მიესალმნენ მას ადგილობრი-
ვი მოღვაწენიც. ყველა ცდილობდა პოეტისათვის
საყურადღებო რამ ეთქვა. ჯერი მიდგა გიმნაზი-
ელებზე, რომლებიც ცდილობდნენ ხალხის
ტალღის ვარღვევას და პოეტთან მისვლას. აკაკი
მივიდა მათთან, ყველას მიესალმა და მამაშვი-
ლური სიტყვა უთხრა.

პოეტი სადგურის მოედანზე გავიდა. მის
თვალწინ გადაიშალა ხალხის ზღვა, რომლის წინ
იდგა ძვირფასი ქსოვილებით გაწყობილი ცხე-
რნებგამოსხილი ეტლი. უცებ გიმნაზიელები გარს
შემოეხვივნენ პოეტს, ხელში აიტაცეს და ეტლი-
საკენ გააქანეს. ტაშის გრილი და სასიყვარუ-
ლო შეძახილები აყრუებდა იქაურობას.

— რა გვარი ხარ, ვაქაკო, ასე გულმოდგინე-
თ რომ მჯიღეები? — აივარსიანად უთხრა პოეტ-
მა ერთ მაღალსა და შეგვრემან გიმნაზიელს და
სიყვარულით ხელი მოხვია.

— ალექსანდრე თირაშვილი ვარ, დიდი მგო-
სანო! — მორცხვად მიუგო ახალგაზრდამ და
სხვებთან ერთად ეტლში შეება. თაიგულეებში
გახვეული ეტლი საყრებულოსაკენ გაექანა. ქუ-
ჩა ხალხს ვერ იტევდა. ყველა ესწრაფოდა პო-
ეტთან ახლო ყოფნას, ყველა ცდილობდა მისი
ყურადღების დამსახურებას.

ნაძევებში ჩაფლული საკრებულოს დარბაზი
ხალხს ვერ იტევდა. სცენაში პოეტის გამოჩენამ
დიდი ივაცია გამოიწვია. ყოველი კუთხიდან
ისმოდა ძვირფასი სტუმრის სადიდებელი სიტყ-
ვები. დავით კლდიაშვილმა ტაშის გრილში გახ-
სნა აკაკისადმი მიძღვნილი საღამო. პოეტს სი-
ტყვებით მიმართეს ივანე მესხმა, ნიკო ჯაყელი,
გულო ალა კაიკაციშვილი. დიდ მგოსანს სიყ-
ვარულით მიესალმნენ მანათაშვილისა და როტშილ-
დის ქარხანათა შუშები. ბათუმის პირველი სკოლ-
ის სახელით საყვარელ სტუმარს სიტყვა უთხრა
მასწავლებელმა მიხეილ შარაშიძემ. ქართველი
მამპაღიანი მოსწავლეების სახელით მან მადლო-
ბა გადაუხადა პოეტს იმ ზრუნვისათვის, რომე-
ლსაც იგი იჩენდა სკოლის საკეთილდღეოდ. შემ-
დე გიმნაზიის მოსწავლეებმა წაიკითხეს აკაკის
ლექსები და პოემების ნაწყვეტები.

დადგა ყველაზე სანატრელი წუთი, მადლობა-

სათვის სიტყვა აიღო აკაიმი, მაგრამ ეს არ მოხერხდა. დარბაზში ჰქუხდა განუწყვეტელი ტაში, გაისმოდა შეძახილები. მიუხედავად აფელეებისა, პოეტმა მგრძნობიარედ გადაუხადა მადლობა საზოგადოებას და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თუ რაოდენი გარჯა იყო საჭირო აქარის გაღონიერებისა და განათლებისათვის.

* * *

ერთი კვირა საჭარტველო გლოვობს. ქაშვეთის ეკლესიიდან მოისმის გულისმომკვლევი სამგლოვიარო ვალოზა.

1915 წლის 7 თებერვალი, შაბათი. დღეს ქართული ერი მთაწმინდის მიწას აბარებს თავის სათაყვანო მგოსანს. დღის სამი საათია. გოლრეინის პროსპექტზე ხალხის უწყვეტი მდინარე მდორედ მიიზლანუნება. ძვირფასი არშეებით შემკობილი კუბო ერეკნის მოედნის შუაგულში, სახელდახლოდ გაკეთებულ ტრიბუნასთან დაასვენეს. მოედანზე ტევა არ არის. აივნებიდან გადმოუფენიათ ძაძები. ქართველი ქალები და ქალიშვილები სამგლოვიაროდ შემოსილან. გაიმის გულისმომკვლევი გამოსათხოვარი სიტყვები. პირველი სიტყვას ამბობს ნიკო ნიკოლაძე. მას ცვლის ეკატერინე გაბაშვილი. იგი გულმდუღარედ დასტირის სანუკვარ პოეტს. აი ტრიბუნაზე შედგა ღრმა მოხუცი, რომლის სანდომიანსახეს დიდი მწუხარება ემჩნევა. მას ტირილისაგან თვალები დასწითლებია, ნაოქებისაგან დაღარული სახე ვაჟფითრებია და შესაბრალოსად გამოიყურება. მწერალი ქალი მარამ გარიყული, რომელიც ცნობისმყოფარობით მისჩერებია მოხუცს, გვერდით მდგომ ზაქარია ჭკინაძეს ეკითხება:

— ზაქრო, ვინ არის ეს მოხუცი.

— გულო აღა კიკაციშვილია, აქარელთა დელეგაციის მეთაური! — უბასუნა ზაქარიამ და თვალი მიაპყრო გულო აღას, რომელიც მწუხარედ დასჩერებოდა პოეტის ცხედარს.

— ნამდვილო ქართველო თავაღო აკაი!

ეს რაღაც სხვანაირი ამბავია! დღეს მოყრილია მთელი საქართველოს ერი. სხვა ერებიც ბევრია მათ შორის და გარს ეხვევიან შენს კუბოს, თითქოს რაღაცას გეხვეწებიან: დაჩიო, ანუ გაბარებენ რამეს საქართველოს შესახებ წარსულ დიდ წინაპრებთან, მაგრამ არა მგონია, უენო ხარ, სულთა ცოცხალი და უკვდავი, თორემ ენა და სხეული ვერ მიიღებს ამ შევედრებას, არა, გვგონებ მისთვის არიან მოსულნი, რომ თავყანი სცენ, ვითა ცხოველის მყოფელს, შენ

დიდებულ გვამს. მეც ამათ რიცხვში ურგვეფარ, მოხუცებულო, უძლური ქართველი მუსლმანი, გამოგზავნილი სამესხეთის მხრიდან, იმ მხრიდან, რომელიც სამას წელზე მეტია მოიტაცა მტერმა და მოაშორა საქართველოს. გამოგზავნეს და დამავალეს, რომ მათ მაგიერადაც თავყანი ვსიკე შენს დიდებულ ცხედარს და თუ მოვახერხე, ორიოდ სიტყვა გითხრა.

— საქართველომ მუდამ მტრის ბრძოლაში ატარა თავისი სიცოცხლე. თუ სპარსნი, თუ ოსმალინი და სხვა ერებიც ღვრიდნენ მათ სისხლს და აოხრებდნენ ქართველთა ერის სადიდებელ ნაშთებს და ამგვარად საქართველოს ისტორია ქართველთა ერის წამების ისტორია არის. მაგრამ წამებულთა შორის განსხვავება არის. სამ ქვაში, მტერთან ბრძოლის დროს, მოხდება, რომ ორი მტრის ტყვეით ვანგძირული უკან მობრუნებულა, წყლული მოურჩენია და დარჩენილა თავის ოჯახში. მესამე კი სულ მტრის წაუყვანია ტყვეთ და ჩაუვლია ვანუწყებელ სატანჯველში. აი, სწორედ ქართველმა ერმა, ოსმალეთთან მრავალ საუკუნის განმავლობაში ბრძოლის დროს, დაჰკარა ერთი მისი ძმა — მხარე სამცხე-საათაბაგო, უბრველესი მისი მხარე, ის მხარე, სადაც იმჟა უკვდავი შოთა რუსთაველი და მრავალნი მეგრძოლნი გმირნი და სამას წელზე მეტი იყო, რომ ეს დაკარგულნი ძმები ქართველებს თვალითაც აღარ უნახავს.

ბოლოს კი წარსულ რუს-ოსმალეთის ომის დროს მოხდა ვანგება და კვლავ შემოგიერთდით ჩვენს უფროსს მოძემ ქართველებს და ვსუნთქავთ ქართველ ერთან ერთად. და ამ დროს, სამასი წლის შემდეგ, სადაც შევიწახეთ ქართული დედა-ენა, ჩვენც ვეღირსეთ დავგენახა დიდებული აკაი, სინათლე, რომელიც ვითარცა უკვდავი შენ აღუნთე ქართველ ერს.

მაგრამ ჩვენი მხარე მეტად დაბნელებული იყო და ერთი საათი ვერ მოეფინება ყველგან სინათლე, და საჭიროა, რომ აქეთ უფრო მრავალი სანთელით შემოვიდნენ, და გვევდრები დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალი და ერთი ხელიო სანთელი ჩვენსკენ დაიჭირონ, გვანათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედა-ენა, გვიხსნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიდაც ნამეტურახლა ვიმყოფებით. აღარ შეგაწყუნებ, გაცხონის ღმერთმა და გისურვებ, რომ შენფერი შვილი ბევრი გამოჩენოდეს საქართველოს, ვანათებულს შენგან ანთებული ჟინდილით!



გიორგი მთაწმიდელი

საქართველო და ქველი ქართული ლიტერატურა

ახალი ქართული ლიტერატურის ისეთი კორიფეები, როგორც იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა და სხვები, თავიანთი ზოგიერთი თხზულების შექმნის დროს უხვად სარგებლობდნენ ჩვენი ძველი მწერლების ლიტერატურული მემკვიდრეობით, შემოქმედებითად ავითარებდნენ საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ მოტივებს, უხვად იყენებდნენ წინაპართა მიერ შექმნილ ფორიზმებსა და მხატვრული მეტყველების ხერხებს, აგრეთვე კრიტიკულად განიხილავდნენ და ობიექტურად აფასებდნენ ძველი ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან მოვლენებსა და ცალკეულ მწერალთა ლიტერატურულ მოღვაწეობას.

განსაკუთრებით დავალებულია ძველი ქართული ლიტერატურით დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი. როგორც ირკვევა, თავისი რამდენიმე თხზულების თემა მას აუღია ძველი ქართული ლიტერატურიდან. ასე, მაგალითად, ცნობილი პოემის „თორნიკე ერისთავის“ შექმნის დროს გამოუყენებია XI საუკუნის გამოჩენილი მწერლის გიორგი მთაწმიდელის თხზულება, რომელშიც აღწერილია იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრება, ხოლო მეორე პოემის „წმინდა ნინო, ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში“ შეთხზვისას უსარგებლოა ძველ ქართულ ლიტერატურაში ძლიერ პოპულარული ძეგლით „ნინოს ცხოვრება“.

„თორნიკე ერისთავი“ აკაკის გ. მთაწმიდელის თხზულების ის ნაწილი გამოუყენებია. სადაც აღწერილია იოანესა და თორნიკეს ცხოვრების პირველი ნახევარი, ქართველი მეფის კარზე მათი მოღვაწეობა და შემდეგ ბერად შედგომა.

გიორგი მთაწმიდელი თავის თხზულებაში იოანეს შესახებ ამბობს, რომ იგი იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპათაგან დიდებული და წარჩინებული, მხნე და ახოვანი და „განთქმული წყობათა შინა“, მაგრამ ქრისტეს სიყვარულის გამო სოფლის ყოველივე დიდება „შეურაცხყო და ნაგევად შეპრაცხა“. პირველად ის, როგორც ავტორი გადმოგვცემს, „მთასა ულუმბოსასა მიიწია“, „ხოლო შემდგომად რაოდენისამე ჟამისა... მთაწმიდას მოვიდა, ლავრასა დიდისა ათანასესა, და მუნ შეეწყნარა და აქუნდა თავი თვისი ფარულად“¹. თავის პოემაში აკაკი ყოველივე ამას ასე გადმოგვცემს:

„მხედართმთავარ-უხუცესად
იყო მაშინ იოანე,
შემდეგში რომ ბერად შედგა,
დღეს უღომბოს აქეს სავანე.
სანამ მტერი გარს გვეხვია,
მძევნეარება, ვითა ლომი,
გოლიათის შემბას ჰგავდა
მისი ბრძოლა, მისი ომი“.

იოანეს გადასვლა კი ულუმბოს მთიდან მთაწმინდაზე, ათანასეს ლავრაში, აკაკიმ ასე აღწერა:

„ათონის მაღალ მთაზედა,
მთაწმინდად სახელდებულსა,
სადაცა უდაბნოებასა
და ტაძრებს წმინდად გებულსა

1 გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამოცემა, თბილისი, 1946, გვ. 15-17.

(შემდგომშიც ციტატებს მოვიტანთ ამ გამოცემის მიხედვით. ბ. ქ.).

რიცხვი არა აქვს, იქ ლავრა,
ლაულებელი ფასისა,
ყველაზე პირველი არის
დიდისა ათანასისა“.

„აქვე მოსულა ულუმბოთ
იოანეცა ქართველი
და მორჩილების დროსაც
გასთქმია დიდი სახელი“.

მეორე სახელოვანი ქართველის თორნიკეს შესახებ გ. მთაწმიდელი მოგვითხრობს, რომ მონაზონად აღკვეცის შემდეგ იგი იოანესთან გაემგზავრა ულუმბოს. ვინაიდან „ფრიადი სიყვარული აქუნდა მისსა მიმართ, მას მოჰმართა და ულუმბათა შთაჰოვიდა“. მაგრამ რაკი „მუნვერ პოვა, ფარულად გამოიწულილა და. ცნა, ვითარმედ მთაწმიდას არს.“¹ იქ წავიდა და მონაზონად მისი ხელით მიიღო.

თორნიკეს მთაწმინდაზე გამგზავრება, იქ იოანესა და თორნიკეს შეხვედრა აკაკიმ ასე ასახა პოემაში:

„ერთელ დილას იოანე
შემდგარიყო მალალ სერზედ
და ცრემლები ნეტარების
ეცემოდა სპეტაკ წვერზედ.

ამ დროს მის წინ, ვით ჩვენება,
გამოცხადდა მგზავრი-მწირი;
დაეშო და თაყვანისცა,
მოარიდა განზრახ პირი.

მივარდა და ხელი სტაცა,
ააყენა დაჩქარებით;
რომ შეხედა, უფრო შეკრთა,
მიაჩერდა გაშტერებით...
აკვირვებდა ულონდელი
ჩვენება და სანახავი:
იმ გლახაკის სამოსელში
იცნო თორნიკ ერისთავი“.

გ. მთაწმიდლის ძეგლში შემდეგ აღწერილია სკლიაროსის აჯანყება და საბერძნეთის მიმემდგომარეობა. სკლიაროსმაო, გადმოგვეცემს იგი, ხმელეთზე „კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი და დიდოფალი შეწყუდელულად იყუნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროვებითა“. რაკი „ჩვენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არსო“, აჯანყებით „შეშინებულმა ბერძნებმა დავით კურაპალატთან შუამავლობა თხოვეს ათონის მონღავწეს თორნიკეს. თორნიკე დიდი თხოვნის შემდეგ დათანხმებულა და საბერძნეთის დედოფლის წერილი დავით კურაპალატისათვის მიუტრთმევია. კურაპალატმა და ქართველობამ ყურად იღეს დედოფლის თხოვნა

და „ლაშქარი წარმოგზავნენ საბერძნეთსა და სასლარად თორნიკ განაჩინეს“¹.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში აღწერილი ამ ისტორიული ფაქტის შესახებ აკაკი ამბობს:

„ის იყო სპარსთა მმართველი,
სკლიაროს ერქვა სახელი.
თითქმის ბრუსამდე მოადგა,
ხმელეთით გზების შემკვერელი,
და კოსტანტინეს ქალაქის
არის აღების მსურველი“.

მოხუცი სევასტოფორი ურჩევს დედოფალს, „შუამდგომლობა სთხოვონ ათონის მონასტრის ერთ-ერთ ქართველ მოღვაწეს.

„მოვიხმობთ ერთი მათგანი,
ვაკისროთ მოციქულობა,
რომ მეფეს სრულად გადასცეს
ეს ჩვენი ჭირნახულობა“.

შემდეგ პოემაში ვრცლად არის აღწერილი თორნიკეს საქართველოში გამოგზავრება, მისი შეხვედრა დავით კურაპალატთან და დიდი თხოვნის შემდეგ ჯარების მთავარსარდლობაზე დათანხმება.

ქართულმა ლაშქარმა თორნიკეს სარდლობით სასტიკად დაამარცხა აჯანყებულები, რასაც გიორგი მთაწმიდელიც ადასტურებს: კურაპალატმა მისცა თორმეტი ათასი მხედარი „რჩეული თორნიკის და შეწყვენიტა ქრისტესითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია“².

პოემაში შესანიშნავი პოეტური ოსტატობით არის ასახული ბრძოლის სურათები, რაც ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში, რასაკვირველია, არ გვხვდება.

ძველი ქართული ლიტერატურიდან აყავის უფრო მეტად იზიდავდა და თავისი პოემებისათვის იყენებდა ისეთ ძეგლებს, რომლებშიც უფრო მკვეთრად იყო გამოხატული ეროვნულ-პატრიოტული განწყობილებანი. ამის გამო მას, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დაუტოვებია „ნინოს ცხოვრება“, რომელიც თავისი ეროვნული ტენდენციებით ძლიერ ახლო იდგა პოეტის პატრიოტულ იდეებთან და მშვენიერადაც გამოიყენა იგი თავის პოემაში „წმინდა ნინო, ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში“.

აკაკი წერეთელი აგრეთვე საკმაოდ დავალებულია ბესარიონ კათალიკოსის ჰაგიოგრაფიული თხზულებით „შესხმა წმიდათა მოწამეთა ბიძინასი, შალვასი და ელისბარისი და უწყება წამებისა მათისა“, რომელშიც აღწერილია აღმოსავლეთ საქართველოში XVII საუკუნის მეორე ნახევარში შაჰ-აბაზ მეორის შემოსევის შემადრწუნებელი სურათები. ამ

1 იქვე, გვ. 17, 19.

2 იქვე, გვ. 19.

1 იქვე, გვ. 17.

თამარ მეფე თავისი მსლბელებით მას სიხმარ-
ში ამგვარად წარმოსდგომა:

„ტახტზე იჯდა თამარ მეფე,
მომხიბლავი, ეშხიანი!..

მარცხით უდგა თინათინი,
მარჯვით — ნესტან-დარეჯანი“.

ხოლო მშობლიური ქვეყნის სიახაყე რუსთ-
ველი პოეტს ასე ესახება:

„შემოვიდა რუსთაველი,
ის სულმნათი და მგოსანი,
ხელში ეყვრა მოწიწებით
მისი „ვეფხისტყაოსანი“.

თამარ მეფისა და რუსთაველის ურთიერთო-
ბას მთქმუნა აგრეთვე აკაიმ ლექსი „რამ გა-
მოიწვია „ვეფხისტყაოსანი“. ამ ლექსს საფუ-
ძვლად უდევს ცნობილი ხალხური გადმოცემა
თამარისა და რუსთაველის სამიჯნურო დამო-
კიდებულების შესახებ, რაც, მართალია, დღეს
უარყოფილია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა
აკაის დაუცხრომელი ინტერესი რუსთაველის
ცხოვრებისა და მისი პოემისადმი.

აკაის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ გაჩენა გა-
ნაპირობა დიდი თამარისა და უცვლადი პოეტის
სასიყვარულო ურთიერთობამ. თამარის სამი-
ჯნურო წერილი რომ მიიღო, რუსთველი აღი-
ტყაა გრძნობამ და:

„სთქვა და დაწერა კიდევაც,

თამარ შეამკო ხელადა,

თავი უმიროს ამსგავსა

და საქართველოს — ელლადა“.

„ვეფხისტყაოსნის“ ძლიერი გავლენა შეინიშ-
ნება აკაის ცნობილ ლექსში „ქალარა“. ეს უა-
ღრესად პატრიოტული ლექსი, რომელიც რუს-
თაველის გენითაა შთაგონებული, ალგორითუ-
ლად ხასიათდება. პატრიოტული გრძნობებით
გამსჭვალულ პოეტს თავი ტარიელად წარმოუ-
დგენია და ომახიანად მოუწოდებს სახელოვან
გმირებს:

„გუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,

მხარი მხარს მიეცეთ, ხელი ხელს,

ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,

მოელის ტურფა გამოხსნეს“.

აქ ნესტან-დარეჯანში პოეტი სიმბოლურად
წარმოიდგენს თავის მშობლიურ ქვეყანას, რო-
მელიც ქაჯებს ჰყავთ შეპყრობილი, ხოლო ფრი-
დონსა და ავთანდილს გულისხმობს ქართველ
გმირებს, რომელთაც ევალებოდათ სამშობლოს
განთავისუფლება. მართალია, დასახული მიზ-
ნის შესრულების შესაძლებლობაში მას ეჭვი
ეპარება, მაგრამ ოპტიმისტურად განწყობილი
პოეტი მომავლის იმედს მაინც არ კარგავს და
აცხადებს:

„არა! აყვავდეს იმედი.

გულს ვერ გამიტეხს ქალარა.

გმირებს უძახის... უყვიის

ჩემი დაფი და ნალარა“.

ლექსში „სატრფო“ აკაი თავის სათაყვანელო
ბელ სამშობლოს მისაბამ მაგალითად უსწავს
ნესტან-დარეჯანს მხნეობასა და სიმტკიცეს:

„გაუმარდი განსადელს,

იბრანე ტყუილობა.

გშვენის ნესტან-დარეჯნის

მაგალითი... მზეობა“.

„ქალარაში“ გამოთქმული იდეა მშობლიური
ქვეყნის განთავისუფლებით დიდმა პოეტმა აგ-
რეთვე გაიმორა სიცოცხლის უკანასკნელ
წლებში დაწერილ სტატიაში: „თანამედროვე
პაზრები რუსთაველისაგან მე-12 საუკუნეში
ნაწინასწარმეტყველები“. მსოფიანი პოეტი
ძლიერ შთაგონებით წერდა: „ჩვენ შეგვიძლია
ვიგულისხმოდეთ, რომ ქაჯებისაგან დამონებული
და წაყვანილი ნესტან-დარეჯანი საქართველოა
და მისი მაძებარი მისივე შვილები. ადრეც მი-
თქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ის ააში გმი-
რი: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი წარ-
მომადგენელი არიან მთლიანად საქართველო-
სი. იმათ თუ ძალა ერთმანეთს არ შეუერთეს,
ისე ვერას გახდებიან ცალ-ცალკე და ვერ გა-
მოიხსნიან ნესტან-დარეჯანს. სწორედ ასე,
ამერ-იმერმა და შავი ზღვისპირელმა უნდა
შეაერთონ ძალა და ძმურის თანხმობით მიად-
გენ ქაჯეთს. დაცალკეება დასუსტება...
სიკვდილი, — მეცხრამეტე საუკუნისაგან გამო-
ანგარიშებული“.

ამავე სტატიაში აკაი გამოთქვამს თავის
შეხედულებებს პოემის პრობლემების შესახებ
და აცხადებს, რომ რუსთაველს „უპირველესი
ადგილი უჭირავს არა მარტო ქართველებში,
თამამად ვიტყვი, უპირველესთაგანი მსოფლიო
მწერლობაშიაც“.

მაიჩნდა რა „ვეფხისტყაოსანი“ თანამედროვე
ქართველი ხალხის ეროვნული გამოფხიზლები-
სა და გამოცოცხლების ერთ-ერთ საშუალებად,
პოეტი მტკიცე რწმენით ამბობდა:

„მინდა, რომ მისსა დიდებას

დამღერდეს რუსთაველის ქნარი

და იღვიძებდეს იმ ხმაზედ

ტაშის კვრით ხალხი მძინარი!“.

(„სურვილი“)

„ვეფხისტყაოსნის“ უდიდესი აღმზრდელ-
ობით როლი აკაიმ ხაზგასმით აღნიშნა საყმა-
წვილო მოთხრობაში „პატარა ტარიელი“, აგ-
რეთვე „ბაში-აჩუკში“. კერძოდ, ამ უკანასკნელ
მოთხრობაში იგი წერდა: „საუკუნეების განმავ-
ლობაში, დიდი და პატარა, ყველა იმას ეწაფე-
ბოდა; კაცები ტარიელ-ავთანდილს ჰპაძედნენ,
ქალები ნესტან-თინათინობას სცდილობდნენ,
მეფე და კარისკაცები როსტევეან-სოფრატობაზე
სდებდნენ თავს, მსახური შერამდინობდნენ
და მოახლე-გამდებები კი ასმათობას სჩემობ-
დნენ“.

ამგვარად, აკაი წერეთელი „ვეფხისტყაოსან-

ში“ ეძებდა ისეთ გმირებს, პოტიეებსა და ეპი-
ზოდებს, რომელთა მიმზიდველ მხატვრულ სა-
ხეებში ასახვა და თავისებური სიდიადით მათი
დასურათება პოეტის თანამედროვეთა შორის
გააძლიერებდა პატრიოტიზმის უკეთილშობი-
ლეს გრძნობებს და დაუსახავდა მომავალი მოქ-
მელების გზას.

აქაი წერეთელი ამავე დროს „ვეფხისტყაო-
ნის“ ერთ-ერთი სერიოზული მკვლევარიცაა.
ის პოემის მეცნიერული შესწავლით დინტერე-
სებული ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს. პე-
ტრებურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენა-
თა ფაკულტეტზე სწავლისას მას საკანდიდატო
შრომა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შე-
სახებ წარუდგენია.

უფრო გვიან აქაიმ „ვეფხისტყაოსანი“
ერცლად განიხილა 1881 წელს წაკითხულ ლექ-
ციებში „სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე“, რო-
მელიც გამოაქვეყნა 1898 წელს თავის ჟურ-
ნალში „აქაიის კრებულში“. ამ ლექციებმა და-
საწყისი მისცა რუსთაველის შესახებ აზრთა
გაცვლა-გამოცვლას და გახდა პოემისა და მისი
ავტორისადმი მიძღვნილი რამდენიმე ნაშრომის
მიზეზი.

აქაი წერეთელი შოთა რუსთაველსა და მის
ქმნილებას ეხება სხვა წერილებშიც, როგორი-
ცაა, მაგალითად, „გახსენება“, „მცირე რამ
პროფესორ მარის უქანასკნელის თხზულების
გამო“ და სხვ.

თავისი მოსაზრებები გამოთქვა აქაი წერე-
თელმა აგრეთვე XVII-XVIII საუკუნეების
ქართული მწერლობის ისეთი წარმომადგენლე-
ბის შესახებ, როგორიც იყვნენ თეიმურაზ პირ-
ველი და სულხან-საბა ორბელიანი. კერძოდ,
მეტად საინტერესოა მისი შეხედულება სულ-
ხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“
იგავ-არაკების ორიგინალობისა და თხზულების
დაწერის შესახებ. აქაის აზრით, „საბას მისი
იგავ-არაკები ჩვენს ქვეყანაშივე, საერთო ზე-
პირსიტყვაობისაგან აუღია. „სიბრძნე-სიცრუე“
ისე იყო გავრცელებული, რომ შეიძლება, პი-
რიქით, ხალხში გავრცელდა და მისივე გემოზე
გადაეცა — ეგებ თქვას ვინმემ, მაგრამ ის

ნიმუშები ზეპირსიტყვაობისა, რომელიც დღეს
ჩვენს ხელშია, სულ სხვას ამტკიცებენ და მის
კი დაუკვირდება, ადვილად გააჩვენს, თუ რო-
მელი რომლისაგან წარმომდგარა“.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ
აქაი ერთგვარად დავალებულია ვახტანგ მე-
ექვსისაგან. ცნობილია, რომ სევდიანი განწყო-
ბილებებით დამძიმებულ ვახტანგს „წარმტაც
გულისწორ სატრფოდ ეხატებოდა თავისი სამ-
შობლო მხარე“. სახელდობრ, ლექსში „სალ-
ბუნად სულისა“ იგი განსაკუთრებულ სიყვა-
რულსა და პატივისცემას გამოხატავს მშობლიუ-
რი ქვეყნისადმი, რომელიც წარმოდგენილი
ჰყავს კეკელუცი ქალის სახით. პოეტი ასე მიმა-
რთავს მას: „კეკელუცი ზედა ხარ ხელმწიფე,
ტრფილთ ცეცხლს უდებ მაღამით, მანდით
ნასროლმა ისარმა გული გამიბო მაღ ამით“.
ვახტანგის მსგავსად აქაიც „სატრფოში“ თავის
სათაყვანებელ სამშობლოს გულისხმობდა და
მას გულმხურვალედ ეალერსებოდა:

„მშვენიერო, შენ გეტრფო

შენი მონა, ერთგული.

შენთვის სულდგმულს, შენგანვე

შენთვის მიძვერს ეს გული“.

როგორც ვახტანგს, ისე აქაის ციხეში პატიმ-
რად წარმოდგენილი თავიანთი სატრფო, რო-
მელსაც „გაიძვერა მოყვრები“ ზნეობრივ გახრ-
წნასა და გადაგვარებას უქადავან. თუ ვახტანგი
ნაღვლიანად აღნიშნავს: „ციხეს ზიხარ მეტად
მაგარს, არვის ძალუძს შოვნა ძალად“, აქაიც
თავის გულისწუხილს ასე გამოხატავს:

„მეგულები ციხეში,

ცხრაკიტულში მჯდომარე...

შეთვისებთს გიპირებს

გაიძვერა მოყვარე“.

ასეთია აქაი წერეთლის დამოკიდებულება
ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებისად-
მი.

1 ვახტანგ მეექვსე, თხზულებათა კრებული
ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1947,
გვ. 10.



პაპაშვილი დონაძე

რომანტიკული სტილი აკაკის შემოქმედებაში

ქართული რეალისტური ლირიკის დიდი ფუძემდებლის აკაკი წერეთლის შემოქმედებაში რომანტიკული სტილის ნიშნებიც დაიძებნება, განსაკუთრებით ადრეულ-საღებუტო პერიოდში. საკმარისია ითქვას, რომ პოეტის უკვე პირველივე ლექსი „კანდელისადმი“ აღბეჭდილია აშკარად გამოვლენილი რომანტიკული კოლორიტით. იგი დათარიღებულია 1856 წლით.

თექვსმეტი წლის ყრმა პოეტის მუხას აწვალებს წუთისოფლის ვერაგობით გამოწვეული ნალექი. ამიტომაც, რომ სევდანარევი კილოთი იგი მიმართავს კანდელს — გაბრწყინდეს, გაუნათოს წყვიდადით მოცული „ბნელი ღამისა“.

ჩემი სიცოცხლეც შენსავეთ
იწვის და თანდათან სდნება,
წარსული აღარას მარგებს,
მომავალიც მენანება.

მიუხედავად მელანქოლიური საბურველისა, ჰაბუკ პოეტში მაინც იელვებს მოღუნის რომანტიკა, ეპიკურიზმის პათოსი კანდელის მოსალოდნელი ადრეული გაჭრობის წინ:

დღეის-დღე მაინც მალხინე,
რომ დრო ვატარო ხალისად.

რომანტიკული მელანქოლიითაც აღბეჭდილი აგრეთვე 1858 წ. დაწერილი ლექსი „პ. წ. (-ისას)“. ლექსის ადრესატი პოეტის ნათესავი პელაგია წერეთელისა, რომლისთვისაც ადრე გრ. ორბელიანს „სადღევრძელს“ ხელნაწერი უსახსოვრებია.

პოეტის წინაშე ლექსის ადრესატი ერთობ შეწუხებული სახით, ძაბით მოსილი დგას. პოეტი თანაგრძნობის სიტყვებით მიმართავს მას, რათა გული მოუფონოს, შემთხვეული უბედუ-

რების სიმძიმის ატანა გაუადვილოს, რაც, პოეტის აზრით, ასე ხშირია მუხთალ წუთისოფელში:

ღილას სხვისთვის ვართ თვალცრემლოვანი
და ვიგლოვთ სხვასა;
სალამოს ჩვენვე გვტრიალს სხვანი,
გვეკრეტენ რა მკვდარსა.

სიყვარულის რომანტიკული განცდები მკვეთრად იგრძნობა ადრინდელ ლექსში „ჩემს ვენერას“. „მშვენების ღმერთს“, „ზეცით მოვლინებულ“ სატრფოს ჰაბუკი პოეტის ნორჩი გული უდროოდ მოუწამლავს. თუმცა ბედისწერას მისთვის ადრეული „ტანჯვით სიყვდილი“ განუზზავდებია, პოეტი ამასაც ადვილად შეურიგდება, თუ კი სატრფოს ხელით დაეყრებოდა მიწა.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა რომანტიკული კოლორიტით ლექსი „ნავი“. როგორც ცნობილია, ზღვა და ნავი ერთობ პოპულარულია რომანტიკულ პოეზიაში: ზღვა დროთა ბრუნვის, ცხოვრების სიმბოლოა, ნავი კი ადამიანისა, მისი ბედისწერისა.

შორს ზღვაში გაჭრილა ობოლი ნავი. მას ეხითქება მღელვარე ზღვის ტალღები. ნავი ღამის დაინთქას. ამ დროს შორით გამოჩნდება ზომალდი, რომელიც ხელს გაუწვდის საშველად, უკან მოიბაძს ნავს და სამშვიდობოზე გაიყვანს; ეს სიკეთე ნავს ძვირად უჯდება:

მაგრამ რაი, რომ თვით ის ზომალდი
მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს.

როგორც ვხედავთ, აქ ჰაბუკმა პოეტმა დააყენა ის მთავარი პრობლემა, რაც კუბოს ფიცრამდე აღელვებდა როგორც აკაკის, ისე ყოველ

„თერგდალეულს“. სრულიად აშკარაა, რომ ამ ლექსში ნაღი საქართველოა, ხომალდი კი თვით-მპყრობელური რუსეთი.

რომანტიზმისეული სიყვარულის განცდებითაა „შთაგონებული პოპულარული ლექსი „საიღუმლო ბარათი“ (1859 წ.). სიყვარულის ნაზი განცდებით ავზნებული ჭაბუკი პოეტი ისტორიკებს ეს ბარათი გახლდა „სიხარულის მომნიჭედ და სევდისა ფარად“. იგი მან დასწერა სამშობლოდან მოშორებულმა, პეტერბურგის ბურჟუაზიის ციხეში. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა მასში პატრიოტული განცდები.

სიყვარულის მოტივზეა აგებული მეორე ლექსი „ერთ ქალს“. მასში რომანტიკული პოეზიის ტრადიციისამებრ გამოთქმულია სიყვარულით გულგატეხილობა და ამ ნიადაგზე წარმოქმნილი სევდა-ნაღველი. ეპილოგურ სტროფში, როგორც ამას არცთუ იშვიათად ვხვდებით ხალხურ პოეზიაში, პოეტის საკუთარი გვარია შერთმული:

მაგრამ იმ დროს, გაუხარი,
ვით ზამთარში თვით ბეჭელი,
უნუგეშოდ, ცოცხალ-მკვდარი
უნდეს სწყველდა წყრეთაი.

რელიგიური განცდებითაა ნაფერი და რომანტიკულ აქცენტს შეიცავს ლექსი „ცოდვილის სინანული“ (1859 წ.), რომელიც გადმოგვცემს რელიგიური გრძნობებით ევზალტრებული ცოდვილი პირის მონანიებას ეკლესიის წარმომადგენლის წინაშე. მიუხედავად დანაშაულისა, რელიგიურ გრძნობებზე აპელირებით მონანიე მანც იმედოვნებს „ამაოდ არ ჰყოფენ სინანულს“ და მავადრებელი გულით მოითხოვს დაითრგუნოს „პატიოტი სული“ და „კეთილისათვის გზა წარემართოს“.

პატრიოტული რომანტიზმის სულისკვეთებითაა განაუებული „ქართლის საღამო“ (1859 წ.). უცხო ციხეში პოეტი გოდებს, რომ იგი მოწყვეტილია მშობლიურ მხარეს. ლამობს მოიგერიოს ძნელბედობის მოძალბეული სიღუბნები, აღიჭურვოს რწმენით, რომ ელირსება სამშობლოში დაბრუნება, ქვეყანა დახვდება ამაღლებული, მეცნიერებითა და ტექნიკით შეიარაღებული, დაქსელდება რკინიგზებით, ზღვებს დასერავენ ცეცხლის გემები და სხვ. მაგრამ პოეტმა იცის, რომ ყველაფერი ეს იმხანად განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა.

ლექსი „ამაო ძებნა“ (1860 წ.) ილიასეული „არაგვის“ განწყობილებითაა „შთაგონებული“. აკაისავე თქმით, იგი „ცოტა თავისუფლად“, რომანტიკული ლაღი სტილითაა დაწერილი. პოეტის ოცნებას თვალწინ წარმოუდგება გულსკედიანი ჭაბუკი, რომელიც დაეძებს მეგობრის სახეზე და გავწილ ხელს. მაგრამ ამაოდ. და აი, უნუგეშოდ „მტრისაღის ხმით“ გარდასული ამგებისათვის მიმართავს აქაუბელულ მდინარეს,

რომ მსწრაფლ მორეცხოს მან სისხლი
გეგმვა

მის კიდებზე გადათხელი.

ახალგაზრდობის გარდასულ დღეთა მოგონებები კარგად ჩანს გაუხარებული აწყყის ნისლიდან ფონზე ლექსში „მოხუცის მოგონება“ (1860 წ.). იგი თავდება ნაღველით საცხე სტრიქონებით:

ეპ, სიყვარულივ? რად მომიძულე?

დროვ? რა მიყავი?

ამავე წელს აკაი კვლავ უბრუნდება რომანტიზმისეულ სამიჯნურო თემატიკას ლექსებში „მარაიბს“, „აღიქსანდრა“, „დედაბერ-მამაბერი“ და სხვ.

მომდევნო 1861-1862 წლებიდან აკაის პოეზიაში ნელდება რომანტიზმის მოტივები და რეალისტური ლირიკის მძლავრი ხმა გაისმის. ასეთია უსათაურო ლექსი „დედამ რუმ შვილი გაზარდოს“ (1861 წ.), რომელიც ერთგვარი გამოხმაურებაა ილიას „ქართველი სტუდენტების სიმღერისა“, სადაც გაკენწულია პეტერბურგელი ქართველი სტუდენტების ერთი ნაწილის ფუქსავატობა. ამის შემდეგ დაწერილი ლექსები „მეშური“ (1861 წ.), „მეგობარს“ (1861 წ.), „აპელაციის მცოდნე“ (1861 წ.) და სხვ. უკვე რეალისტური ლირიკის ნიმუშებია.

მიუხედავად ამისა, დიდი მგოსანი პატრიოტული რომანტიზმის სფეროს ხმა ისევ არ თმობს და თავის პოემა-დრამებში ბოლომდე ინარჩუნებს რომანტიზმის კოლორიტსა და სულიერ მელვარებას.

აკაის შემოქმედებითი ბუნების სტიქია უღრმესად ლირიკულია თვით ეპიკურსა თუ პროზულ ნაწარმოებებშიც. კერძოდ, „შთაგონებული ლირიზმით გაყვნილია მისი როგორც არაისტორიული („ორი ქართველი“ და სხვ.), ისე ისტორიული პოემები („თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „კიკლას ნაამბობი“ და სხვ.), აგრეთვე დრამები („ზაბარა კახი“, „თამარ ციხიერი“, „მედიანა“) და მოთხრობები („ბაში-აჩუკი“, „ქართული ფულის თავგადასავალი“, „სიკვდილი“). ლირიზმი იხატება პერსონაჟთა სიმპათიანტეპათიებში და ტენდენციამდე — თავისი აზრები და იდეალები პოეტმა თვით ამ პერსონაჟებს წარმოათქმევინოს. მგზნებარე ბუნების პოეტი ვერ ახერხებს ბოლომდე დარჩეს სურათ-სახეების მიმართ გულგრილი, უფნებო მხატვარი და ხშირად რეალისტი მწერლისათვის დასაშვებ ფარგლებში მომეტებული ინტენსიობით ჩაერება ხალხში ამგების განვითარებაში, ჭარბად შეაქვს ნაწარმოებში რომანტიკული პათოსი და მელვარება.

რომანტიკული განწყობილების მანიშნებელია ის გარემოებაც, რომ საერთოდ აკაის შემოქმედებაში წარსლის დასურათებას მნიშვნელოვანი



ადგილი უჭირავს, განსაკუთრებით პოემებსა და მოთხრობებში. გაუხარელი აწმყოთი გულმოკლულ პოეტს ყურადღება გადააქვს საქართველოს ისტორიულ წარსულზე და იქიდან ამოაქვს ლირიკოსობის სცენები და სახე-ხასიათები.

მართალია, წარსული აკაკის შემოქმედებაში თვითმიზანი როდია. იგი ზშირად უბრალო ფონია, მაგრამ ბევრი ისტორიული სახე-ხასიათი მაინც რომანტიკულ სამოსელშია გახვეული, როგორც, მაგალითად, ერეკლე მეფე („პატარა კახი“), ცოტნე დადიანი („ნათელა“), მხედართმთავარი თორნიკე („თორნიკე ერისთავი“), ბაგრატ მეფე („ბაგრატ დიდი“), ბაში-აჩუკი (ამავე სახელწოდების მოთხრობა) და სხვ.

ამრიგად, აკაკი წერეთელი ისტორიულ მასალასაც ნებისმიერად აპირკეთებს, აშლავსინებს, როგორც ეს რომანტიკოსების ლიტერატურულ პრაქტიკაშია. პოეტი წარსულში ეძებს საჭირო სახე-ხასიათებს იმისათვის, რომ თანამედროვეებს წინ სარკე დაუდგას, წარსულის მასალით ახალი იდეები იქადაგოს, ნამყოზე მომავლის ნერგი დაამყნოს. ვინც „ბაში-აჩუკს“ გულდასმით გადაიკითხავს, ადვილად შეიცნობს, რომ ავტორის ამოცანა როდია XVII საუკუნეში გადაგვიყვანოს, არამედ ნაწარმოების სტრიქონებს შორის აწმოვ ვითარება გვაგვრძნობინოს (ან მომავალში გადაგვახედოს), სპარსეთის მაგალითზე მეფის რუსეთი წარმოგვიდგინოს.

მიუხედავად იმისა, რომ „ბაში-აჩუკი“ უთუოდ რეალისტური მოთხრობაა, მასში ჭარბადაა რომანტიკული ელემენტებიც. კომპოზიციისა და პოეტური ხერხების მხრივ იგი უღრმესად პოეტურია, პუშკინისა და ლერმონტოვის პროზულ ნაწარმოებთა დარად.

მოთხრობის უმთავრესი პერსონაჟები (ისტორიული თუ არაისტორიული) საკმაოდ იდეალიზებულია, თუმცა სამი მათგანი (ელისბარ, შალვა და ბიძინა) ისტორიული ქრონიკების ფურცლებიდანაც ასეთად მოჩანან. მასში საერთოდ ცოტაა ფაქტობრივი, ისტორიული მასალა, მაგრამ ეს უკმარობა ბედნიერადაა ანაზღაურებული პოეტური გამომგონებლობით.

რომანტიკული იერი გადაკრავს აკაკის მცირე ზომის სხვა მოთხრობებსაც. გორიცაა, მაგალითად „სამგვარი სიყვარული“, „ძველებური ამბები“, „ქართული ფულის თავი გადასაყალი“, „საყმაწვილო ამბები“, „გოგია მეჩონგურე“ და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ეს უკანასკნელი ნაწარმოები, რომელიც აგებულია რომანტიკულ ლიტერატურაში პოპულარული ფოლკლორული მასალის საფუძველზე.

აკაკის პოეზიაში რომანტიკულ კოლორიტს აძლიერებს პოეტის მკაფიოდ გამოვლენილი ლაღი, შემტევი, გამირული ხმა ყველა და ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ. რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის მოწინავე იდეებზე აღზრდილ აკაკის ღრმად სწამდა, რომ თვითმპყრობელობა ხალხის რევოლუციური ამოძრავების შედეგად დაინგრეოდა და პოეტიც გამირული რომანტიზმის მეზნებარე პათოსით აცხადებდა:

არა! აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამოიტეხს ჭაღარი.
გმირებს უძახის... უყივის
ჩემი დაფი და ნაღარი.

აკაკის ჩანტი მართლაც იმედით აღმსვები, გამომაფხიზლებელი დაფი და ნაღარა იყო. იმას, რასაც ცენზურის მუხრატებში მგმინავი ჩვენი პრესა და ჟურნალისტიკა ვერ ახერხებდა, აკაკი ეზოპური ენით, ქარაგმებითა და მხატვრული სახეების მომარჯვებით ოსტატურად ახორციელებდა და გაბედულად ეწეოდა თვითმპყრობელობის გარღვევით დაწვრცევის პროპაგანდას:

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი,
სიხარულით შეეცვლება
ამდენი ხნის გასაპირი.

აკაკი წერეთლის ეს იმედი გამართლდა, საქართველო თავისუფალი, ბედნიერი გახდა და სიხარულით შეეცვალა ამდენი ხნის გასაპირო.



შოთა ქაჩიძე

აკაკი წერეთელი და ქართველი ქალი

საქართველოს ბუღბუღის აკაკი წერეთლის შემოქმედება თავიდანვე დახაროდა და უგალობდა ქართველ ქალს, დედასა და მეუღლეს, თავისი ქვეყნის ღვიძლ შვილსა და მოამბეს. ეს ბუნებრივია. დიდ მგოსანსა და საზოგადო მოღვაწეს მშვენიერად ესმოდა, რომ მისი სანუკვარი სოციალურ-ეროვნული იდელების განხორციელება გარდუვალად მოითხოვდა ქალთა აქტიურ მონაწილეობას საერთო-სახალხო საქმეში და, მაშასადამე, მათი ღირსების ამაღლებასა და უფლებათა გაფართოებას. უამბირობოდ შეუძლებელი იქნებოდა ქართველ ქალს ღირსეულად შეესრულებინა თავისი უღირსად საპატიო მოვალეობა ერისა და ოჯახის წინაშე, რადგან მოვალეობა უფლებასაც უნდა გულისხმობდეს. იქ, სადაც ისინი, ე. ი. უფლება და მოვალეობა გათიშული, დაპირისპირებული არიან, საქმე წინ არ წავა.

ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ აკაკი წერეთელმა გაბედულად აღიმალა ხმა და მკაცრად გაილაშქრა ქალთა ყოველგვარი დამცირების, მათი უუფლებობის წინააღმდეგ. იგი უდიდესი გულისტკივილით წერდა, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ძველთაგანვე გავრცელდა ყალბი, სავსებით უსაფუძვლო და ქალის დამამცირებელი შეხედულება, რომ ყოველგვარი უბედურების მიზეზი თითქმის მხოლოდ ქალია და მხოლოდ ქალი. ძველმა ბერძნებმა, მაგალითად, შენიშნადა იგი, ტროადის ცნობილი ომისა და უბედურების მიზეზად მშვენიერი ელენე გამოსახეს, ებრაელებმა თავიანთი დაუძლურება და დასუსტება მთლიანად დაილიას დაბარალეს, ეგვიპტის ფარაონთა დამხობა კლეოპატრას მხურვალეობას მიაწერეს, ხოლო „თვით მთელმა კაცობრიობამ, შეერთებულად, სამოთ-

ხის დაკარგვის მიზეზად პირველი დედა, ევე, დაასახელა“.

კიდევ უფრო უარესი ის იყო, რომ ამგვარი ყალბი შეხედულება ქალზე არათუ მოიხპო, შემდგომ გავრცელდა და მდგომარეობა არც ახალ ისტორიულ ეპოქაში შეცვლილა — ქალი ყველგან კვლავ იზარებოდა ქალობით, ნეტარი ავგუსტინეს მსგავსად მას კვლავ უყურებდნენ როგორც „ეშმაკის ჭურჭელს“. „საკვირველია, — წერდა ამის თაობაზე აკაკი წერეთელი სტატიაში „თამარ მეფე“, — ცასქვეშეთში ყოლიფერი იცვლება, დრო და ჟამი თავის წესრიგს არ იშლის, საუკუნე საუკუნეს ენაცვლება, ახალ-ახალის მოთხოვნილებითა და პირობებით, ხალხი იცვლება, ძველები გადადიან და მათ მოადგილეებად ახლები შემოდიან ისტორიულ სარბიელზე. რჯული რჯულს ენაცვლება, ემხოზიან ძველი კერპები ქვეყნის თვალში და ქალების შესახებ აზრი-კი, ერთხელეც დარჩენილი შეუტყვევლია. თანამედროვე ხალხიც ძველებზე უკეთესი შეხედულების არ არის ქალებზე“. დიდი ქართველი მგოსნის აზრით, ეს ისტორიული უსამართლობაა, გაუმართლებელი და მიუტევებელი საქციელია. ქალი სრულიადაც არ არის ისეთი, როგორადაც მას სახევენ, და არაფრით არ დაუმსახურებია ამგვარი დამცირება და შეურაცხყოფა. ეს საფუძველს აძლევდა აკაკის მტკიცე რწმენა გამოეთქვა, რომ ქალების შესახებ „დარჩენილი მაწანწალა აზრი“ და „უსამართლო გულისთქმა“ ადრე თუ გვიან აუცილებლად უუღლებელ იქნებოდა და მათ მიენიჭებოდათ მამაკაცის თანაბარი უფლება ცხოვრების ყველა სფეროში. „მოვა დრო, — წერდა იგი, — ერთხელაც არის კაცობრიობა შეიგნებს კეშმარი-

ტებას და ქალს დასახავს ევად, რომელიც ქვე-
ყნად გაუღებს მას სამოთხის კარებს“.

თუ რამდენად პროგრესული ნაბიჯი იქნებოდა
კაცობრიობის განვითარებაში ქალის სრული
ემანსიპაცია, მისი უფლებრივი თანასწორობა
მამაკაცთან, აკაცის აზრით, ამას ცხადყოფს პა-
ტარა, მაგრამ მრავალტანსკული საქართველოს
წარსული. იგი მუდამ და ყოველთვის კანონიე-
რი სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა, რომ ძველ
საქართველოში ქალი არასოდეს არ იხაგრებოდა
ქალობით, პირიქით, მას უდიდესი მოწიწებითა
და სიყვარულით ეკიდებოდნენ და, სამაგიეროდ,
ისიც მუდამ ბურჯად ედგა ერს, ღირსეულად ას-
რულებდა პატრიოტის მაღალ მოვალეობას.

ამის საილუსტრაციოდ აკაკიმ არაერთი და
ორი ფაქტი დაასახელა, რომლებიც მართლაც
მოწმობდნენ ქართველი ქალის ერთგვარ თავი-
სუფლებას მებრძოლი ერების ქალთა შებრავ-
ნით და ცხადყოფდნენ მის უღარესად თვალსა-
ჩინო როლს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტი-
კურ ცხოვრებაშიც და ოჯახშიც. „დედა-კაცისა
და მამა-კაცის უფლებათა თანასწორობა ძველ-
თავანეთ რომ უქვეყნოდ იყო, — წერდა იგი, —
ამას საისტორიო ქალებიც გვიმოქცევენ. ძმის
წული დავით აღმაშენებლის, მცირე აზიაში გან-
თქმული და „გურჯი თამარად“ წოდებული,
ბურღულ-ხანუმ, მეფე გიორგი III მეუღლე, რუ-
სუდან გიორგისავე და, ბრწყინვალე თამარის
გაშვრდნით, კრავი ჯაყელი, ზნაძე, რატი სუ-
რამელის დედა, ვახაჩი, რომლის ჩამომავლობა
დღესაც ვახვაჩიშვილებად იწოდებიან, სიძვი-
რი და სხვანი“.

ამასვე ამტკიცებს, ამბობდა აკაკი, ხალხის
დამოკიდებულება ქალისადმი, რასაც უძველესი
სი დროიდან თაობა თაობას გადასცემდა ხოლ-
მე და მტკიცედ მკვიდრდებოდა ყოველდღიურ
ყოფაცხოვრებაში. „ადრე, წინად ქალს დედა-
კაცი ერქვა, — წერდა იგი. — ეს სიტყვა „ქა-
ლი“ VIII საუკუნიდან შემოიტანეს არაბებმა
ჩვენში და ნიშნავს სიტყვა-სიტყვით რომ ვსთა-
რგმნით „მშობიარეს“. მანამდის ქალს „დედა-
კაცს“ ვეძახდით... აგრეთვე „ცოლი“, „მეუღ-
ლე“ — გვიხატავს ხალხის შეხედულებას ქალ-
ზე: „მეუღლე“ ნიშნავს უღლის ცალსა, თანას-
წორად გაბმული ცხოვრების უღელში ქალი და
აკაკი თბის მეორის დაუჩაგრავად უნდა მისი-
წრაფოდნენ თანასწორად. აგრეთვე მეორე სიტ-
ყვა „ცოლი“ წარმოდგება სიტყვიდან „ცვლი“,
ესე იგი საჭიროების დროს ერთი მეორის ად-
გილის დამკვირ. აქედან ის იგულისხმება, რომ
ქართველი კაცის, შეხედულებით „ქალსა და
კაცს“ თანასწორი ადგილი უნდა ექიროსთ
ცხოვრებაში და ისტორიულად სწორედ ასეც
იყო ეს“. ქალისადმი მოკრძალებისა და პატი-
ვისცემის კონკრეტული გამოხატულებაა ის-
იც, რომ ქართველი კაცი ქალს ყოველთვის მა-

მაკაცის წინ მოიხსენიებს და არა პირიქით,
რასაც მოწმობს ისეთი დამკვიდრებული გამო-
ცემები, როგორიცაა დედა-მამა, ცოლ-ქმარი, დე-
და, ქალ-ვაჟი და სხვ.

დასასრულ, აკაკი წერეთელი იშველიებდა იმ
საამაყო ფაქტს, რომ არა სხვა ვინმემ, არამედ
სწორედ ქართველმა მგოსანმა შოთა რუსთვე-
ლმა მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთმა
პირველმა გამოთქვა ქალთა და მამაკაცთა თა-
ნასწორობის იდეა და მტკიცე წმენით განაც-
ხადა, „ლუკიე ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნ-
და ზეადისა“, ე. ი. რვათა წლის წინათ გამოხა-
ტა ის, რასაც „მხოლოდ დღეს მოითხოვს კა-
ცობრიობა“. ამ დიდებულ თანამედროვე აზრს,
აკაცის სიტყვით, შოთა რუსთველი ვერ იტყო-
და, თვით მის მშობლიურ ქართველ ხალხს რომ
არ მიეცა საამისო საფუძველი. „საიდან შემოი-
ტანა ეს ჰაზრი რუსთველმა? — კითხულობდა
დიდი მგოსანი და თვითონვე უპასუხებდა: —
როგორც ფუტკარი თავის სამზადისს ნაწილ-ნა-
წილად აგროვებს თავისი ქვეყნის ყვავილები-
დან, ისე იმანაც ესე იგი რუსთველმაც თავისი
გრძნობა-გონების მასალა იშოვა ქართველებ-
შივე“.

ფრიალ საგულისხმოა, რომ ქართველი ქალის
ასეთ მდგომარეობას საზოგადოებაში აკაკი წე-
რეთელი ხსნიდა არა ქართველი ხალხის განსა-
კუთრებული ხასიათით ან ეროვნულ-რასობრი-
ვი უპირატესობით, არამედ მხოლოდ და მხო-
ლოდ ცხოვრების თავისებური პირობებით. „ამ
ჩვენი პატარა სამეფოსი, საქართველოს ისტო-
რიული მიმდინარეობა ისეთი იყო, — ამბობდა
იგი, — რომ მამაკაცები ნიადაგ საზღვარზე იდ-
გენ, ყოველ კუთხით შემოსულ მტრების მოსა-
გერებლად და რთული საოჯახო საქმე და შეილ-
თა აღზრდა დიდებს რჩებოდათ ხელში. აქ ისიც
უნდა მოვიხსენიოთ, რომ მერვე საუკუნიდან
დაწყებული არაბებს შემოჰქონდათ საქართვე-
ლოში სწავლა-მეცნიერება, რაიცა მაჰმადიან
ქალებს ყურანის ძალით აკრძალული ჰქონდათ
და ქართველი ქალები კი, როგორც ქრისტის
მიმდევრები, ხელშეუშველად ეწაფებოდნენ იმ
სწავლა-მეცნიერებას. ყოველივე ამან გაავითა-
რა, ამაღლა ქართველი ქალი და აიყვანა მამა-
კაცის სისწორემდე“.

ამ გარემოებას, ქალის ასეთ დაწინაურებას
აკაკი წერეთელი თვლიდა ქართველი ხალხის
არა მარტო ღირსებად, არამედ დიდ ბედნიერე-
ბადაც, რადგან ქალთა და მამაკაცთა უფლებ-
რივი თანასწორობა მიაჩნდა ერის ღონედ, მისი
სიმტკიცისა და წინსვლის, საყოველთაო პროგ-
რესის აუცილებელ პირობად. თუ, მაგალითად,
ძველ საქართველოში ქალი გარკვეული თავი-
სუფლებით სარგებლობდა და მას საყოველთაო
პატივისცემით ეკიდებოდნენ, თავის მხრივ ქა-
ლიც დიდად აფასებდა ასეთ თავისუფლებას,

ასეთ პატივისცემას და ყოველგვარ ვითარებაში ცდილობდა ღირსეულად მოეხადა ვალი სამშობლოსა თუ ოჯახის წინაშე. კერძოდ, აკაცის მი-
აჩნდა, რომ პატარა საქართველო ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუძლებდა ურიცხვი და ძლიერი მტრის მოძალებას, ვერ შეინარჩუნებდა ეროვნობასა და ენას, ქართველ ქალებს რომ მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოთ ქვეყნის დაცვაში, პირნათლად არ შეესრულებინათ პატრიოტის ყველა მოვალეობა. „მეისტორიენი, — წერდა იგი, — სიძველეთა მკვლევარნი, გოცენ-
ბით ეკითხებიან თავიანთ თავს: რა მიზეზი იყო და რით აიხსნება, ზეციურ სასწაულით, თუ ქვეყნიურ გრძნეულობით, რომ ამ პატარა საქარისტანო ქვეყანამ, მოიგერა მანზე მოზღვავე-
ბული მტერი, ის ძლიერი მაჰმადიანი ერი, რომელმაც გაუჭირებელად დაამხო დიდებული ბი-
ზანტია და დაინაწილა სლავიანთ სამთავროები? ადვილი საპასუხოა: ეს სასწაული და გრძნეუ-
ლება ქართველი ქალი იყო.“

მაინც რაში გამოიხატა ქართველი ქალის გმირობა და დამსახურება სამშობლოს წინაშე, რით მოიპოვა მან არა მარტო მშობლიური ერის, არამედ „თვით საქართველოს მოსისხარ მტერთა“ მოწონება?

ერთ-ერთ სტატიაში აკაციმ განაცხადა, რომ „დღე-კაცი არის ჩვენი ცხოვრების გვირგვინი“ და იქვე განმარტა, თუ რა ევალეობა ქალს საზოგადოებაში, როგორც მეუღლესა და დედას. ერთი მხრივ, იგი მხარში უნდა ამოუდგეს ქმარს, როგორც უღლის ცალი, შეუძლებუქოს კეთილი ცხოვრების შენების ტვირთი, გაუწიოს ნამდვილი მეგობრობა, იყოს მისი ქირთა და ლხინთა თანაზიარი. მეორე მხრივ, როგორც დედა იგი მოვალეა არა მარტო შვას და მოუაროს, არამედ, რაც მთავარია, აღზარდოს შვილები. ნამდვილი დედა არ ეთქმის იმას, ვინც მარტო ძუძუს აწოვებს შვილს და მხოლოდ მისი ფიზიკური ზრდისათვის ზრუნავს. „ამგვარ დედობრივ ღირსებას არც პირუტყვები არიან მოკლებულნი, მაგრამ ღირსი დედა წვრთნის შვილს და ზრდის მის სულიერ მხარესაც“, წერდა აკა-
კი და კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ძველი ქართველი ქალები ღირსეულად ასრულებდნენ ორივე ამ უაღრესად მძიმე მოვალეობას: „ისინი მამულის შვილებს ზრდიდნენ... სამშობლო-
სათვის თავსა სდებდნენ და არც ერის საქვეყნო საქმიანობას, შეძლებისდაგვარად უბასუსოდ არ აგდებდნენ!“ ასევე წარმატებით უძღვებოდა ქართველი ქალი საოჯახო საქმესაც, ანუ აკაცის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქირშიაც და ლხინ-
შიაც“ მეუღლეობას უწევდა ქმარს და შვილებს გმირებად უმზადებდა მომავალს“.

აი რატომ იყო, რომ ძველ ქართველ ქალს აკაცი წერეთელი იღვალად სახავდა და მისი არაერთი მშვენიერი მხატვრული სახე შექმნა,

შთაგონებული სამშობლოს მხურვალე სიყვარუ-
ლითა და მამულისა და ოჯახის წინაშე მოვალეობის მაღალი შეგნებით. ერთი მათგანია დედა — დიდი პოეტის შესანიშნავი ლექსის „ქართ-
ველი ქალი“ მთავარი პერსონაჟი, რომელიც მზად არის ყველაფერი შესწიროს მამულს და თავისი ღირსების საქმედ მიაჩნია გაუზარდოს მას ნამდვილი გმირები, მამაცი და დახელოვნე-
ბული მეომრები. რა თქმა უნდა, როგორც დე-
დას, მას აფიქრებს ომში წასული შვილების ბედი, მაგრამ ამაზე უწინარეს — „მისი ქვეყნის ბედისწერა“. ამიტომ გაწყვეტინა სიტყვა „შე-
რიეს, რომელმაც ომის ამბავი შვილების ხედ-
რით დაიწყო. არა, მაგას არ გეკითხები, ჯერ მითხარი, გავიმარჯვებ თუ არაო და, როცა შეიტყო, ქართველებს მტერი უძლევიათ და უკუუგდიათ, შეგბით ამოისუნთქა. მხოლოდ ამ-
ის შემდეგ მოიკითხა დედამ მისი სამი მეომარი ვაჟი და თავზარდამცემი ამბავი შეიტყო: ორი მათგანი თურმე თათრის ტყვიას განუგმირავს. უბედურ დედას ერთბაშად გაუშრა ცრემლი და სახეზე ნაერისფერი დაედო:

მაგრამ ეს სიტყვა: გამიზრდია
ქართველ ქალსა ქართველის შვილი!
ეს ნალველი დედისათვის
მწარე არის და თან ტკბილი!
მამულისთვის მიშობია
მისი ჭირის სანაცვლოდ;
ქართველ დედებს ეალად გვაძეცხ,
ამ ჭირს უნდა გავუძლიოთ.

და ჩვენც გვეყრა, იგი მართლაც გაუძლებდა ამ ჭირს, ისევე გაუძლებდა, როგორც ათასო-
ბით სხვა ქართველი დედა, მაგრამ რა იცოდა უბედურმა, თუ ამაზე უარესი მოელოდა, კი-
დეც უფრო სამწუხარო და საშინელო! ომში და-
ღუბული ორი შვილის დედას იმედად ისლა-
დარჩა, რომ შესამე ვაჟმა, ალბათ, ძმების სისხ-
ლი აიღო და მტრის გეგმების მანა დადგაო, მა-
გრამ არ გაუმართლდა. საშუალი ვაჟი თურმე ქალაჩუნა გამოდგა, ომს განერიდა და თავი მოიკადმყოფა, რითაც შეარცხვინა დედის ძუ-
ძუ და სახელი. რა შეიძებოდა ყოფილიყო პატრიოტ დედისათვის ამაზე უფრო თავზარ-
დამცემი და სამარცხვინო? და გამწარებულმა დედამ „ამოკაჟაა ძუძუები, მოთქმით თავი მოი-
გლოჯა“. იგი უკვე დასტიროდა არა ომში დაღუ-
ბულ შვილებს, არამედ ცოცხლად დარჩენილს, რომელსაც ამიერიდან ყველა ზიზღით მოიხს-
ნიებდა როგორც ჯანასა და ლაჩარს.

სხვა ლექსში აკაცი წერეთელმა მოგვითხრო ქართველ ქალზე, რომელმაც საარაკო თავდა-
დება გამოიჩინა და სამშობლო ასახელა. მას ყოველი ოჯახის წმიდა საქმედ მიაჩნდა მეომარ-
ი მიეცა ქვეყნისათვის და, სახლში რომ სხვა არავინ იყო, არცერთი სრულწლოვანი მამაკაცი, თვითონ აისხა იარაღი, თვითონ გაეშურა

ბრძოლის ველზე. ქართველი ქალის ამგვარმა თავდადება და სამშობლოს სიყვარულმა განაცვიფრა მრავლისმომსწრე მრისხანე შაჰ-აბაზი და თავის სარდლებს უბრძანა „შეაყენეთ სისხლის ღვრაჲ“. იგი მიხვდა, რომ იმ ერის დამორჩილება, რომელიც ასეთ მეუღლეებს, ასეთ ქალებს წარმოშობს, ფრიალ ძნელი საქმე იყო:

„ბაშვადონუმ!“ — ბოლოს ბრძანა,

ქალი უნდა ამისთანა!..

ვხედავ, რითაც მიმკლავდება

ერთი ბოხა ეს ქვეყანა“.

ქართველი ქალების — სამშობლოს მგზნებარე პატრიოტების დაუფიქარი მხატვრული სახეები შექმნა დიდმა მგოსანმა აგრეთვე თავის პოემებსა, მოთხრობებსა თუ დრამატულ ნაწარმოებებში („ნათელა“, „ბაში-აჩუკი“, „მელია“ და სხვ.). მათი საერთო ნიშანია მამულის უსაზღვრო სიყვარული და საქვეყნო საქმისათვის თავდადება. ისინი, როგორც აკაკი იტყოდა ხოლმე, ნესტან-დარეჯანობდნენ და თინათინობდნენ. სხვებთან ერთად ამას ცხადყოფს პოემა „ნათელა“. ამ ნაწარმოების მთავარი გმირი ქალი ნათელა სიტყვით და საქმით იბრძვის საქართველოს ერთიანობისა და ძლიერებისათვის. სილამაზითა და კეთილშობილებით განთქმული, იგი, ისევე როგორც ნესტან-დარეჯანი ტარეღოსისაგან, თავისი საქმროსაგან მოითხოვს საგმირო საქმეებს მამულის სასახლოდ და საქვეყნოდ: „წავიდეს, მტრებში იომოს, გვიჩვენოს ძალა მკლავისა“.

ერთი სიტყვით, აკაკის შემოქმედებაში ძველი ქართველი ქალები, მამაკაცის ბატონობისაგან თავისუფალნი, ყოველმხრივ მისაბაძი და სამაგალითონი არიან. ისინი ყველაფერზე მაღლა აყენებენ საქვეყნო საქმეს, იფიქრებენ პირადულს და თავი ბედნიერად მიაჩნიათ, თუ კი თუნდაც სულ მცირე წვლილს შეიტანენ სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლაში. მათი ასეთი მაღალი მორალური სახე, სიმტკიცე და ერთგულება შთაავრებდა და აღფრთოვანებდა ყველას, ვისთვისაც ძვირფასი იყო სამშობლოს თავისუფლება, მისი ღირსება და დამოუკიდებლობა. ასეთივე ამოცანა უნდა შეესრულებინათ მათ, აკაკის აზრით, თანამედროვეთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. დიდი პოეტი პირდაპირ წერდა, რომ ძველი ქართველი ქალები, ეკრძოდ, თამარ მეფე, ქეთევან წამებული, წმიდა ნინო და სხვები, მისთვის სანუკვარი იდეალია:

თამარს, ქეთევან და ნინოს

თაყვანს ვსცემ, როგორც იდეალს,

საქვერთხად ვუდგამ წმიდა გულს

და ვუკმევ ტრფიალების აღს!

ძველ ქართველ ქალებს ტრფიალების აღს რომ უკმევდა, აკაკი წერეთელი ამავე დროს

მაკრად აკრიტიკებდა იმ თანამედროვეებს, რომლებიც თითქმის არაფრით ჰგვანდნენ თანამედროვეებს. ვიანთ წინაპრებს და გადარჩულების მფარველებს. იგი გულისტკივლით წერდა, რომ ისეთი ქალები, როგორიც წინათ იყვნენ, ძვირად ჩანანო და ამის მიზეზად ასახელებდა იდეალის გადასხვაფერებას:

რად დამცირდა? ვინ დანაგრა

დღევანდელი ქართლის ქალი?

მხოლოდ მან, რომ სხვაგვარია

დღეს იმისი იდეალი.

ეს სხვაგვარი იდეალი გულისხმობდა მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვას, საქვეყნო საქმის სრულ უგულებელყოფას და რა საკვირველია, თუ „ცოლს ცოლობას ვერვინ ატყობს და ვერცვინ სცნობს დედას დედად“. ვერვინ ატყობს, რადგან იდეალის შეცვლას, ბუნებრივია, მოჰყვია ხასიათისა და ზნე-ჩვეულების შეცვლა. წინათ, მაგალითად, ქალი რომ თხოვდებოდა, მან იცოდა მეუღლეობა უნდა გაეწია ქმრისათვის, ე. ი. მხარში ამოდგომოდა და გაენახევრებინა მისი ტვირთი, ახლანდელი ქალები კი (ე. ი. აკაკის თანამედროვენი) სულ სხვაგვარად ფიქრობენ და აზროვნებენ. „ისინი მხოლოდ იმას სთხოვენ ქმრებს, რომ შეძლებაზე მეტად შეინახონ და ისინი-კი არ გასარჩონ“. ვისაც ასე ესმის ცოლ-ქმრობა, მას, ცხადია, არ შეუძლია სათანადოდ შეასრულოს დედობის მაღალი მოვალეობაც, რამდენადაც შეილება ბავშვობიდანვე უნერგავს ყალბ მიდრეკილებებს, უაზრო, ფუქსავატური ცხოვრების სიყვარულს და, მაშასადამე, გმირებს კი არ უშზადებს სამშობლოს, არამედ უქნარებს, რომელთა ერთადერთი საზრუნავია გარეგანი ბრწყინვალეობის მოპოვება.

ამ სხვაგვარი „იდეალის“ კიდევ ერთი სამწუხარო შედეგი ის იყო, რომ ე. წ. ახლანდელი ქალი საცხებით ჩამოაშორა საერთო-საქვეყნო საქმეს, რითაც სულიერად გააღატაკა იგი და მოდასაყოლილ უბრალო ტიპიანდ აქცია. თუ ძველ საქართველოში ქართველი ქალი ცდილობდა ყოფილყოფილი როგორც სანიმუშო დედა და მეუღლე, ისე ქვეყნის საყაღრისი ასულიც, უზრუნველმ ცხოვრებით გატაცებულმა მისმა მემკვიდრეებმა ეს ღირსებაც, ზეუნებრვია, დაკარგეს. კიდევ მეტი, აკაკის თქმით, ისინი „არა თუ თითონ არას აკეთებენ, იმათაც კი უშლიან ხელს, ვინც საზოგადო და საქვეყნო კეთილზედა ჰფიქრობს, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მოდა და მტრების უკანონო მოთხოვნილება ამ ჩვენს მოქმედებას მოგვიწონებო“. მართალია, ზოგიერთი მათგანი თავს იმართლებდა, ის დრო რომ იყოს, ჩვენც ისე მოვიქცეოდით, როგორადაც იქცეოდნენ მაშინ ჩვენი დედები, მაგრამ აკაკის ასეთი მოსაზრება უსაფუძვლოდ მიაჩნდა. თუ „დღეს აღარ ვებრა-



ძეით გარეშე მტერს, საჭირო აღარ არის სისხლის ღვრა და იარაღის ტრიალი“, — წერდა აკაკი, — განა ეს იმას ნიშნავს, რომ „ცოტა არის სხვა საქმე?“ პირიქით, „დღევანდელი საუკუნის მოთხოვნილება უფრო რთულია, — განაგრძობდა იგი, — უფრო შორს გასაჭერე, უფრო საფრთხილო და უფრო საგულისხმო... და ამავდროულად უნდა ირჩებოდნენ ჩვენი ქალებიც... რა გავაეთვითო, ნუ იტყვიან! სურვილი რომ ჰქონდეთ, თვითონ მიაგნებენ საგანსა და მიხვდებიან როგორ მოიქცენ“.

მაინც რას მოითხოვდა აკაკი თანამედროვე ქალებისაგან, რა უნდა ეკეთებინათ მათ მისი აზრით?

როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეს საქართველოში, აკაკი წერეთელს ქართველი ქალების პირველხარისხოვან საერთო-საქვეყნო საქმედ ანუ მოქმედების საგნად მიაჩნდა მათი მხურვალე მონაწილეობა ეროვნობისა და ენის დაცვაში. მაგრამ სწორედ ამ მხრივ სცოდადნენ ყველაზე მეტად ე. წ. ახლანდელი ქალები. ყოველგვარი უცხოური და საზღვარგარეთული სხვადასხვა მოდით უზომოდ გატაცებულნი, ისინი კარგავდნენ ეროვნულ სახეს, სხვებს ემსგავსებოდნენ, აბუჩად იგდებდნენ ყველაფერ ქართულს და მშობლიურ ენაზე ლაპარაკიც კი ეთაკილებოდათ. „შაჰ-აბაზის დროიდან სპარსეთში გადასახლებული ქართველები, — წერდა აკაკი, — დღესაც იმ შუაღულ-სპარსეთში წმინდათ ლაპარაკობენ ქართულს და აქ კი შუაღულ-საქართველოში მშობლები განზრახვით არ ასწავლიან დედა-ენას. — ბევრს ოჯახს შეხვდებით, სადაც დედ-მამა სიამოვნებით ტრამბახობს, რომ მისმა შვილებმა ერთი სიტყვაც არ იციან დედა-ენისა. — დღევანდელი დედები რომ ყმაწვილებს ენას ადგმევინებენ, ნაცვლად მისისა, რომ დასწავლიონ სიტყვები: „მამა“ და „დედა“, „პაპასა“ და „მამას“ აძახებენ, — თითქოს შემარცხვენი და საზოგადოარი იყოს ეს უტყბესი ყოვლის ადამიანისათვის სიტყვები. აერით იმათ გზა და კვალი!“ ჩვეულებრივ ამგვარ საქციელს დედები და მათთან ერთად მამებიც იმით ამართლებდნენ, რომ „რალაში გამოადგებათ ჩვენ შვილებს ქართული ენა და რა პურს აქმევსო“, მაგრამ საქმისადმი ასეთი ჩარჩული მიდგომა აკაკი წერეთელს, რა თქმა უნდა, უმართებულოდ და მიუტყვებლად მიაჩნდა.

ამგვარი გზავალაბნეული ქალები მშობლიურ ენასთან ერთად ეროვნობასაც კარგავდნენ და ბრმად ბაძვდნენ სხვებს, იმის ნაცვლად, რომ თავიანთი ეროვნული სახე შეენარჩუნებინათ, გაემდიდრებინათ და აემაღლებინათ. ერთი ასე-

თი ქალბატონის დაუფიქრარი მხატვრული სახე შექმნა აკაკიმ უსათაურო ლექსში (საერთო მოქმედების ამბობენ...)”. აი როგორ ახასიათებს მას დიდი ქართველი პოეტი:

თავმოხდილს, საკუთარ თმებში
სხვებისაც ჰქონდა ჩართული!
სხვა ენით ამიედურტულდა,
ეზარებოდა ქართული!
ამბობდა: „როგორც ვიკადრებ
ქართულად ჩაცმა-სურვასო!“
ნახევრად იყო ტიტველი...
თითქო აპირებს ცურვასო!
კაჟაჭივითა მეტყველი,
დახტოდა როგორც კალია,
ის ტუტუტების დამწველი
და მათი გულისკალი!
მხოლოდ ეს იხატებოდა
იმის ყუჟუნა თვალებში:
„მე ჩემი დღე და სოფელი
უნდა დავლიო ბალებში!“
და ეს სიტყვები ეწერა
იმის მწვენიერ სახესა:
„სხვა საქმე არ მაქვს, მე მხოლოდ
აშიყვებს ვუვებ მახესა“.

ე. წ. ახლანდელი ქალის ამ პორტრეტს ავსებს აკაკი წერეთლის სხვა ნაწარმოებები, მათ შორის ბრწყინვალე პამფლეტი „ბოდეა“ („ერთი ქალის დღიურიდან“). მასში დიდი ქართველი პოეტი გამანადგურებელი სარკასზით ამხილებს ფუქსავატ ქალბატონებს, რომლებიც ფუჟად, უნაყოფოდ ატარებენ დროს და მხოლოდ გართობაზე, აშეისათვის მახის დაგებაზე ოცნებობენ. ქართულ თეატრს ისინი სათოფვზე არ ეკარებინან და საერთოდ ეთაკილებათ ყოველგვარი მშობლიური, აბუჩად იგდებდნენ მას: „დილას მამიდაჩემი ქეთო შემოვიდა და მომილოცა: დღეს მცხეთობა... შეგეწიოს იმისი მადლიო, — ამბობს ერთ-ერთი ასეთი ახლანდელი ქალი თავის დღიურში. — მე ველარ ვკითხე: „ჩტო ტაყოვ მექეთობა?...“ ეგები ქართულ წარმოდგენას ერქვას!.. უი! თქვენმა მზებ, სწორედ ის იქნება!.. მამიდაჩემი ერთი უსწავლელი ვინება და ჯერ კიდევ გულიდან ვერ გადუფვდა ჩვენებური სისულელები... მექეთობა, ტოლი დელო თართაქოვ!.. პარმენ!.. რა კარგი და ტკბილი გამოსათქმელია!.. მექეთობა!.. ნე ბლაღოშუენი! ჩვენებური სიყვარული საზოგადოარი, არათუ სხვა რამე. გულს რომ კიდევ უნდოდეს, ენა ეწინააღმდეგება!.. აბა რა გამოსათქმელია „მიყვარხარ!“ თითქოს ყვავი დაგჩხავისო“.

საკუთარს, ეროვნულს ასე აბუჩად რომ იგდებს, ეს ქალბატონი ამავე დროს ბრმად ემორება ყოველივე უცხოურს, თავი მოაქვს

კულტურულ ადამიანად, რომელსაც ვითომ ვერ აკმაყოფილებს გარემო, ქართული სინამდვილე და ტანჯულის ბოზით აცხადებს: „ლამის გამათავოს სკუჩხბამო“. მას სხვები ეზიზღება, მაგრამ ვერ ამჩნევს, რომ საზოგადოებრივ თვითონ არის თავისი უნაყოფო და ფუჭი არსებობით, ვერ ამჩნევს, რომ ერთგულ სახესთან ერთად საერთოდ ადამიანობა დაუკარგავს და პირუტყვამდე დადაბლებულა. მართლაც, ადამიანი ზომ მამინ იწყებს ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებას, როცა ზრუნავს როგორც თავისი, ისე სხვების ბედნიერებისათვის, როცა ფიქრობს, რომ საყოველთაო ბედნიერება „მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც საზოგადოება, რომელიც ვცხოვრობთ, ბედნიერი იყოსო და დაიწყებს საზოგადოებისათვის კეთილმზრუნველობას“.

ე. წ. ახლანდელი ქალების მთელი უბედურება ის იყო, რომ მათ არავითარი საზოგადოებრივი ინტერესები და სულიერი ცხოვრება არ გააჩნდათ. ისინი მხოლოდ საყოველთაო მშობრის მოთხოვნისათვის აკმაყოფილებისათვის ზრუნავდნენ და, მაშასადამე, თითქმის არ განსხვავდებოდნენ პირუტყვისაგან, რომელიც აგრეთვე ბედნიერად გრძნობს თავს, თუ კი საკმაო საქმელ-სასმელი იშოვას. ნამდვილი ადამიანი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება დასაჯერდეს ამას, იგი ცდილობს დაიკმაყოფილოს როგორც ფიზიკური, ისე სულიერი მოთხოვნები და ამის გამო „მარტო აწყყოთი არ ცხოვრობს და არც არის ბედნიერი აწყყოთი, თუ მომავალს კეთილს არ ამზადებს და არ მოეღოს“.


ადვილი შესამჩნევია, რომ ყველა ეს მოდასაყლოილი და უცხოური კულტურით ზედაპირულად გატაცებული ქალბატონი საზოგადოების „ზედა“ ფენას ეკუთვნის, სადაც პატივს არ სცემენ და სამარცხვინოდ მიაჩნიათ შრომა. თავის „დღიურში“ ერთი მათგანი გაცხადებს გამოთქვამს, რომ მისი ახლო ნაცნობი თავთავაძე ვიღაც უბრალოდ ჩაემულ ქალიშვილს ესაუბრებოდა თეატრში და ეს სრულებითაც არ ეთავილებოდა: „ასე ნებრეყნათ რად არის ჩამეულ-დახურული თქო და, არა სცალიან და მაგაზედ ფიქრი სხვებისათვის მიუღწევიაო. ის ქალი გაყვანილებს აძლევს, შრომობს და ოფლით არჩენს მოხუცებულ დედ-მამას და პატარა ძმასაც თავის ხარჯითა ჰხდისო. კაც ეტა უქანსო-თქო, წამოვიძახე... და თავის ქნევით მითხრა: მართლა რომ უქანსო იმათი მდგომარეობა, ვინც უსაქმურად არიან, თორემ მაგას რა უქარს, შრომობს და ბედნიერიაო“. სხვა სტატიაში, რომელიც ნინო ბატონიშვილის ხსოვნას მიუძღვნა, აკაცი ხაზგასმით აღნიშნა,

ნაგდა, რომ იგი, ნინო ბატონიშვილი, არ მისდევდა ახლანდელი ქალების პრინციპს: „ნამდვიე, დამხურე, მაღზინე, მაფარფაშე“, პირიქით, „განსვენებულმა დაგვანახვა, რომ პატიოსანი შრომა რა გვარიც უნდა იყოს, თუ ამაღლებს ხარისხს, თორემ არ დაამაბალებს!.. მდიდრებიც ვალდებული არიან იმუშაონო! დაგვიმტკიცა“.

როგორც ეხედავთ, აკაცი მკვეთრად განასხვავებს მშრომელ და ფუქსავატ ქალებს, პირველს აქებს, მეორეს კი კიცხავს. კიცხავს არა სხვა რაიმე მიზეზით, არამედ იმის გამო, რომ არ ასრულებენ და არც სურთ შესარულონ ის დიდი და საპატიო მოვალეობანი, რომლებიც ვალდ აწევს საერთოდ დედათა სქესს: „იყოს კეთილი დედა, კარგი მეუღლე და საყდრისი ასული თავისი ქვეყნისა“. ეს იყო მთავარი, რაც ხაზგასმით აღნიშნა აკაციმ ერთ-ერთ საპოლემიკო სტატიაში, როცა თავის ოპონენტს უპასუხებდა: „აი რათა ვკიცხავთ ახლანდელ ქალებს და რა მხრით ვეხებით, თორემ თქვენ რომ ჰფიქრობთ, ის ჩვენი საქმე არ არის! რა ხელი გვაქვს კერძობასთან, თუ კი ის კერძობა საზოგადოთ ამას ეხება? რაც უნდათ ისა ქნან. მათი ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა, სიყვარული და ამგარი რაიმეები ჩვენი საყურადღებო არ არის... ფარჩას ჩაიცვამს თუ ჩიოს, პეტრეს შეიყვარებს თუ ივანეს, ტაბუტუნსა სჭამს თუ ლობიოს, განა ჩვენთვის ეს ერთი არ იქნება? არა, ჩვენ ვთხოულობთ საქმეს! საქმეს და თანაგრძნობას!“

აკაცის ეს სიტყვები მკვეთრმეტყველოდ მოწოდებს, რომ „ახლანდელი ქალების“ კრიტიკისას დიდი ჭარბი ბოჭი მიზნად ისახავდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა აქტიურობის ამაღლებას, ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებას. ამას დასტურებს აგრეთვე მოსაზრება, რომელიც აკაციმ გამოთქვა თავის ლექციებში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. კმაყოფილებით აღნიშნა რა ახალთაობის წარმატებითი საქმიანობა, მან იქვე მიუთითა, რომ ამ საქმიანობის შედეგი გაცილებით უკეთესი და უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, ვაეებთან ერთად ქალებსაც რომ გაეწიათ საერთო უღელიო. „არა, — ამბობდა აკაცი, — ბევრი გაუთვებით ამ ვაეებს, მაგრამ იმათ ადგილზე ქალები რომ ყოფილიყვნენ, იმათაც რომ იმდენი ღრო და საშუალება ჰქონოდათ, ეჭვ არ არის, მეტ სარგებლობას მოუტანდნენ ჩვენი ქვეყანას თავისთავად და ვაეებსაც აღძრავდნენ ენერგიულად კეთილ სამუშაოთ“.

მაგრამ ვის უნდა მიეცა ქალისათვის საქვეყნო საქმეებში აქტიური მონაწილეობის „ღრო და



საშუალება? აკაკის მიუღებლად მიაჩნდა იმათი შეხედულება, ვინც ამტკიცებდა, რომ ქალის განთავისუფლება ვითომც მხოლოდ მამაკაცების საქმეა, რომ მხოლოდ მათ უნდა შეუქმნან ქალს ნიჭისა და უნარის გამოყენების ყველა პირობა. არა, ამბობდა დიდი ქართველი პოეტი, საქართველო თვითონ ქალებმაც გამოიღონ ხელი, იზარხორონ თავიანთი უფლებებისათვის და კი არ ელოდონ, როდის მიაღწევენ მათ თავისუფლებას: „ჩემო დაო და დანო, — წერდა აკაკი ამის თაობაზე, — ტყუილია თქვენი მუდარა — კაცებო მოგვეცით ის მდგომარეობა, რომელიც თქვენ გაქვს და მაშინ დახედეთ — თუ უკან ჩამოგივარდეთ. სანამ თქვენ თვითონ... არ აღეშინებთ იმ ციხეს, რომელსაც უკეთესი მდგომარეობა ჰქვია, მანამ კაცი არ შეგიშვებს შიგ... აკაკი, ილია და ნიკოლოზ ბარათაშვილი რომ ადრინდელის საქართველოს ქალებს გითითებენ სამაგალითოდ, იმ ქალებს მათის საკუთარის ღირსებით და ღვაწლით ჰქონდათ საპატიო ადგილი ერის ცხოვრებაში მოპოვებული, თორემ მამა-კაცთაგან იჩქითად, მოულოდნელ საჩუქრად კი არ მიუღრიათ“. თავისთავად ცხადია, აკაკის ასეთი პოზიცია ამ საკითხში საესეებით სწორია, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა ქალთა შემოქმედებითი ძალების გაშლას და მათი ნაწილობრივ განთავისუფლების ამოღებას.

დასასრულ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი წერეთელს მუდამ მტკიცედ სწამდა, რომ ქართველი ქალი ახალ ვითარებაშიც იტყოდა თავის სიტყვას, გამოაშქლავებდა წინაპართა ყველა ღირსებას და შეუწელებლად გაზრდიდა

თავის წვლილს საერთო-სახალხო საქმეში, დეე მტკიცე, იგი ამბობდა, რომ „მომავლისათვის საიმედო ნიშნები ქალებში უფრო იხედება“. საგულისხმოა, რომ მომავლის ამ ნიშნებს აკაკი უპირველეს ყოვლისა ხედავდა მშრომელ ქალებში, რომლებსაც კი არ ეთავიკლებოდათ პატიოსანი შრომა, არამედ, პირიქით, მასში პოულობდნენ ბედნიერებას, და უნარი შესწევდათ საპირადად ყოველთვის დაექვემდებარებინათ საზოგადო საქმისათვის. კერძოდ, ეს აზრი განავითარა აკაკიმ სტატიაში, რომელიც „მალღი“ წრის ერთი ქალბატონის პასუხად დაწერა. აი როგორ ახასიათებდა იგი ამ სტატიაში მშრომელს. გამარჯვებულს: „ისინი არც სილამაზით არიან თქვენზედ ნაკლები, არც გულითა და გრძნობით: იმათი ახალგაზრდობაც ხალისსა და ქვიფს ითხოვს, მაგრამ, დრო და ჟამს რომ უყურებენ, ასე ამბობენ: ქვეყნის მომავალსა და მის სიკეთეს რომ არ დავებმართო, უსინდისობა იქნება! შედგომიან საქმეს და შეძლების-და-გვარად კიდევ ცდილობენ, რომ გააქეთონ რამე. თქვენის წრის ქალებზედ კი კარგი ხანია გულგატეხილები ვართ!..“

ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა აკაკი წერეთლის ეს შეხედულება, მშრომელმა ქართველმა ქალმა საესებით გააძაბრა ყველა იმედი, რასაც მასზე ამყარებდა დიდი ქართველი პოეტი, და დღეს, თავისუფალი და ბედნიერი, მამაკაცის მხარდამხარ აქტიურად მონაწილეობს მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, თავისი თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ქვეყნის წინსვლასა და აყვავებაში.



ლევან აბაშიძე

მხაგვრული სახის გუნების შესახებ

ხელოვნება გვიჩვენებს, მეცნიერება გვიმტკიცებს, ხოლო გვეუბნებიან ისინი ერთსა და იმავეს: ერთი — მხატვრული სახის, მეორე — სილოგიზმების საშუალებით. ასეთია ხელოვნების სპეციფიკის ტრადიციული განსაზღვრება, რომელიც რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა, კერძოდ ბელინსკიმ, ჩამოაყალიბეს.

მართალია, ხელოვნების თავისებურების ასეთ ფორმულირებას ჯერ კიდევ ჰეგელთან ვხვდებით, მაგრამ იქ მას იდეალისტური გაგება აქვს. ხელოვნების შინაარსი იდეა არისო, ამბობს ჰეგელი, ხოლო მისი ფორმა გრძნობითი, სახეობრივი გაფორმება („ესთეტიკა“, რუსული გამ., ტ. XII, 1938, გვ. 74). სილამაზე ხელოვნებაში თავის თავს სთავაზობს გარეგან გრძნობებს, შეგრძნებებს, მკვრეტელობას, წარმოსახვას (იქვე, გვ. 6). მეცნიერება კი თავისი ფორმით, როგორც ამას ყველა აღიარებსო, — ამბობს ჰეგელი, — სარგებლობს წერილობით მასისაგან აბსტრაგირებული აზროვნებით (იქვე, გვ. 8).

გ. პლუხანოვი ამ საკითხში არსებითად ბელინსკის იმეორებს და ჰეგელის მატერიალისტურ წაყიფხვას წარმოადგენს. ე. ი. ცოცხალი სახეების შექმნაში ხედავს ხელოვნების სპეციფიკას.

ამ განსაზღვრებამ დიდი ისტორიული როლი შეასრულა უდიდო, უშინაარსო, ანტირეალისტური მხატვრული პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ დებულებას „ხელოვნება სახეებით აზროვნებაა“ მაშინ აქვს კონკრეტული მნიშვნელობა და მეცნიერული ღირებულება, თუ მას მატერიალისტურად გავიგებთ და

თუ სწორად გვესმის თვით მხატვრული სახის ცნება.

გაანჩია თუ არა მხატვრულ სახეს რაიმე არსებითი თავისებურება, თუ იგი არაფრით განსხვავდება არამხატვრული სახისაგან?

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ წარუმატებლად დამთავრდა ზოგიერთი მკვლევარის ცდა დაედგინა ხელოვნების სპეციფიკური საგანი, რომელმაც თითქოს განსაზღვრა ხელოვნების სპეციფიკური, სახეობრივი ფორმა. როგორც სამართლიანად შენიშნეს ნ. ჰაუპტმანმა და კ. ბოლქვაძემ, ისეთი საგნის დადგენა, რომელიც მხოლოდ ხელოვნების მონოპოლიას წარმოადგენდეს და ლოგიკური აზროვნებისათვის მიუწვდომელი იყოს, შეუძლებელია. შეუძლებელია საგანი ესთეტიკური განცდის ობიექტი იყოს და შემეცნებითს პროცესში არ აისახოს და მასზე აზროვნება არ შეიძლებოდეს. მაშასადამე, შეცდომა თვით საკითხის დაყენებაშია. სახელობრ, მცდარია ის წანამძღვარი, რომელსაც ხელოვნების სპეციფიკური საგნის ძიება ემყარება. ეს წანამძღვარი არის მხატვრული სახის ცნება, რომელიც მიჩნეულია ცნობიერის გამოსახვის ფორმად და არა თვით ცნობიერის ასახვის ფორმად.

ჩვენი წერილის მიზანია შეძლებისდაგვარად განვმარტოთ ეს.

ეხება რა ადამიანის არსებითი ძალების გასაგნების და ბუნების გაადამიანურების მოვლენას, კ. მარქსი განმარტავს: მხოლოდ მუსიკა აღვიძებს ადამიანის მუსიკალურ გრძნობას; არამუსიკალური ყურისათვის უმშვენიერეს მუსიკას არავითარი აზრი არა აქვს, იგი მისთვის არ არის საგანი, იმიტომ რომ ჩემი საგანი შე-

*იბეჭდება განხილვის წესით.

ძლებდა იყოს მხოლოდ დამკვიდრება ჩემი ერთ-ერთი არსებითი ძალისა.

კ. მარქსი გარკვევით ამბობს: რაიმე საგნის მნიშვნელობა ზუსტად შეესატყვისება ჩემს გრძნობას. ადამიანური გრძნობა, გრძნობათა ორგანოების ადამიანურება წარმოიშობა მხოლოდ მათი საგნის მეშვეობით, გაადამიანურებული ბუნების მეშვეობით (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ხელოვნების შესახებ, რუს. გამ., 1938, გვ. 42-43).

საგანი იმდენად არის საგანი, რამდენადაც ადამიანური არსებით ძალეზე, ე. ი. ცნობიერ შინაარსს შეესატყვისება. მშვენიერ მუსიკას იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც იგი საგნობრივი სინამდვილეა ცნობიერების გარკვეული შინაარსისა, ამ უკანასკნელის საგნობრივი არსებობის ფორმაა.

როგორც აზროვნება, ისე გრძნობა (ცნობიერი მოვლენები) ფიზიკურ, საგნობრივ სინამდვილეში უნდა გამოვლინდნენ, რათა სხვისთვისაც არსებულ ობიექტურ რეალობად იქცნენ. სული მატერიის გარეშე არ არსებობს არა მარტო იმ გაგებით, რომ ფსიქიკა ტვინის ფუნქციაა და სინამდვილის ასახვის ფსიქიკური ფორმა ცენტრალური ნერვული სისტემის ჩასახვა-წარმოშობასთანაა დაკავშირებული, არამედ იმ მნიშვნელობითაც, რომ ფსიქიკური მხოლოდ ფიზიკურში, ფიზიკური არსებობის სახითაა აღქმის ობიექტი. როგორც სიტყვა არის აზრის (ფსიქიკურის) საგნობრივი (ფიზიკური) რეალობა, ასევე მხატვრული სახე არის გრძნობის (ფსიქიკურის) საგნობრივი (ფიზიკური) არსებობის ფორმა. ადამიანის ბეგრები მაშინ იქცევიან სიტყვად, როდესაც ბეგრათა მოცემული კომპლექსი (ფიზიკური გამომიანებებელი) აზრის მატარებელი ხდება. მხოლოდ მხატვრული სახეა ადამიანის გრძნობის უშუალო სინამდვილე. როგორც სიტყვა აფორმებს აზრს, ასევე მხატვრული სახე აფორმებს და საგნობრივ სინამდვილედ აქცევს ადამიანურ გრძნობას. ცხადია, ემოციების გამომხატველი მოძრაობანი სხეულისა სახედ თავისთავად ვერ ჩაითვლება.

ამას ლევ ტოლსტოიცი აღნიშნავდა. ხელოვნება იწყება მაშინ, — ამბობდა იგი, — როდესაც ადამიანი სხვას შეგნებულად გადასცემს თავის გრძნობებს. ემოციის ინსტინქტური გამოვლენა — ეს ერთია, მისი გასაგება — მეორე. პირველი (ფსიქიკურ-ფიზიოლოგიური) მაშინ იქცევა ესთეტიკურ მოვლენად, როდესაც ადამიანური, ცნობიერი საზოგადოებრივი შინაარსის გამოხატვის საშუალება ხდება.

ცხოველსათვის არ არსებობს არც სიტყვა და არც სიმღერა, რადგანაც მისთვის ისინი მხოლოდ ფიზიკური გამომიანებლებია. ადამიანისათვის კი სიტყვა ცნობიერების (კერძოდ,

აზროვნების) მატარებელი ფიზიკური გამომიანებელია. ბუნების გაადამიანურება, ენა-გულისხმობდეს, რომ შრომის პროცესში ბუნებრივი მოვლენები და საგნები თავისი ფიზიკური თვისებებით საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და შინაარსს იძენენ. ჩემს წინაშე არა უბრალო ნათარის ნაჭერია, არამედ ჩაქუჩი, გრდემლი და ა. შ., როგორც შრომის პროდუქტი და შრომის იარაღი. არა მარტო საგნები, მათი ცალკეული ფიზიკური თვისებებიც ადამიანურ მნიშვნელობასა და აზრს იძენენ. სწორედ ამით არის შესაძლებელი ესთეტიკური თვისების ობიექტურად არსებობა.

ცხოველზე არ შეიძლება მოქმედებდეს მუსიკა, რადგანაც მისთვის იგი ფიზიკური გამომიანებელია ბეგრების სახით, რომლებიც, შესაძლებელია, სასიამოვნოდ იყოს მისთვის. ადამიანისათვის კი მუსიკა გარკვეული განწყობების (ე. ი. ადამიანური, ცნობიერი) შინაარსის გამომხატველი ბეგრებია. გიგო მუსიკალური ნაწარმოები — ეს ნიშნავს ჩასწვდომ განცდას, რაც მასშია გამოხატული. თავისთავად ბეგრით მიღებული სიამოვნება ესთეტიკური განცდა არაა. ბეგრებით გამოხატული განწყობილება კი ცნობიერი შინაარსის გამომხატველი მხატვრული ფორმაა, ე. ი. ცნობიერების ობიექტური არსებობის ესთეტიკური ფორმა. ამიტომაც ესთეტიკური განცდა არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური ბუნებისაა, ხოლო მხატვრული სახე ისტორიულ-კულტურული განვითარების შედეგია.

ამ მოსაზრებით თავისთავად იხსნება საკითხი ხელოვნების სპეციფიკური საგნის ამაო ძიებისა.

იმის აღიარება, რომ მხატვრული სახე გრძნობის „სიტყვაა“, გრძნობის გასაგებაა, მისი არსებობის ესთეტიკური ფორმაა, არ ნიშნავს შინაარსიანი ხელოვნების უარყოფას თუნდაც იმ-იტომ, რომ ნაწარმოები, რომელიც ღრმა განცდებს იწვევს, არ შეიძლება უშინაარსო და უიდეო იყოს.

ხელოვნებისა და მეცნიერების საგანი სინამდვილის მოვლენებია. აზროვნება მოვლენის არსს სწვდება, გრძნობა კი გამოვლენილი არსისადმი ადამიანის დამოკიდებულების განცდა და, მასთანადავე, ცნობიერების გამოვლენაა. არა ასახავი საგნის თავისებურება, არამედ საგნის ცნობიერი ასახვის, ე. ი. ცნობიერების გამოვლენის თავისებურებაა ხელოვნების ფორმის სპეციფიკის განმსაზღვრელი. არა ფერებსა და ბეგრებში გამოვლენილი სუბიექტური განცდები, არამედ სუბიექტის განცდებში ასახული სინამდვილე — აი რა არის ხელოვნების სპეციფიკური ნიშანი. ეს კი ეხება არა საგნის სპეციფიკას, არამედ ასახვის სპეციფიკას. სპეციფიკურია არა ობიექტური საგანი, არამედ ამ საგნის ცნობიერი ასახვა. ასეთი სპეციფიკური ასა-

ხვის საშუალებას წარმოადგენს მხატვრული სახე, ანალოგიურად იმისა, როგორც ცნების გამოხატველი სიტყვა, ე. ი. ტერმინი არის ლოგიკური, მეცნიერული აზროვნების საშუალება, როგორც ენა არის აზროვნების საშუალება.

ცნობიერება კი, როგორც მთლიანად ფსიქიკა, არის სუბიექტის ორგანო (კ. მარქსი), ინდივიდის იარაღი, რომელიც სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესშია შექმნილი (დ. უზნაძე). მაშასადამე, სპეციფიკური არის თვით იარაღის სახეობა, როგორც ცნობიერების თავისებური გამოვლენა და არა ის საგანი, რომელსაც ამ იარაღით თვისებებს აღამიანი. ამიტომ მხოლოდ ხელოვნების მონობოლიური საგანს არ წარმოადგენს აღამიანი (ა. ბუროვი), არც სინამდვილის ესთეტიკური თვისებები (ვ. ვანსლოვი), ხოლო „აღამიანისა და სინამდვილის დამოკიდებულება“ (ნ. ჭავჭავაძე) არა სპეციფიკური საგანი, ან შინაარსია, აზროვნებისათვის მიუწვდომელი ობიექტი, არამედ იმ „იარაღის“ რეალობათის, გამოყენების პროცესი, რომელიც აღამიანურ გრძნობათა სახით ცნობიერების გამოვლენას წარმოადგენს სინამდვილესთან აქტიური დამოკიდებულების პროცესში.

შემეცნებითი პროცესი (შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, აზროვნება) ყოველთვის განსაზღვრავს გრძნობის საგნობრივ შინაარსს. მაგრამ გრძნობები და ემოციები განისაზღვრებიან არა მარტო ობიექტური საგნით, არამედ წარსულ გამოცდილებაში შემუშავებული ასოციაციებითაც. აღამიანის აღზრდისა და პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში შემუშავებული სისტემა სინამდვილისადმი დამოკიდებულების მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გრძნობა-ემოციებზე. ამიტომაც მხატვრული სახე შემოქმედის ინდივიდუალობის დადს ატარებს. მაგრამ იმისათვის, რომ განვიცადო გრძნობის საგნისადმი ჩემი დამოკიდებულება, საგანი უნდა მომეცეს შემეცნებაში.

ასახლო ობიექტის ემოციურ შეფასებაში მდგომარეობს მხატვრული სახის იდეა. რამდენადაც ემოცია ცნობიერი მოვლენა, გრძნობის საგნისადმი დამოკიდებულების განცდაა, მისი გააზრებაც შესაძლებელია და ამ დამოკიდებულების განსაზღვრაც ლოგიკური აზროვნების ფორმებში. ეს კი ნიშნავს: მხატვრული ნაწარმოების იდეის „თარგმან“ შესაძლებელია ცნებების „ენაზე“, ხოლო ამ იდეის ესთეტიკურ ფორმაში გამოხატვა მხოლოდ მხატვრულ სახეში.

ამგვარად სახის საშუალებით გრძნობის გამოხატვა, გასაგნება, თავისთავად გულისხმობს აზრის, იდეის გამოხატვასაც.

მხატვრული სახის სპეციფიკურობა არ მდგო-

მარტომ მის გრძნობად-კონკრეტულობაში. როგორც ამას ზოგიერთი ავტორი აღნიშნავს, გრძნობად-კონკრეტულია არამხატვრული ხეც. მაგრამ საკმარისია სახე გარკვეულ გრძნობა-განწყობილებას შეიცავდეს და იგი მხატვრული შემოქმედების ფაქტად იქცევა. ჩამოაშორეთ მხატვრულ სახეს ემოციური გამოხატველობა და მისგან ხელოვნებისა აღარაფერი დარჩება.

მხატვრული სახის გრძნობად-კონკრეტულობა თვითაა გამოწვეული იმით, რომ უშუალო განცდის გასაგნება, მისი გამოხატვა მოვლენათა და საგანთა გრძნობადი თვისებებითაა შესაძლებელი. სიტყვას თავისი პირდაპირი მნიშვნელობით არ შეუძლია გრძნობის უშუალოდ გამოხატვა.

ყოველი სიტყვა უკვე განზოგადება; გრძნობა გვიჩვენებს რეალობას, აზრი და სიტყვა—ზოგადს, ამბობს ვ. ი. ლენინი. ყველაფერი ზოგადი ჩვენ გვესმის; კერძო, ერთეული კი მოგვწონს ან გვძულს, როგორც ა. ი. გერცენი წერს.

პრაქტიკის სხვა სფეროებიდან მხატვრული შემოქმედება იმით განსხვავდება და მხატვრულ სახეს არამხატვრულთან შედარებით ის არსებითი თავისებურება გააჩნია, რომ ამ შემთხვევაში ცნობიერების შინაარსი ემოციური განცდის სახით ვლინდება.

მხატვრული შემოქმედების პროცესი მხოლოდ სუბიექტურად არის გარკვეულ გრძნობა-განწყობილებათა გასაგნების, განივითარების, მატერიალიზაციის, ე. ი. გამოხატვის პროცესი. ობიექტურად ეს სინამდვილის ასახვაა. გრძნობის გასაგნება იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც საგნები, მოვლენები და მათი ფიზიკური თვისებები აღამიანთა საზოგადოებაში იმდენად აღამიანურ და მათ შორის ესთეტიკურ მნიშვნელობას. ესთეტიკური თვისება კი არის აღამიანური, ცნობიერი შინაარსის ემოციური გამოხატვის უნარი და, მაშასადამე, აღამიანის ცნობიერებაზე (და არა საერთოდ ცხოველებზე, როგორც ზოგიერთი ავტორი ამბობს) ემოციური ზეგავლენის უნარი.

არამხატვრული სახე ხატია სინამდვილისა, ხოლო მხატვრული სახე გრძნობის გამოხატვაა ამ ხატში. არამხატვრული სახე მხოლოდ ფიზიკური თვისებებით ასახავს საგნებს, მხატვრული სახე კი ფიზიკური თვისებებით აღამიანურ, ცნობიერი შინაარსს გამოხატავს, ე. ი. ესთეტიკური თვისებებით ასახავს სინამდვილეს.

მხატვრული ასახვა გრძნობად-ფიზიკურ თვისებებს ეყრდნობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ობიექტის ასახვას უუკველად მისი ბუნებრივი ფორმით. ასეთი გზა, თუ სახით ხელოვნებაში მას თავისი საფუძველი აქვს, მუსიკაში, მაგალითად, ბერათმომბაქველობამდე მიგვიყვანდა.

ხელოვნება სინამდვილეს გამოსახავს. სინამდვილის გამოსახვაა მუსიკაც, მაგრამ იმდენად, რამდენადაც, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ე. ასმუსი, ყოველი მხატვრული ნაწარმობის წყარო და საფუძველი არის სინამდვილის საგანი ან მოვლენა, რომლებმაც კომპოზიტორში გარკვეული შთაბეჭდილება, გრძნობა-განწყობილება და აზრი გამოიწვიეს.

მხატვრული სახე გრძნობის საგნობრივი არსებობის ფორმაა, მაგრამ არა გრძნობის ფორმა. როგორც ცნების, ისე მხატვრული სახის შინაარსი ობიექტური სინამდვილეა, ცნობიერების მიერ ასახული სინამდვილე. მაგრამ როგორც აზროვნებას გააჩნია თავისი ფორმები და ეს არის აზროვნების ლოგიკური ფორმები, ასევე ადამიანურ გრძნობებსაც გააჩნიათ თავისი ფორმები, რაც იმას წარმოადგენს, რაშიც ჩვენ მხატვრული სტილის ცნებას ვგულისხმობთ.

მხატვრული სტილი ვლინდება ყველგან, სადაც გრძნობა სახიერდება, რადგან იგი გრძნობის შინაარსის ფორმაა. არსებითად ეს შეეხება იმას, თუ გრძნობადი მასალის როგორ თვალსაჩინო ხატში, როგორ მხატვრულ ფორმაში ვლინდება მოცემული გრძნობა-განწყობილება, სინამდვილისაგან მიღებული შთაბეჭდილება.

სტილი სოციალურად განსაზღვრული ინდივიდუალობაა როგორც ცალკე პიროვნებისა, ასევე კლასის, ერის' და ა. შ.

შინაარსით სოციალისტური და ფორმით

ეროვნული ხელოვნების თავისებურება მხატვრული სახის ფორმაში ვლინდება, რაც გრძნობის შინაარსის ფორმის გამოვლენაა. მხატვრული არა მარტო პიროვნების გამოხატვის ფორმაა, არამედ ადამიანის ცნობიერების ინდივიდუალობის ფორმაც. ყოველ კლასს, ერს, ეპოქას და ა. შ. ახასიათებს თავისებური გრძნობები და ამ გრძნობათა გამოხატვის თავისებური ფორმები, რაც საზოგადოებრივი ცნობებების პირობებითაა განსაზღვრული.

რამდენადაც გრძნობას საზოგადოებრივი და ისტორიული ხასიათი აქვს, ამდენად სტილიც გამოხატავს ეპოქას, კლასს, ეროვნებას და ა. შ. სტილი საზოგადოებრივ-ისტორიული კატეგორიაა.

თუ ლიტერატურული სტილის ძირითად საკითხს წარმოადგენს აზრისა და მისი ენობრივი გამოთქმის ურთიერთ შესატყვისობა, ე. ი. რამდენად გადმოგვცემენ სიტყვები სათქმელს, მხატვრული სტილის მთავარ საკითხს წარმოადგენს გრძნობისა და სახის ურთიერთშესატყვისობა, ე. ი. რამდენად შეესატყვისება გრძნობის ფორმა გრძნობის საგნობრივ შინაარსს, რამდენად სრულად და შესაფერისად გამოხატა ცნობიერების შინაარსი (გრძნობა) საგნობრივ სინამდვილეში (სახეში). ეს იგივეა, რაც ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის საკითხი, იდეისა და სახის ერთიანობის საკითხი, რადგანაც გრძნობის გასაგნება, გამოხატვა ხელოვნების თვითმიზანია კი არ არის, არამედ სინამდვილის ასახვის და მისი შეფასების იდეის გამოხატვის საშუალება, გზა, ხერხი.



იკაპლი დიასამიძე

აჭარის ქურორტები მიმდინარე შეიღწეული

საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი კუთხე — აჭარა სხვა ბუნებრივ მონაცემებთან ერთად ღირსშესანიშნავია თავისი საკურორტო ადგილებით.

ამ მხრივ, უბირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს აჭარის ზღვისპირა ზოლი, რომელიც ხასიათდება სუბტროპიკული ჰავით, მზის მცხუნვარე სხივებით, დიდი რაღიაციით, ზაფხულის ტემპერატურის გამაზომიერებელი ბრიზებით, თბილი შემოდგომითა და რბილი, თიქმის უთოვლო ზამთრით. ქ. ბათუმის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით, აჭარის ზღვის სანაპირო ზოლის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის 14° ცელსიუსით, საშუალო თვიური ტემპერატურა იანვარში არის $6,5^{\circ}$, ხოლო ზაფხულში — $23,3^{\circ}$.

ზღვა თბილი და მეტად მიმზიდველია ზაფხულსა და შემოდგომაზე. ამ პერიოდში წყლის საშუალო ტემპერატურა $23,8^{\circ}$ უდრის. სანაპირო ზოლი დაფარულია მდიდარი სუბტროპიკული მცენარეულობით.

შედარებით ნაკლებად ცნობილია აჭარის მაღალმთიანი საკურორტო ადგილები, რადგან ისინი კლიმატოლოგიურად დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი. მოსახლეობის დაკვირვებანი კი ცხადყოფენ, რომ ისეთ ადგილებში, როგორიცაა სარი-ჩაირი (ზღვის დონიდან 2560 მეტრი), ჩირუხი (2438 მეტრი), გოდერძის უღელტეხილი და მისი მიდამოები (2036 მეტრი), ბეშუმბი (1830 მეტრი), ცისკარი (1300 მეტრი) და სხვები, შეიძლება მშვენიერი პირველხარისხოვანი კურორტები გაჟღერდეს. აჭარის მთიან ნაწილში უხვადაა აგრეთვე მინერალური წყაროები. აქ გვხვდება ნახშირორჟანგიანი,

რკინიან-სულფატური, გოგირდ-წყალბადიანი და სხვა მინერალური წყლები.

აჭარის როგორც მთიანი, ისე ზღვის სანაპირო ზოლის დიდ საკურორტო მნიშვნელობას ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში მიაქციეს ყურადღება, მაშინვე, როგორც კი ჩვენი მხარე დაუბრუნდა დედა-სამშობლოს — საქართველოს. მაგრამ აჭარაში საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის ნამდვილი ზრუნვა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაიწყო.

საბჭოთა მთავრობამ თავისი არსებობის პირველსავე წელს აჭარის ყველა საკურორტო ადგილი სახელმწიფოებრივ საკუთრებად გამოაცხადა და დაიწყო საკურორტო საქმის ორგანიზაცია. განხორციელებულ ღონისძიებათა მეოხებით ყოველწლიურად იზრდებოდა აჭარის კურორტების გამტარუნარიანობა. საქმარისია ითქვას, რომ თუ 1926 წელს ისინი მოემსახურნენ ორი ათას კაცს, 1955 წელს აჭარის კურორტთა მთავარი სამმართველოს სანატორიუმებში დაისვენა და იმკურნალა 2744 ავადმყოფმა, საუწყებო სანატორიუმებში — 4115 ავადმყოფმა, ხოლო დასასვენებელმა სახლებმა მიიღეს 33.663 დამსვენებელი, ე. ი. სულ დაისვენა და იმკურნალა 40 ათასზე მეტმა კაცმა.

სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ავადმყოფთა და დამსვენებელთა მომსახურებას აფერხებდა ის გარემოება, რომ ერთი და იმავე კურორტის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ექვემდებარებოდნენ სხვადასხვა სამინისტროს, უწყებასა და ორგანიზაციას. იქმნებოდა პარალელურად მოქმედი, ერთნაირი სამკურნალო და დასასვენებელი კამპინეტები, ლაბორატორიები, საკუჭნაოები, მომარაგების

ორგანიზაციები და სხვა, რაც იწვევდა შტატების გაბერვასა და ავადმყოფ-დამსვენებელთა მომსახურების გაძვირებას. შეუძლებელი ხდებოდა სპეციალიზებული სანატორიული მომსახურება დაავადების სახეების მიხედვით და ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების მაქსიმალურად გამოყენება. ამის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ყველა სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, გარდა სამხედრო უწყებისა და მისი მსგავსი დაწესებულებისა, გადაეცა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. ამის შედეგად სამკურნალო-სანატორიული მომსახურება უფრო კომპლექსური და კვალიფიციური გახდა, სანატორიულ-კურორტული მომსახურება გაუმჯობესდა და ვიათ-

და. მარომელთა დასვენებისა და სანატორიულ-კურორტული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და ამ საქმეში პროფკავშირების როლის ამაღლების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, 1960 წლიდან სამკურნალო აგარისზე მყოფი ყველა მოქმედი სანატორიუმი (გარდა ტუბერკულოზურისა), დასასვენებელი სახლები, საკურორტო-სამკურნალო დაწესებულებანი და საკურორტო პოლიკლინიკები, აგრეთვე პანსიონატები (გარდა ევპატორიის პანსიონატებისა, რომლებიც განკუთვნილი არიან იმ ბავშვებისათვის, რომელთაც პოლიომიელითი გადაიტანეს), საკურორტო სანატორიუმები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს ეკუთვნოდნენ, მშენებარე სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები (გარდა ტუბერკულოზურისა) გადაეცათ რესპუბლიკურ პროფსაბჭოებს, ხოლო რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში — საკავშირო პროფსაბჭოს ცენტრალურ საბჭოს.

საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის შეუწელებელი ზრუნვის ახალი მკაფიო დადასტურებაა 1959-1965 წლების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სამკურნალო-პროფილაქტიკური ქსელი-სა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კერების შემდგომ ზრდა-განვითარებას, ახალი კლიმატური რაიონებისა და საკურორტო ადგილების გამოჩახვა-შესწავლას და მათ კეთილმოწყობას.

უკვე თითქმის ორი წელია დაიწყო ამ გეგმის განხორციელება და აჭარის კურორტები სულ უფრო ღამაში და კეთილმოწყობილი ხდება. განსაკუთრებით დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ზღვისპირა კურორტების კეთილმოწყობაზე. ქ. ბათუმში ფართოდება ზღვისპირა პარკი, შენდება ახალი პარკები და სკვერები, ქუჩები იცემა ახალ-ახალი ნარგავებით. გათვალის-

წინებულია ქალაქის გარეუბნების კანალიზაცია და ახალი წყალსადენის მშენებლობა. ტყეში წლებში აქ უნდა აშენდეს ერთი ორასამდე ანი სასტუმრო-პანსიონატი, ერთი დასასვენებელი სახლი (200 საწოლით), ზღვის თბილი აბაზანების ახალი შენობა (100 აბაზანით). უკვე დამთავრდა საზამთრო საცურაო აუზისა (220 კაცისათვის) და სამასადგილიანი ტურისტული ბაზის მშენებლობა, ბათუმ-ქობულეთის გზატკეცილის კაპიტალური რეკონსტრუქცია და სხვ.

გათვალისწინებულია კურორტ მახინჯაურის ცენტრის რეკონსტრუქცია. მალე დამთავრდება მახინჯაურის გოგირდის აბაზანების ღრმა სიძიეობი სამუშაოები, რის შედეგადაც წყლის სადლელამისი დებიტი 24 ათასიდან გაიზრდება 400 ათასამდე. აქვე აშენდება ასაწოლიანი ბალნეოლოგიური პანსიონატი და ორასადგილიანი სასტუმრო-პანსიონატი. დამთავრდება დასასვენებელი სახლის „მზიურის“ რეკონსტრუქცია და გათვითვდება დასასვენებელი სახლი „ნარინჯი“. მყვანე კონცხზე სანატორიუმ „აპარასთან“ აშენდება კულბა და სასადილო, მოწყობა მემდიცინო პლაჟი. კურორტ ციხისძირში აიგება ორი საბაგირო გზა, რომლებიც დასასვენებელ სახლებს „ნიაგა“ და „ციხისძირს“ დააკავშირებენ პლაჟთან.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა კურორტ ქობულეთს. მისი კეთილმოწყობის გენერალური გეგმა ჯერ კიდევ 1955 წელს დამტკიცეს ზემდგომმა ორგანოებმა. ამჟამად აქ მიმდინარეობს კანალიზაციისა და წყალსადენის მშენებლობის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და ბალ-პარკების გამწვანება-გალამაზების სამუშაოები.

ახალი პროექტის მიხედვით, ქობულეთის ქუჩების ქსელი ძირითადად არ იცვლება. ემატება მხოლოდ ახალი ქუჩები და პლაჟზე გასასვლელი. არსებული ქუჩებისა და გზების უმეტესობა ტრანსპორტის გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს და საჭიროებს რეკონსტრუქციას პროფილისა და გაბარიტის მხრივ. ტრანსპორტის გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გათვალისწინებულია ახალი მოედნების შექმნა. საკურორტო ზონაში ლენინისა და რუსთაველის ქუჩები გაგრძელდება მდინარე ჩოლოქამდე, რუსთაველის ქუჩა გამოყენებული იქნება სტრანზიტო მოძრაობისათვის, ხოლო ლენინის ქუჩა კურორტშიდა მოძრაობისათვის. კურორტის ცენტრალური ნაწილის ოჩხამურთან დასაკავშირებლად გაყვანილი იქნება ახალი გზა. გათვალისწინებულია დედათა და ბავშვთა სანატორიუმის ახალი ასაწოლიანი შენობის აგება, აგრეთვე ერთი დასასვენებელი სახლისა (200 საწოლით) და ერთი სასტუმრო-პანსიონატისა (ამდენივე საწოლით), ამასთან

ასი საწოლით უნდა გაფართოვდეს დასახევენ-
ბელი სახლი „ფიქვარი“ და ამავე მასშტაბით
— სანატორიუმი „ჭობულეთი“. აშენდება ახა-
ლი ზღვის თბილი აბაზანების შენობა (50 აბა-
ზანით), საკურორტო პოლიკლინიკა ყველა სამ-
კურნალო კაბინეტით (200 ერთეულით) გამტა-
რიანობით, ზამთრის საცურაო აუზი (200 კაცი-
სათვის), 200-ადგილიანი პანსიონატი, დღეათა
და ზეშვთა სანატორიუმთან მოეწყობა სამედი-
ცინო პლაჟი და სხვ. გარდა ამისა, აქ აშენდება
მთელი რიგი კულტურულ-საყოფაცხოვრებო
ნაგებობანი.

ფართო პერსპექტივები ისახება სამთო კლი-
მატური სადგურების გაშენების საქმეშიც. საე-
რთოდ საქართველო ძველთაგანვე ცნობილია
თავისი კურორტებითა და საკურორტო ადგილე-
ბით, რომელთა რაოდენობა ირასს აღემატება.
აქედან აჭარაში 40-ზე მეტი საშუალო და მალ-
ალმთიანი საკურორტო ადგილია აღრიცხული,
რომლებიც თავიანთი კლიმატურ-სამკურნალო
თვისებებით როდი ჩამოუვარდებიან საქართვე-
ლოს ისეთ ფართოდ ცნობილ მაღალმთიან კუ-
რორტებს, როგორიცაა ბახმარო, შოვი, აბას-
თუმანი და სხვები. სამწუხაროდ, აჭარის მთის
კურორტებიდან ჯერჯერობით პოპულარობით
სარგებლობს მხოლოდ ბეშუმე, ნაწილობრივ კი
ციკარაიცი (მთა მტირალა).

ბეშუმე მდებარეობს არსიანის ქედის აღმო-
საელეთ შტოზე, ბათუმიდან 129 კილომეტრზე.
კურორტის სიმაღლე ზღვის დონიდან 1830
მეტრს აღწევს. ბეშუმამდე მიდის საავტომობი-
ლო გზები ბათუმიდან და ახალციხიდან. მთის
პავა, ზომიერი ტემპერატურა, მზის რადიაციისა
და ულტრაიისფერი სხივების სიუხვე, მდიდარი
წიწვანი მცენარეულობა, მშვენიერი სასმელი
წყალი და მინერალური წყაროები ბეშუმს ხდის
აბასთუმანის ტიპის შესანიშნავ კლიმატურ სა-
დგურად. მიუხედავად იმისა, რომ ბეშუმის
კლიმატი და მისი სამკურნალო ჩვენებანი ჯერ
კიდევ საბოლოოდ არ არის შესწავლილი, მო-
სახლეობა მას მაინც ფართოდ ეტანება. 1934
წლიდან ბეშუმში ზაფხულობით სისტემატურად
მუშაობს 300-ადგილიანი პიონერთა ბანაკი.
1947 წელს კი გაიხსნა 50-ადგილიანი სანატო-
რიუმი, რომელიც შემდეგ დასასვენებელ სახ-
ლად გადაიქცა. გარდა ამისა, აქ არის ქალაქ-
ბათუმის ზაფხუთა სახლის სააგარაკო შენობა,
ინდივიდუალურ დამსვენებელთა სახლები, გა-
ყვანილია წყალსადენი, არის ელექტროგანათება.

ზაფხულობით იხსნება საეკატორები, სასადგურ-
ები და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო
ობიექტები. უახლოეს დროში ბეშუმში მოეწყ-
ობა მეტეოროლოგიური სადგური მიკროკლი-
მატის დასამუშავებლად და აშენდება ასადგი-
ლიანი დასასვენებელი სახლი.

წლითწლობით იზრდება კურორტ ციკარაის
პოპულარობა. იგი მდებარეობს ბათუმიდან ოც
კილომეტრზე. ზღვის დონიდან მისი სიმაღლეა
1300 მეტრი. ზღვის გავლენა იქ უფრო ძლიე-
რია, ვიდრე ბახმაროზე და სხვაგან, რადგან ზა-
ვი ზღვიდან პირდაპირ ხაზით იგი სულ რაღაც
10-12 კილომეტრით არის დაშორებული. მისი
კლიმატური პირობები ჯერ კიდევ არ არის სა-
თანადოდ შესწავლილი, მაგრამ შეიძლება დარ-
წმუნებით თქვას, რომ ციკარის უთუოდ კარგი
მომავალი აქვს. ამავამდ იგი ადგილობრივი მნი-
შვნელობის აგარაკია, სადაც ზაფხულობით ის-
ვენებენ ბათუმელი მშრომელები. აქ არის საა-
გარაკო სახლები, საექიმო ამბულატორია, მოე-
წყო წყალგაყვანილობა და ელექტროგანათება,
ზაფხულობით მუშაობს საეკატორი და სხვა კულ-
ტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები. ახლო
მომავალში აქ აშენდება სასტუმრო-პანსიონატი,
აგრეთვე ცალკეულ საწარმო-დაწესებულებათა
სააგარაკო სახლები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ღონისძიე-
ბათა გაფართოვებამ და სოფლის მოსახლეობის
მატერიალურ-კულტურული ღონის ამაღლებამ
შესაძლებლობა შექმნა კოლმეურნეობების, საბ-
ჭოთა მეურნეობებისა და სამომხმარებლო კო-
ოპერაციის ძალებით სოფლად გაიშალოს კულ-
ტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტების
მშენებლობა. კოლმეურნეობათა სახსრებით
შენდება კოლმეურნეობათა შორისი საუბნო სა-
აედამყოფოები, საკოლმეურნეო სამშობიარო
სახლები, სანატორიუმები და ჯანმრთელობის
დაცვის სხვა ობიექტები. მოწინავეთა ეს ინიცია-
ტივა მოიწონა მთავრობამ და; ექვი არ არის,
იგი დიდად შეუწყობს ხელს კურორტმშენე-
ლობის ახალ მძლავრ აღმავლობას, არსებულ
შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენებას.

ზღვისპირა კურორტების შემდგომი გაფარ-
თობა, სამთო კლიმატური სადგურების გაშე-
ნება და შესანიშნავი სამკურნალო მინერალური
წყლები, რომლებიცაც ასე მდიდარია ჩვენი
მხარე, იმის სიმიედო საწინდარია, რომ სულ მა-
ლე აჭარა გადაიქცევა ერთ მილიან მძლავრ
კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კერად.



დიდი ხალხის დიდი მწერალი

ლ. ნ. ტოლსტოის ბარდაცვალების 50 წლისთავის გამო

დღემიწაზე, ალბათ, არ არის ისეთი ქვეყანა, სადაც არ იცნობდნენ ლევ ტოლსტოის და გატაცებით არ კითხულობდნენ მის უცედავ ნაწარმოებებს, ქვემარტი ხელოვნების ნამდვილ შედეგებს, რომლებმაც მტკიცედ დაიკავეს ყველაზე თვალსაჩინო ადგილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. სიტყვის გენიალური ოსტატის უზარმაზარი ტალანტი დღესაც მთლიანად იპყრობს მკითხველს და აიძულებს გაიზიაროს ტოლსტოის გმირთა ლხინი და ჭირი, მთელი არსებით შეიყვაროს ან შეიძულოს ისინი.

ტოლსტოის, როგორც ხელოვანის, ასეთი სიდიადისა და პოპულარობის საფუძველი ის არის, რომ თავის მხატვრულ ნაწარმოებებში მოგვცა რუსული ცხოვრების შეუდარებელი სურათები და, ისე როგორც არავინ, განუმეორებელი მხატვრული ოსტატობითა და სიმართლით გამოთქვა რუსეთის პირველი რევოლუციის მოსამზადებელი პერიოდის მილიონობით რუსი გლეხის იდეები და განწყობილებანი.

ეს პერიოდი იყო მთელი ისტორიული ეპოქა რუსი ხალხის ცხოვრებაში. ვ. ი. ლენინის განსახლებით, იგი მოიცავდა 1861-1904 წლებს და მის ძირითად შინაარსს წარმოადგენდა ძველი, დროშოქმული ბატონყმური საფუძვლების ულმობელი მსხვერველი სოფლად და ახალი, კაპიტალისტური წყობილების დამკვიდრების ძლიერ მტკიცეული პროცესი. „მართალია, — წერდა ვ. ი. ლენინი სტატიის „ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა“, — ტოლსტოის ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო ადრე დაიწყო და უფრო გვიან დამთავრდა, ვიდრე დაიწყო და დამთავრდა ეს პერიოდი, მაგრამ ლ. ტოლსტოი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, საესებოთ ჩამოყალიბდა სწორედ ამ პერიოდში...“ (კრებული

„ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945 წ., გვ. 139).

ამ პერიოდის რუსული სოფელი ძველის გარდასვლისა და ახლის დამკვიდრების გამო წარმოადგენდა მწვავე კლასობრივ შეტაკებათა არენას. „თავისუფალი“ გლეხები სწრაფად ლტოლნიდნენ და, შიმშილით რომ არ დახოცულიყვნენ, ტოვებდნენ სოფელს, ტოვებდნენ მიწებს და ქალაქში, კაპიტალისტურ საწარმოებში მიეშურებოდნენ ლუკმა პურისათვის. თავისთავად ცხადია, რუსულ სოფელში მიმდინარე ასეთმა მძაფრმა სოციალურმა ტრაგედიამ, რომელიც შიმშილსა და დაღუპვას განუზადებდა მილიონობით ადამიანს, თავიდანვე მიიპყრო ტოლსტოის ყურადღება, გაუძლიერა ინტერესი საზოგადოებრივი მოვლენებისადმი და იგი შეუდგა გლეხობის ყოფაცხოვრების სულ მცირე დეტალებამდე შესწავლას, რათა ღრმად და ყოველმხრივ ჩასწვდომოდა მას.

რუსული ცხოვრების მთელმა განვითარებამ ტოლსტოი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ბატონყმობამ დიდი ხანია მოსკამა თავისი დრო, რომ მისი საფუძვლები შეირყა და დილბა. მას გულს ურევდა პატრიარქალური ბარბაროსობის სისაძაგლე. „რუსეთში სისაძაგლეა, სისაძაგლე, სისაძაგლე“, წერდა იგი. მაგრამ ტოლსტოი მართო პატრიარქალურ ბარბაროსობას როდი ებრაძოდა. მას აღაშფოთებდა ის ახალიც, რომელიც ძველის ადგილს იკავებდა. ტოლსტოი მშვენიერად ხედავდა, რომ ხალხისათვის ბედნიერება არც კაპიტალიზმს მოჰქონდა. მას არ სჯეროდა ბურჟუაზიული პროგრესი, რომლის შესახებაც ყველა გაზავარდინზე გაჰკიოდნენ ახალი საზოგადოებრივი წყობილების იდეოლოგები. არ სჯეროდა, რადგან ძნელი იყო შეეჩინა, რომ პროგრესის ფორმალური თავისუფლება, ბურჟუაზიული მეცნიერებისა და

ტექნიკის წინსვლა ხალხის მდგომარეობას ოდნავადაც არ აუმჯობესებდა, რომ მათი მეოხებით მშრომელი ადამიანი სრულიადაც უკეთ არ გრძნობდა თავს.

ერთი სიტყვით, ძველი რომ უარყო, ლევ ტოლსტოი ვერც ახალს შეეგუა, რაკი მასში მხოლოდ უარყოფითს, კიდევ უფრო მეტ ცუდსა და საძველს ხედავდა. და გენიალური მხატვარი შეეცადა ეპოვა რაიმე გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, ეპოვა ცხოვრების სიმართლე, კაპიტალისტურის მიღმა მდებარე რაიმე იდეალი.

სიმატილისა და ჭეშმარიტების ძიებამ ტოლსტოი ბუნებრივად მიიყვანა რუს გლეხთან და სწორედ გლეხურ სიმატილეში დაინახა მან ცხოვრების დიდი სიმატილე, ხოლო მის მისწრაფებებში — კაცობრიობის სასუფოვარი ოცნებების, საუკეთესო იდეალის ხორცშესხმა. ამიერიდან რუსი გლეხი ტოლსტოისათვის იქცა ქვეყნის მხსნელად. ერთადერთი ძალად, რომელსაც შეეძლო საზოგადოება გარდაეჭმნა სრულიად ახალ საფუძველზე, ადამიანთა მშობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

კაპიტალიზმისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის უარყოფითი ტოლსტოი მიუახლოვდა სოციალიზმს. იდეალური საზოგადოება, რომლისკენაც მისიწრაფოდა კაპიტალისტური წყობილების საწინააღმდეგო ალფთოთებული მწერალი, ეს იყო ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავისუფალი და თანასწორუფლებიანი გლეხობის არტელი. ამ არტელის არსი „ანა კარენინას“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის კონსტანტინე ლევინის აზრით, ის არის, რომ მიწა და პრივილეგიები რჩება მემამულეს, ხოლო გლეხს თავისი შრომის საძილურად ექნება გარკვეული წილი მამულის მეურნეობაში. ლევინი ფიქრობს, რომ მეურნეობის ასეთი ორგანიზაცია სასარგებლოა როგორც მემამულესა, ისე გლეხისათვის და გამორიცხავს გარეგან შეპარული მესამე პირის — კაპიტალისტის გამოღიერებას მემამულეთა და გლეხობის ხარჯზე.

რამდენადაც ასეთი არტელი არ გულისხმობს ექსპლოატაციის არსებობას, რა თქმა უნდა, ტოლსტოის მოძღვრებაში შეინიშნება სოციალისტური იდეები, სოციალიზმისაკენ სწრაფვა. მაგრამ ეს სოციალიზმი ფრად თავისებურია, უტოპიურია, იგი იმ კლასის სოციალიზმი კი არ არის, რომელსაც ისტორიამ დააქისრა დიდი მისია — გახდეს კაპიტალიზმის მესაფლავე, არამედ იმ კლასისა, რომელსაც ბურჟუაზია სცლიდა.

ძნელი როდია შეენიშნოთ, რომ ტოლსტოის მსოფლმხედველობა, რომელიც მილიონობით ჩაგრული გლეხის განწყობილებასა და ინტერესებს გამოხატავდა, ძლიერ უახლოვდებოდა წირობრიკულს, რომ ამ ორ მსოფლმხედველო-

ბას შორის იყო შეგნების წერტილები. მაგრამ ტოლსტოი ნაროდნიკებს სცილდებოდა მთელს ძირითად საკითხში — როგორ, რა გზით უნდა აგებულიყო ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავისუფალი იდეალური საზოგადოება, როგორ, რა გზით შეიძლებოდა გლეხობის უფართოეს მასებს თავი დაეღწიათ სოფლის ცხოვრების ძველი, დროშეშედილი საფუძველის მსხვერვის პერიოდის საწინააღმდეგო და უბედურებისაგან. თუ სამოციანი წლების ნაროდნიკები მოითხოვდნენ რევოლუციისა და ხალხს მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ ექსპლოატატორთა და მხაგრელთა ბატონობის დასამხობად, ტოლსტოის არ სწამდა არავითარი რევოლუცია და ილაშქრებდა ყოველგვარი ძალდატანების წინააღმდეგ. ბოროტებას წინააღმდეგობა არ უნდა გავუწყოთ ძალით; ჯადაგება ტოლსტოი, თვითონ უნდა ადამიანს უნდა იზრუნოს ზნეობრივი სრულყოფისათვის, იცხოვროს არა კუქის გატენისათვის, არამედ სულისათვის, ახსოვდეს ღმერთი და უარყოს ყოველგვარი ძალადობა. მხოლოდ ამ გზით დამყარდება ის საყოველთაო ბედნიერება, რომლისკენაც ყველა ადამიანი ისწრაფვის.

ტოლსტოის ეს მოძღვრება, რა თქმა უნდა, მცდარია, კიდევ მეტი, თავისი არსით იგი უადრესად რეაქციონურია, რამდენადაც არ ცნობს პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიულ მისიას და გამორიცხავს მის მონაწილეობას კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში. „ტოლსტოის მოძღვრება, — წერდა ამის თაობაზე ვ. ი. ლენინი, — უსათოდ უტოპიურია და, თავისი შინაარსით, რეაქციონერია ამ სიტყვის უადრესად ზუსტი და ღრმა მნიშვნელობით. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამოდინარეობს არც ის, რომ ეს მოძღვრება არ იყოს სოციალისტური, არც ის, რომ მასში არ იყოს კრიტიკული ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ გვიანდელ მასალა მოგვეცნოთ მოწინავე კლასების გასანათლებლად“ (იქვე, გვ. 142).

ტოლსტოის მოძღვრების ამ გენიალური ლენინური შეფასებიდან აშკარად ჩანს დიდი რუსი მწერლის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარე. ტოლსტოის ძალა ის არის, რომ იგი ულმობლად აკრიტიკებდა კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, ამხილებდა ხალხის მჩაგრელ მემამულე-კაპიტალისტთა სახელმწიფოს, ამთარახებდა ოფიციალურ ეკლესიას, ნიღაბს ზღიდა ბურჟუაზიული საზოგადოების სიყალბესა და ფარისევლობას, ერთი სიტყვით, გამოხატავდა მრავალმილიონიანი გლეხობის „მოწოდებას სიძულვილს“. ტოლსტოის სისუსტე კი ის არის, რომ არ ესმოდა ხალხის საძულველი რეჟიმის რევოლუციური დამხობის აუცილებლობა და ჯადავებდა ახალ, განწყობილ რელიგიას, „ბოროტებისადმი წინააღმდეგობას“ ძალით, ვერ

აფასებდა რევოლუციური პრაქტიკის უდიდეს როლს ხალხის ხელახალ აღზრდაში და საზოგადოების თვითმართვითი წევრისაგან მოელოდა „ზნობრივ თვითსრულყოფას“, საკნებით ამათურად ეკიდებოდა მსოფლიო სოციალისტური პროლეტარატის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

მაგრამ ღრმა შეცდომა იქნებოდა, ტოლსტოის შეხედულებებში არსებული ეს წინააღმდეგობანი მართკმისი პირადი აზრის წინააღმდეგობებზე და მიგვეჩნია. ტოლსტოის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარე არის რუსეთის პირველი რევოლუციის მოსამზადებელი პერიოდის გლეხური მოძრაობის ძლიერი და სუსტი მხარე: იმდროინდელი რუსი გლეხობა მძაფრად განიცდიდა ბატონყმური ბურჟუაზიის მსხვერპლთა გამოწვეულ უბედურებას და აღსავსე იყო პროტესტით აუტანელი ექსპლოატაციის გამო, მაგრამ ჯერ კიდევ არ ესმოდა შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობა, არ იცოდა რომელ საზოგადოებრივ ძალეებთან კავშირში შეეძლო დამარცხებინა თავისი საძულველი მტრები. ლევ ტოლსტოიმ შეისიხლხორცა ამ გლეხობის იდეები და განწყობილება და გასაოცარი მხატვრული ძალით, დიდი სიმართლით გადმოგვცა ისინი. აი რატომ უწოდებდა ვ. ი. ლენინი ლევ ტოლსტოის რუსეთის რევოლუციის სარკეს, აი რატომ ამბობდა იგი, რომ „მისი ბავშვებით ლაპარაკობდა რუსი ხალხის მთელი ის მრავალ-მილიონიანი მასა, რომელსაც უკვე სძახს თანა-მედროვე ცხოვრების ბატონ-პატრონი, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ ჯერ მისულს შეგნებულ, თანამედევრულ, ბოლომდე მიყვანილ შეუჩინებელ ბრძოლამდე მათს წინააღმდეგ“ (იქვე, გვ. 132).

ამრიგად, გლეხობასთან დაახლოებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ლევ ტოლსტოის მსოფლმხედველობაზე და სწორედ ამ გავლენით აიხსნება ყველა ის წინააღმდეგობა, რომლებიც ასე ამკარაა დიდი რუსი მწერლის შეხედულებებსა, მოძღვრებასა და მხატვრულ ნაწარმოებებში. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, ლევ ტოლსტოიმ, როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, შეძლო „ისეთ მხატვრულ ძლიერებაზე ამოღება, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში“, ხოლო რევოლუციის მომზადების ეტაპი „ტოლსტოის გენიალური გაშუქების წყალობით, წარმოგვიდგა როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში“ (იქვე, გვ. 123).

ტოლსტოის მიაჩნდა, რომ ხელოვნება უსაქმურთა გასართობი კი არა, მსახერს აღზრდის მძლავრი იარაღია. „ხელოვნება, — წერდა იგი, — მხატვრის განცდებით ფართო საზოგადოებრიობის გამსჭვალვის საშუალებაა“. ასე

განსაზღვრავდა რა ხელოვნების როლს და დანიშნულებას, ტოლსტოი ისწრაფოდა, შეეხსენებინა და სისადავისაყენ, სურდამდებელი წარმოებები თავისუფლად გაეგოთ უბრალო აღმაშენებელ, რათა განმსჭვალა ისინი საკუთარი განცდებით. და მან მიადწია ისეთ სისადავეს, რომელიც ყოველი ნამდვილი ხელოვნის ოცნება და იდეალია. არავის არ შეეძლო ისე უბრალოდ წერა, როგორც ტოლსტოის, და არავის არ შეეძლო ისეთი ძლიერი შემოქმედება მოეხდინა მილიონობით მკითხველზე, როგორც ტოლსტოის. მან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოები, ჭეშმარიტად გენიალური ყოველთვის უარესად სადა და უბრალოა.

სისადავესთან ერთად განსაკვირვებელია ტოლსტოის ნაწარმოებთა იდეური სიღრმე და მიზანდასახულობა. მას არა აქვს გასართობი, თავშესაქცევი მოთხოვნები და რომანები. თავის ნაწარმოებებში იგი ყოველთვის აყენებს რომელიმე მწვავე, აქტუალურ პრობლემას, ყოველდღიურობასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხებს და დაინებით ეძებს მათ სწორ გადაწყვეტას. საგულისხმოა, რომ ჭეშმარიტების ძიებისას თავისი უზარმაზარი მხატვრული ტალანტით მწერალი გვამოულებს ჩვენი მოთხვევლებიც, მიყვებით მისი აზრებისა თუ განცდების მსგეულობას, მასთან ერთად ვიხაროთ და ვიტანჯოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტოლსტოი სრულყოფილად ფლობდა მკითხველის დაპყრობის ოსტატობას. ყველა, ვისაც კი ხელში აუღია გენიალური რუსი მწერლის მოთხრობა თუ რომანი, დაგვეთანხმება, რომ შეუძლებელია წიგნის თაროზე მანამ დააბრუნო იგი, ვიდრე ბოლომდე არ ჩაიკითხავ მას. იგი ასე გვიტაცებს არა რაიმე თვებრუდამხვევი სიუჟეტური პერსპექტივითა და გამომწონლობით, არამედ ცხოვრების, ადამიანის ფსიქოლოგიის, მისი ხასიათის გასაოცარი ცოდნით, გულწრფელობითა და სიმართლით.

ტალანტი — ეს სიმართლეა, ამბობდა გენიალური რუსი მწერალი და როგორც საერთოდ ყველაფერში, ისე ხელოვნებაშიც ყველაზე მეტად ძაგდა სიყალბე. იგი მუდამ გულწრფელი და მართალია, არასოდეს არ სცილდება ცოცხალ სინამდვილეს და ცხოვრების მოვლენებს გადმოგვცემს დაუმახინჯებლად და შეუღამაზებლად, ზუსტად ისე, როგორც ხდება მათ. დიდი ლენინი თავის ერთ-ერთ სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ტოლსტოის ახასიათებს „მეტად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოღევა“ (იქვე, გვ. 119). მაგრამ იმისათვის, რომ ფხიზელი რეალისტი იყო და შეგვეძლოს ყველა და ყოველგვარი ნიღბის ჩამოღევა, აუცილებელია საფუძვლიანად, ყოველმხრივ იცნობდე ცხოვ-

რებას, ადამიანთა ფსიქოლოგიას. და ტოლსტოი მუდამ ცდილობდა ღრმად, ფესვებამდე ჩასწვდომოდა ცხოვრებას. მისთვის უცხოა მოვლენის ზედაპირზე ცოცვა. ამის გამო ტოლსტოის ყოველი ნაწარმოები ნამდვილი „ცხოვრების სახელმძღვანელოა“, უდიდესი, არაადამიანური შრომის, მახვილი და ხანგრძლივი დაკვირვების, საზოგადოებრივ მოვლენათა ბეჭითი შესწავლის ნაყოფი და შედეგია.

ტოლსტოიმ განსაკუთრებით გაითქვა სახელი როგორც ადამიანის ფსიქოლოგიის შეუდარებელმა მკოდნემ, ფაქტში ფსიქოლოგიური ანალიზის დიდოსტატმა. ყველა თავის ნაწარმოებში იგი მთავარ ყურადღებას უთმობს მოქმედი პირის შინაგანი სამყაროს ჩვენებას. ანუ დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატის ნ. გ. ჩერნიშევსკის სიტყვით რომ ვთქვათ, ადამიანის „შინაგანი მონოლოგის გამოხატვას“. ტოლსტოი საქმის ცოდნით და ძლიერ დაწვრილებით გვიჩვენებს, თუ როგორ იზრდება ადამიანი სულიერად, როგორ იცვლება მისი ფსიქიკური განცდები, მისი შინაგანი სამყარო. ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა მისთვის უცვლელი რამ კი არა არის, არამედ განუწყვეტლივ ცვალებადი და წარმავალი. კიდევ მეტი, ტოლსტოის უპირველეს ყოვლისა სწორედ ეს ცვლილება აინტერესებს და მისი გმირი ხშირად განიცდის სულიერი გარდაქმნის რთულ პროცესს, ხდება სულ სხვა, ვიდრე ნაწარმოების დასაწყისში იყო. მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ეპოპეის „ომი და მშვიდობა“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი ანდრეი ბოლოდონოვი, მაგალითად, გადის ზვას ნაპოლეონისებური სულიერი მდგომარეობიდან კარაბაევისებურ სულიერ მდგომარეობამდე და არსებითად სულ სხვა ადამიანი ხდება. ჯერ იგი აშკარა ინდივიდუალისტი, პატივმოყვარე იყო და სურდა ეცხოვრა მხოლოდ თავისი თავისათვის, მერე კი, დიდი ტანჯვისა და ძიების შემდეგ, უკვე სურს ახლებურად, კარაბაევისებურად იცხოვროს. აი რატომ ამბობდა ჩერნიშევსკი, რომ ტოლსტოის აინტერესებს „ფსიქიკურ განცდათა დიალექტიკა“.

ყველაფერი ეს ტოლსტოის ხდის უდიდეს შემოქმედად მსოფლიოში, რომლის ბადალი მწელად თუ სადმე მოიპოვება. ცნობილია, რომ ერთ-ერთი საუბრისას დიდმა ლენინმა ჰკითხა გერკის, ვინ შეიძლება დაეყენონ ტოლსტოის გერკით ვერობაშიო და თვითონვე უპასუხა: „არავინ“. ასეთი მაღალი შეფასება ლევ ტოლსტოიმ საკვებით დაიმსახურა. იგი ხომ ავტორია ისეთი უკუდავი ნაწარმოებებისა, როგორცაა უდიდესი სახალხო ეპოპეა „ომი და მშვიდობა“, რომელსაც ძალიან ხშირად რუსულ „ილიადსა“ და „ოდისესა“ უწოდებენ, ყალბი ბურჟუაზიული მორალის, კაპიტალისტური

სახელმწიფოსა და სახაზინო ეკლესიის ფარსევლობისა და გამყიდველობის მამხილებელი მთელ მსოფლიოში ცნობილი რომანები „ანა კარენინა“ და „ანდლეოვა“, აგრეთვე „სევასტოპოლის მოთხრობები“, „კაზაკები“, „ჰაჯი მურატი“ და ბევრი სხვა, რომლებმაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს! ტყუილად როდეს ამბობენ, რომ ტოლსტოის შემოქმედება წარმოადგენს კრიტიკული რეალიზმის მწვერვალს, რომ ტოლსტოი თავისი დროის პირველი მწერალიაო მსოფლიოში.

ხანი გადის, მაგრამ ტოლსტოის შემოქმედებას ელვარება კი არ აკლდება, პირიქით, კიდევ უფრო მეტი ძალით ბრწყინავს. იგი ძვირფასია მთელი ცივილიზებული, მოწინავე და პროგრესული კაცობრიობისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის. ტოლსტოი ჩვენი ხალხის სისხლი და ხორცია, ხალხისა, რომელმაც პირველად მსოფლიო ისტორიაში დაამსხვრია მონობის ბოკილები და ააშენა სოციალისტური საზოგადოება, სადაც არ არსებობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და ადამიანები ცხოვრობენ მეგობრულად, მშურად, ურთიერთთანხმობით, სადაც ყველა ადამიანი თანასწორი, თავისუფალი და ბედნიერია.

ადამიანის ყოველგვარი ჩაგვრის, ყოველგვარი უსამართლობის შეუვრცელებელი მტერი, ადამიანთა მშობისა და მეგობრობის დიდი მომღერალი ლევ ტოლსტოი ჩვენი მოკავშირე და თანამესაგრა მაღალი საკობრობი იდეალები-სათვის ბრძოლაში. ბურჟუაზიული წყობილების მამხილებელი მისი მძლავრი ხმა დღესაც კიდევ კიდევმდე გაისმის მთელ მსოფლიოში და ხელს უწყობს მასების კლასობრივ განათლებას. საკამრისია ითქვას, რომ ტოლსტოი ჩვენთან არის, ჩვენთან ერთად იბრძვის ომის წინააღმდეგ, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის. ცნობილია, რომ ტოლსტოი მკაცრად ილაშქრებდა ომის წინააღმდეგ და იგი მაინც და კაცობრიობის უდიდეს უმედურებად, უდიდეს ბოროტებად. თავის საუკეთესო ნაწარმოებებში („ომი და მშვიდობა“, „სევასტოპოლის მოთხრობები“ და სხვ.) ლევ ტოლსტოიმ ზიზღით ამხილა ომის გამჩაღებლები, როგორც ისეთი ადამიანები, რომლებსაც ამოძრავებთ არა რაიმე კეთილშობილური საკაცობრიო იდეალები, არამედ ევრო-ეგოისტური, ინდივიდუალისტურ-კარიერისტული მისწრაფებები.

მკაცრად ილაშქრებდა ლევ ტოლსტოი აგრეთვე კოლონიალიზმის წინააღმდეგ და იგი სამართლიანად მაინცდა კაცობრიობის სირცხვილად. მან აღმოფხვინა დავამ ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიური ომები აფრიკასა და ფილიპინის კუნძულებზე,



ინდოეთსა და ჩინეთში. „მსოფლიოს ზართავს უსულუგულო ჩარჩობა“, წერდა ტოლსტოი ერთ-ერთ სტატიასა და ხაზგასმით აღნიშნავდა „ამერიკის მთავრობის დაპყრობითს მანისა“.

განსაკუთრებული ძალით ამხილა დიდმა რუსმა მწერალმა ინგლისურ-ამერიკული და საერთოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის სიყალბე. ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები, წერდა ტოლსტოი, მილიონები უჯდებოთ აფერისტებს, რომლებიც სასურველი კანდიდატის არჩევის შემდეგ ასმაგად ინაზღაურებენ გაწეულ ხარჯებსო. ექსპლუატატორთა მორჩილ იარაღად მიაჩნდა ტოლსტოის ბურჟუაზიული პარლამენტებიც. ყველამ იცის, — ამბობდა იგი, — თუ როგორ აღგენენ პარლამენტს და რა მცირედ გამოხატავს იგი ხალხის ნებას“.

ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ ასეთი გაბედული ბრძოლით, კეთილშობილური ჰუმანისტური იდეებით, ადამიანის ნამდვილი ბედნიერებისათვის ზრუნვით ლევ ტოლსტოიმ მსოფლიოს ყველა ხალხის მხურვალე სიყვარული დაიმსახურა. სხვებთან ერთად იგი უყვარდა და უყვარს ქართველ ხალხსაც, რომელსაც, აქვე უნდა ითქვას, ლევ ტოლსტოი გაბედულად გამოეყომა 1905 წლის რევოლუციის დროს. ამ სიყვარულის ერთ-ერთი მკაფიო დემონსტრაცია იყო ქართული პროგრესული პრესის გამოცხადებული გენიალური რუსი მწერლის გარდაცვალებაზე 1910 წელს. ტოლსტოის სსიუნას, კერძოდ, პატარა, მაგრამ მეტად მგრძნობიარე სტატია მიუძღვნა საქართველოს ბულბულმა აკაკი წერეთელმა: აღნიშნა რა, რომ „გენიოსი ხელოვანის“ ტოლსტოის გარდაცვალებამ „დიდად შეაძრწუნა ყველა ადამიანი“, აკაკი განსაკუთრებით შეჩერდა მისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის რევოლუციურ მნიშვნელობაზე. „ძველნი რაც მალე დაემოხიან, ისა სჯობს. — წერდა დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. — ამას, რასაკვირველია, ბევრი გრძნობს, მაგრამ ისე შეგნებულად და გამბედავად მეგრძნობს, როგორც ტოლსტოი იყო მთელს მის სიცოცხლეში, ძვირად ვხედავთ. ის ჰქადაგებდა: „ერთობას, თანასწორობას და სიყვარულს“. წინააღმდეგი იყო ძლიერისაგან სუსტის დანაგვრისა, დიდისაგან პატარის ჩაყლაპვისა... აი ამით მიიზიდა მან ყველა დაჩაგრულთა გულს და გაიჩინა მიმდევრები არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპასა და ამერიკაშიაც, როგორც მოციქულმა და მხანარებელმა მომავლისამ“.

და მართლაც, დიდი და განუზომელი ტოლსტოის გავლენა მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის განვითარებაზე, მისი რელიგიურ-ფილოსოფიური იდეებით ბევრად იყო დავალებული ცნობილი ინდოელი პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ბელადი მ. განდი. მისი მხატვრული პრინციპების გავლენა თვალსაჩინოა ბევრი უცხოელი მწერლის, მათ შორის ემილ ზოლას, თომას და ჰენრი მენდის და სხვ., აგრეთვე გამოჩენილი საბჭოთა მწერლების მ. შოლოხოვის, ა. ფადეევის, კ. ფედინისა და სხვ. შემოქმედებაში. ცნობილი ფრანგი მწერლები გუსტავ ფლობერი, რომენ როლანი, თანამედროვე ამერიკელი ბელეტრისტი ერნესტ ჰემინგუეი და სხვები ფრად მალად შეფიქრებამ აძლევდნენ ტოლსტოის როგორც ცალკეულ ნაწარმოებებს, ისე მთელ მის შემოქმედებას. ტოლსტოი პროზის შექსპირიაო, ამბობდა გ. ფლობერი. „ეკრთასა დიდი ხანი არ სძენია ასეთი ძალუმი ხმა“. წერდა რომენ, როლანი, ხოლო ე. ჰემინგუეიმ თავის ერთ-ერთ მოთხრობაში აღფრთოვანებული სტრიქონები მიუძღვნა და ძლიერ გულთბილად მოიხსენია ტოლსტოის „სტატუმბოლის მოთხრობები“ და „კანაკები“.

ლევ ტოლსტოი, მაშასადამე, — ეს უზარმაზარი მეგვიდრეობაა, რომელიც სიყვარულით მიიღო და ჩაიბარა პროლეტარიატმა, საბჭოთა ხალხმა, როგორც მისმა ერთადერთმა ნამდვილმა მეგვიდრემ. მართალია, იმ დროს, როცა ტოლსტოი გარდაიცვალა, მას, როგორც მხატვარს, რუსეთშიც კი უმნიშვნელო უპირესობა იცნობდა, მაგრამ შორს აღარ იყო ის დრო, როდესაც გენიალური მწერლის ნაწარმოებები ყველას კუთვნილებად იქცეოდნენ, რამდენადაც ისინი წარსულს კი არა, მომავალს ეკუთვნოდნენ. ტოლსტოიმ შექმნა ისეთი მხატვრული თხზულებანი, წერდა თავის ერთ-ერთ სტატიაში დიდი ლენინი, „რომელთაც მუდამ დადასტოებენ და იყიბნენ მასები. როდესაც ისინი შეიქმნიან ცხოვრების ადამიანურ პირობებს“ (იქვე, გვ. 123). ასეთი პირობები მათ უკვე კარგა ხანია შეიქმნეს და ლევ ტოლსტოის შემოქმედება ნამდვილად გახდა ხალხის კუთვნილება. მუდამ და ყოველთვის იგი უაღრესად ძვირფასი იყო და იქნება ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნისმის მშენებლებისათვის.

6. ღუმბაძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.



დიდი ქართველი კეღამოგი

იაკობ გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავის გამო

იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილი ცნობილია, როგორც ქართული პედაგოგიური აზროვნების კლასიკოსი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე. ი. გოგებაშვილმა მთელი თავისი ცოდნა, ენერგია და სიცოცხლე ქართველი ხალხის უანგარო სამსახურს მიუძღვნა და დამსახურებულად დაიმკიდრა მშობლიური ხალხის „უკეთესი მერმისისათვის“ თავდადებული მე-ბრძოლის უკუდავი სახელი.

იაკობ გოგებაშვილმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ სკოლის და ქართველ ახალგაზრდობას. მან შეადგინა სახელმძღვანელოები „დედა ენა“ (პირველი და მეორე ნაწილი) და „ბუნების კარი“, რომლებზეც იზრდებოდნენ ქართველი ბავშვები ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. მანვე შეადგინა რუსული ენის სახელმძღვანელო „რუსსკოე სლოვო“ (პირველი და მეორე ნაწილი). ამ სახელმძღვანელოს სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს და იგი ცნობილი იყო არარუს მოსწავლე-თათვის ყველაზე უკეთეს სახელმძღვანელოდ მთელ რუსეთის იმპერიაში.

იაკობ გოგებაშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე როგორც საბავშვო მწერალს. მან ქართული ეროვნული მწერლობის საგანძური გაამდიდრა მორალურ-ფსიქოლოგიური შინაარსის საყმაწვილო მოთხრობებით „იავნანამ რა ჰქმნა?“, „თავდადებული ქართველი“, „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, „ბოროტისათვის სიკეთე“, „სიზარმაცეს მათხოვრობა მოსდეც“ და მრავალი სხვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფრიალ მნიშვნელოვანი წვლილი, რომელიც იაკობ გოგება-

შვილმა შეიტანა აჭარის მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში. კერძოდ, მან უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ 1881 წელს ბათუმში პირველი ქართული სკოლის გახსნაში. ამ სკოლის, მისი აზრით, უნდა ეთავა ქართული წერა-კითხვისა და ელემენტარული ცოდნის გავრცელება მთელ აჭარაში. ამის შესახებ 1892 წელს იგი წერდა: „ერთი უპირველესი საქმე, რომელსაც წერა-კითხვის საზოგადოება შეუდგა ამ ათის წლის წინათ, იყო სახალხო სკოლის დაარსება ბათუმში. განზრახვა, რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობდა იმაში, რომ ახლად შემოერთებული მაჰმადიან ქართველთა შვილები მიეზიდნა, პირველდაწყებითი განათლება მიეცა მათთვის, გაეშარათნა ქართულ წერა-კითხვაში, მათის შუამავლობით შემდგომი გაეგრძელებინა აჭარა-ქობულეთში. ქართული წიგნის ცოდნა და ამ გზით გაენახლებინა კავშირი დიდელ მშათა შორის, რომელნიც უღმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულ საუკუნეებში ათასის წლის მძვრის ისტორიულის ცხოვრებისა და ერთად მოქმედების შემდეგ“ (რჩ. ნაწ., ტ. 2, 1940 წ., გვ. 267).

ი. გოგებაშვილი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას არაფერი დაუზოგავს, რათა ბათუმის სკოლას დაეისრებელი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა პირნათლად შეესრულებინა. მიუხედავად იმისა, რომ ფულთი ღარიბი იყო, საზოგადოება სახსრებს არ ზოგავდა ბათუმის სკოლისათვის, სკოლის ბინის ქირას იხდიდა იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იქნებოდა სხვა აღვლილს „მთელი სამაგალითი“ სკოლის შესანახა-

გად, ამასთან მასწავლებლებსაც გაცილებით მეტ ხელფასს აძლევდა. ვიდრე სხვა სკოლების პედაგოგებს. სკოლა უზრუნველყოფილი იყო სასწავლო ნივთებით და ყველა საჭირო მოწყობილობით. ამ ფულთი საზოგადოება „მთელს ხუთს და ექვსს სკოლას აწარმოებდა და გაუმდიდებოდა“, — აღნიშნავს ი. გოგებაშვილი.

ამავე დროს ი. გოგებაშვილი ძლიერ წუხდა, რომ მაშადათან ქართველთა შვილები საკმაო რაოდენობით არ იყვნენ სკოლაში. ამას იგი შემდეგი გარემოებით ხსნიდა: „ბათუმი შეუსაბამო ადგილი აღმოჩნდა მაშადათან ქართველთა შორის განათლების გავრცელებისათვის. თითონ ბათუმში ძალიან მცირედ ცხოვრობენ როგორც ბებები, ისე დაბალი წოდების მაშადათნი ქართველები, ხოლო სოფლებიდან ჩამოყვანა შვილებისა ძლიერ უძნელდებოდათ“ (იქვე, გვ. 268).

ეს დაბრკოლება რომ გადაეღება, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას განუზრახავს ახალი სკოლა გაეხსნა ქობულეთში. ამ იდეას დადებითად გამოეხმაურა დიდი ქართველი პედაგოგი. „ამ კეთილი განზრახვის განხორციელება, — წერს ი. გოგებაშვილი, — ახლა თითონ ქობულეთლებზე არის დამოკიდებული. უმთავრეს ხარჯს — ჯამაგირს მასწავლებლისას, სკოლის ავეჯეულობის გაკეთებასა და წიგნების გზავნას სკოლაში, ყოველ შემთხვევაში, თითონ წერა-კითხვის საზოგადოება იკისრებს...“ (იქვე).

იაკობ გოგებაშვილი ამასაც არ სჩერდებოდა და მოითხოვდა ქართული სკოლის გახსნას აპარის სხვა ადგილებშიც. იგი წერდა: „ქობულეთში სკოლის დაარსება იქნება პირველი ნაბიჯი წერა-კითხვის საზოგადოების მოქმედების მაშადათნი საქართველოში. ამას უნდა მოჰყვეს მეორე ნაბიჯი — გამართვა სკოლისა აპარაში, მაგალითად, ქედაში, მეორე ნაბიჯს უნდა მოჰყვეს შემდეგი ნაბიჯები, რათა საზოგადოება მიეწიოს თავის წადილსა — განათლების მოფენას სამხრეთ საქართველოში და განახლებას მშურის კავშირისას ჩვენსა და აპარელ-ქობულეთელთა შორის ეროვნულს ნიადაგზე“ (იქვე, გვ. 270).

იაკობ გოგებაშვილი ხშირად ჩამოდიოდა აპარაში, კერძოდ ბათუმის ქართული სკოლის მუშაობის შესამოწმებლად და გასულმოგონებლად. ასე, მაგალითად, 1886 წლის ნოემბერში მას შესუსწავლია ბათუმის სკოლის საქმიანობა და უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულა იმით, თუ „რამდენად ითვისებდნენ ქართულს წერა-კითხვას და საზოგადო სწავლას მუსულმანი ქართველების შვილები“. მუშაობის გაცნობის შედეგად ი. გოგებაშვილს განუცხადებია: „საზოგადოდ, ბათუმის სკოლა მიუცილებლად სასარგებლო დაწესებულებაა“ (საქ. ცსსა, ფონდ 481, ს. 99, ფ. 31, 37).

აღსანიშნავია ისიც, რომ ი. გოგებაშვილი ბათუმის სკოლის შესამოწმებლად მუშაობისას თან დაკავშირებულ ხარჯებს იშვითად იღებდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან. მაგალითად, ერთ-ერთ შემოწმებასთან დაკავშირებით იგი წერდა: „თუმცა მე ამ რევიზიის დროს ფული ბლომად დამეხარჯა, მაგრამ გადაგანა მე ძლიერ გაპირებული არა ვარ და საზოგადოების კასა ძლიერ ნაყულად არ იქნა, ამის გამო გამგეობას მე საგზაოს არ ვთხოვ“ (იქვე).

საყურადღებოა ისიც, რომ როცა დასმულა საკითხი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიღარიბის გამო ბათუმის სკოლა დაეხურათ, გოგებაშვილს სკოლისათვის 200 მანეთი შეუწირავს (გაზეთი „ეკალი“ № 1, გვ. 21, 1902 წ.) ამას გარდა, იგი ეძებდა სხვა საშუალებებსაც, რათა ბათუმის სკოლას არსებობა არ შეეწყვიტა. მაგალითად, 1887 წლის 26 მაისს ი. გოგებაშვილმა მოხსენებით მიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ბათუმის სკოლის შესახებ. მოხსენებაში ნათქვამი იყო: რაკი საზოგადოება ღარიბია, საჭიროა მას ტვირთი შევუმსუბუქოთ, ხოლო „საუფრთხო საშუალებად ამისათვის უნდა ჩაითვალოს დაარსება ადგილობრივის კომიტეტისა, რომელიც გამართავს ლიტარეია-ალეგრას, კონცერტებსა, სპექტაკლებსა და ეცდებოდეს, რომ რაც შეიძლება ბევრი წევრი უმოვნის საზოგადოებას ადგილობრივთა ქართველთა შორის... მეორე საგანი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, სახლის აშენება“ (საქ. ცსსა, ფონდი 481, ს. 129, ფ. 15). სკოლისათვის სახლის აშენებას ი. გოგებაშვილი მიიღო მოთხოვნა, რომ ამ შემთხვევაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება განთავისუფლდებოდა დიდი ბინის ქირის გადასახდისაგან.

ბათუმის სკოლის ერთ-ერთი შემოწმების შემდეგ მასწავლებელთა მიერ გამართულ სადილს ათიოდე ყმაწვილიც დასწრებიდა. ი. გოგებაშვილს მათთვის შემდეგი სიტყვით მიუმართავს: „ეცადეთ ყველგან და მარადის ჩვენს ხალხს შეუქმნათ ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები. თუ გასურთ, რომ ამ მიზნს პირნათლად მიადგეთ, ეცადეთ თქვენს რიგებში არც ერთი მუშა არ დარჩეს, რომ წერა-კითხვა არ შეისწავლოს.“

შემჩნეულია წერა-კითხვის უციოდინარის მიერ გამომუშავებული პროექტია რაოდენობითაც და ხარისხობრივად გაცილებით ნაკლებად, ვიდრე წერა-კითხვის მცოდნეს მიერ გამომუშავებული“... (იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული, 1940 წ., გვ. 329).

იაკობ გოგებაშვილი დაუცხრომლად ზრუნავდა, რათა ბათუმის სკოლა გადაექციათ „პა-

ტარა სამასწავლებლო სემინარიად აჭარა-ქობულეთისათვის“. ამის საჭიროებას იგი შემდეგნაირად ასაბუთებდა: გამაჰმადიანებულ ქართველებს ერიდებოდა სკოლების დაარსებისა, რადგან ვერ ენდობიან უცხო მასწავლებლებს, ხოლო თავის შეილთა შორის არ ჰყავთ ამ საქმისათვის მომზადებული პირები. აჭარაში რომ გაჩენილიყვნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან ისეთები, რომლებსაც შეეძლებოდათ ქართული წერა-კითხვისა და მაჰმადის სჯულის სწავლება, ამ განზრახვით დააარსებდნენ უბრალო სკოლებს და დასჯერდებოდნენ მცირეოდენ ხელფასს, მაშინ გამაჰმადიანებული ქართველები დიდი ნდობით და სიამოვნებით მიიბარებდნენ მათ შეილებს. საქმე იმაშია, — ამბობდა ი. გოგებაშვილი, — თუ როგორ მოეუშადათ გამაჰმადიანებულ ქართველებს შეილები ისე, რომ რიგიანი წერა-კითხვის სწავლებაც შეეძლოთ, მაჰმადის სჯულის გადაცემაც და ცოტა ჯამაგირსაც დასჯერდნენ? ეს შეგვიძლია გავაკეთოთ ბათუმის სკოლის მეშვეობითო. კერძოდ, იგი მოითხოვდა, რომ ბათუმის მაზრის ყოველი მოზრდილი სოფლიდან მოეზიდათ მშობლების ხარჯით ბათუმის სკოლაში ორ-ორი — სამ-სამი ბავშვი, ესწავლებინათ მათთვის ოთხი წლის განმავლობაში და კურსის დამთავრების შემდეგ გაეგზავნათ თავიანთ სოფლებში. ისინი უბრალო გლეხობას ამჯობინებდნენ მასწავლებლობას და შეუდგებოდნენ სკოლების დაარსებას, რაშიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც

აღმოუჩენდა ცოტაოდენ დახმარებას (საქ. ცსკა, ფონდი 481, ს. 208, ფ. 25, 26).

ასე სისხლწორცეულად იყო დაინტერესებული იაკობ გოგებაშვილი აჭარაში სკოლების ფართო ქსელის გაშლით და ქართული წერა-კითხვის ცოდნის გავრცელებით.

იაკობ გოგებაშვილი კარგად იცნობდა აჭარას, მის ბუნებას, ადგილმდებარეობას, ხალხის საქმიანობას, განათლების მდგომარეობას, აჭარის გვედრთა თვისებებს. ასე, მაგალითად, ახასიათებდა რა აჭარელს, იგი წერდა: „აჭარელი სწავლაში ნიჭიერია, მკვირცხლი, თავაზიანი, სტუმრის იშვიათი მიმღები, თოფ-იარაღის დიდი მოყვარული“ („დღეა ენა“, მეორე ნაწილი, 1916 წ., გვ. 233). ბათუმის შესახებ ი. გოგებაშვილი წერდა: „წინად ბათუმის არე-მარე რკინისგზის გაყვანამდე, უდაბურ ადგილს და ხოხობით სავსე უღრან ტყეს წარმოადგენდა. დღეს კი ეს არე-მარე საუცხოოვ ბაღებით არის მოშენებული და სააგარაკო ადგილად არის გადაქცეული“ (იქვე).

აი ესოდენ დიდი ღვაწლისა და დამსახურებისათვის შეიყვარა ქართველმა ხალხმა, მათ შორის აჭარის მშრომელებმაც გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და ამას წინათ საკადრისი ზეიმით აღნიშნა ი. გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავი.

ბა. ბაბილოძე,

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



ეთერ ღვინო

„როცა ასეთი სიყვარული“...


ცნობილი ჩეხი დრამატურგის პ. კოპოლტის პიესა „როცა ასეთი სიყვარულია“... საბჭოთა კავშირში დიდი პოპულარობით სარგებლობს. იგი განახორციელა ჩვენი ქვეყნის ბევრმა თეატრმა და თვითმომქმედმა კოლექტივებმაც კი. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დადგმულმა სპექტაკლმა ხომ ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა, ხოლო ლიდა მატისოვას როლის შემსრულებელი სტუდენტი საკვინა კინოფილმშიც გადაიღეს („მანდილოსანი ძაღლით“). ჩვენს რესპუბლიკაში იგი ჯერ წარმატებით განასახიერა რუსთველის სახელობის თეატრმა, ხოლო მერე ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრმაც.

რით აიხსნება კოპოლტის პიესის ასეთი ფარდითი პოპულარობა? — პიესაში აღძრული ყველა ქვეყნის ხალხისათვის ერთნაირად მტკივნეული პრობლემით და მისი ახლებური ფორმით. ერთი შეხედვით, საკითხი, რომელსაც ეს პიესა შეეხება, არათუ ახალი, საკმაოდ ძველია. განა ერთი ან ორი პიესა წაგვიცოცხლეს და გვინახავს, სადაც სიყვარულისა და ოჯახის საკითხი ყოფილა ყურადღების ცენტრში? მაგრამ კოპოლტის პიესის ერთი საინტერესო მხარე ის არის, რომ ეს ძველი და მუდამ ახალი საკითხი დრამატურგმა ახლებურად დააყენა და გამოუნახა მას ფრიალ ორიგინალური სცენური ფორმა.

ავტორმა თავის პიესაში მოგვითხრო საბედისწერო შემთხვევა, რომელშიც ერთი შეხედვით დამნაშავე არავინაა. ახალგაზრდა სტუდენტ გოგონას ლიდა მატისოვას უყვარდა ყოველმხრივ „დადებითი პერსონა“ — საოჯახო სამართლის კათედრის ასისტენტი პეტრი პეტ-

რუსი. ისინი შემთხვევით დაშორდნენ ერთმანეთს და კვლავ შეხვდნენ იმ დროს, როდესაც ვაჟი ცოლიანი იყო, ხოლო ქალიშვილი მეორედღეს კონსტრუქტორ მილან სტიბორს უნდა გაჰყოლოდა. ქალიშვილი აჰყვა თავის დიდ და ნამდვილ სიყვარულს, ზურგი აქცია საქმროს და პეტრუსის თავდავიწყებულ გრძნობებს დანებადა. მათმა ურთიერთობამ საერთო აღშფოთება გამოიწვია. ყველანი თავს ვალდებულად თვლიან ხელი შეუშალონ „მორალურ გახრწანასა და ოჯახის დანგრევას“. პეტრუსი ვერ იჩენს სიმტკიცეს და უკან იხევს. მატისოვა გადაწყვეტს დასტოვოს ქალაქი და სწორედ გამგზავრების მომენტში შემთხვევით თუ შეგნებულად — ეს არავინ იცის — მატარებელს ჩაუვარდება და იღუპება.

ეს ერთი შეხედვით საკმაოდ უბრალო ამბავია და მისი შემთხვევითი თუ შეგნებული ტრაგიკული დასასრული უფრო რთული და ღრმა, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია. სწორედ ამ სიღრმე და სირთულემ დაინტერესა კოპოლტი და სცადა დრამატურგიულ ჩარჩოში მისი მოქცევა, მაგრამ ამისათვის ჩვეულებრივი ჩარჩო როდღე გამოიყენა; მან პიესას სასამართლო ძიების ფორმა მისცა და მოქმედი პირები საბრალოდ სკამზე დასვა, რათა უფრო თვალნათლივ დაენახათ თავიანთი დანაშაული. საკითხს აქ ის ართულებს, რომ თითოეული მოქმედი პირის დანაშაული არც ერთი ქვეყნის სასამართლო კოდექსს არ ექვემდებარება და მათი გასამართლებისათვის არ არსებობს არავითარი იურიდიული საფუძველი. ყველა მათგანი დამნაშავეა ადამიანთა დაუწერელი კანონის, საკუთარი სინდისის წინაშე და მათი მსჯავრდება არავის ძალუძს, არც ავტორს, რომელსაც პიესაში



წარმოადგენს კაცი შვეი მანტიით და რომელ-
მაც პერსონაჟთა მსჯავრდება თვით მაყურებელს დააკისრა. უფრო სწორად, მან მაყურებელს დააკისრა არა მარტო პერსონაჟთა, არამედ საკუთარი თავის გასამართლებაც კი, ვინაიდან სცენაზე მოქმედ ადამიანთა მსგავსი უთუოდ მაყურებელთა დარბაზში მოიპოვებოდა. სწორედ ამიტომ დრამატურგმა ეს მოქმედი პირები თვით ხალხიდან გამოიყვანა სცენაზე. ამასვე მოწმობს შესანიშნავი სიტყვები, რომლებსაც წარმოთქვამს კაცი მანტიით:

„ადამიანები მარტო გასართობად როდი მოდიან თეატრში, აქ მათ სხვა ადამიანის სულში ჩახედვის წყურვილი იზიდავს.

დღეს ჩვენ სპექტაკლს არ გავითამაშებთ. უნდა ვამბობთ ისეთ შაბლონზე, როგორიც სპექტაკლის დადგმა ან დეკორაცია.

ვეცადოთ გავამსწვლოთ და ერთმანეთს დავუპირისპიროთ რამდენიმე ადამიანის ბედი, ჩვენც ჩავიხედოთ საკუთარ სულში, მოურიღებლად მივმართოთ ჩვენს გრძნობებს, ჩვენს გამოცდილებას, ჩვენც ვავიაროთ მათთან ერთად ეს სულიერი წამების გზა, რომ მათ შეცდომებში საკუთარი თავი დავინახოთ ბოლოს და ბოლოს“.

როგორც კაცი მანტიით ამბობს, კოპოუტის პიესა ჩვეულებრივი სპექტაკლის შექმნას არ გულისხმობს და არ მოითხოვს დეკორაციას. არც ბათუმის თეატრის სპექტაკლშია ფარდა და დეკორაცია. მაყურებელი შედის დარბაზში და თვალწინ ეშლება გაშლილი სივრცე ორსაფეხურიანი დანადგარით, ერთი სასამართლოს გრძელი სკამით და საგარძლით. სპექტაკლის დაწყებისას სინათლე ქრება და პროექტორში ვხედავთ მომავალ მხატვრებს, სადღურის შექმნას, რომელზეც ქარი აფრიალებს წითელ შარფს. ქრება პროექცია და მაყურებელთა დარბაზში შემოდის რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ხინიკაძე — კაცი მანტიით და იწყებს სპექტაკლს. მას დიდი დამაბურობით და ინტერესით აღიქვამს მაყურებელი, რომელიც პირდაპირ ებმება სცენურ ცხოვრებაში და მოქმედ პირებთან ერთად განიცდის მათ ბედნიერებასა თუ უბედურებას. მაყურებლის ასეთი რეაქცია, რა თქმა უნდა, აიხსნება დამხვედლის რესპუბლიკის სახალხო არტისტის მერაბ ხინიკაძისა და შემსრულებელთა დიდი და სერიოზული მუშაობით, ყველა მხატვრული სახის სწორად გახსნით.

უდაოდ მოწონებას იმსახურებს მსახიობ ლია ღლინტის ლიდა მატისოვა. ავტორის ჩანაფიქრით, იგი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალიშვილია, რომელიც ცხოვრებას გულდიად და გულმართლად შესცქერის. მას არ შეუძლია სიყალბე და სიცრუე, შორისა ყოველგვარი მეშანთური სულისკეთებისაგან, საღი თვა-

ლითა და გონებით უცქერის მოვლენებს. ოცდართი წლის გოგონას ვაჟკაცური სიმტკიცე გააჩნია. როცა უყვარს, უყვარს ნამდვილად, მთელი არსებით. როცა რაიმეს გადაწყვეტს, იოლად, ხელის ერთი წამოკვრით ვერ გადაიფიქრებს. მსახიობმა რბილად და საინტერესო ფერებით დავებისა ამ შესანიშნავი გოგონას სახე. აი სიტბორის დღემ დაიწყა ამბის თხრობა და ჩვენ დავინახეთ მხიარული ლიდა მატისოვა და ბედნიერებისაგან ალტაცებული მილან სტიბორი. ლიდა-ღლინტი სიყვარულით ექცევა მილანს, მაგრამ როცა იგი ცოლობას სთხოვს, მის სახეზე ოდნევი ჩრდილი გადაიარბენს. რაღაც შინაგანმა ღრმა ტკივილმა არ მისცა საშუალება ბედნიერად ეგრძნო თავი. ამ სცენის ამგვარად გადაჭრა უდაოდ სწორად მიგვაჩნია, რადგანაც ლიდას ხომ პეტრუსი ჯერ კიდევ ძლიერად უყვარს, უყვარს იმ სიყვარულით, რომელიც არ მეორდება. შემდეგი მათი შეხვედრებისას მატისოვა-ღლინტი პატივისცემით და გულთბილად ეკიდება სტიბორს. დიდი ტაქტითა და მოწინააღმდეგეობით ესაუბრება მილანს დედამს. მაგრამ აი ის შემთხვევით შეხვდა პეტრუსს. ეს არის ისეთი დიდი და მოულოდნელი სიხარული ლიდასათვის, რომლის მსგავსი მას, ალბათ, არასოდეს განუცდია. ამ შეხვედრისას მსახიობმა ცოტა თავდაპირილობა გამოიჩინა, ვერ მოახერხა დავერწმუნებინეთ იმ დიდ სიყვარულში, რომელმაც უნდა განსაზღვროს მისი შემდგომი მოქმედება, მაგრამ თანდათან, ალბათ, იგი ამ ხარვეზს გამოასწორებს. სამაგიეროდ მომდევნო სცენებში მაყურებლის წინაშეა თავის დიდ გრძნობას აყოლილი ბედნიერი გოგონა, რომლისთვისაც მთავარია უყვარდეს პეტრის. იყოს მასთან და, რას იტყვიან სხვები, ეს მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. პეტრუსთან ღამის გათევის შემდეგ ბედნიერი მატისოვა-ღლინტი ღიმილით ჩასცქერის სარკეში თავის თავს და ამავე ღრის ქალურ კდემამოსილებასაც არ ღალატობს. იმ მომენტში კი, როცა მან შეიტყო, პეტრუსი ცოლიანი ყოფილიყო, მის ბედნიერებას ღრმა ფიქრისა და შინაგანი ჭიდილის დალი აზს, თუმცა დარწმუნებულია, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო. ბოლოს, როდესაც მან სადღურზე შემთხვევით მოისმინა პეტრუსის საუბარი ცოლთან და მოიგონა ბევრი საინტერესო დეტალი წარსულიდან, მის სახეზე საშინელი ტანჯვის კვალი აღიბეჭდა, და საკვირველიც არ არის, შეგნებულად ჩაედინა თვითმკვლელობა ანდა მძიმე ფიქრებში გართული შემთხვევით ჩავარდნა მხატვრებელს.

ლიდა მატისოვასაგან თავისი ხასიათით ბევრად განსხვავდება პეტრი პეტრუსი. მართალია, მას უყვარს ლიდა, მაგრამ არასოდეს არ ავიწყდება თავისი კეთილდღეობა, კარიერა და სახელი.

ოთხი წლის დამოწმების შემდეგ მატისოვასთან შეხვედრამ მისი მიუყენებელი გრძნობების ნამდვილი აფეთქება გამოიწვია. იგი აჰყვა თავისი გრძნობის კარნახს და ლიდასთან შეუღლება გადაწყვიტა. მაგრამ საკმარისი ვაზა მისთვის მოეგონებინათ, თუ რა მოელოდა მის კარიერას იმ შემთხვევაში, თუ ცოლს გაეყვებოდა და ოჯახს დაანგრევდა, რომ პეტრუსს გადაეფიქრებინა ლიდა მატისოვას შერთვა. იგი არ მოელოდა მატისოვას მორიდ და გამაოგნებლად მოუტყუებას, ცოლი არ მთანხმდება განშორებას და ამით შეეცადა ადვილად დაეღწია თავი შექმნილი მდგომარეობიდან. ხოლო, როცა ცოლმა მატისოვას წინაშე განშორების თანხმობა განაცხადა, პეტრუსმა თავისი კარიერისათვის არ მოისურვა გაყრა. ამით მან, მართალია, კარიერა შეინარჩუნა, მაგრამ დაღუპა შესანიშნავი ადამიანი ლიდა მატისოვა.

მსახიობმა გაიოზ გოგიბერიძემ, რომელიც პეტრუსის როლს ასრულებს, შეძლო პერსონაჟის ხასიათის ყველა ძირითადი თვისება გამოეკეთა. მისი პეტრუსი კარიერისტიცაა, შეყვარებულიც და პატივმოყვარეც.

გოგიბერიძე-პეტრუსი მანამ არის ერთგული თავისი გრძნობისა, სანამ იგი არ ემუქრება მის კეთილდღეობას, მის კარიერას. იგი გულწრფელია მატისოვასთან ურთიერთობაში და მოხერხებულადაც სტყუის მის წინაშე, როცა საკუთარი კარიერის გადარჩენას გადაწყვეტს. სტიმულიდან შეტაკებისა, როცა ერთი წუთით დაავიწყდა კარიერა და მატისოვასადმი სიყვარულმა ნამდვილად იჩინა თავი, იგი ვაფთხებით იცავს თავის გრძნობას და უფლებებს ამ გოგონასადმი. გოგიბერიძის პეტრუსი სრულიად ჩამოყალიბებული სახეა მოქმედების პარკეტული ლოგიკით.

ლიდა პეტრუსოვას ხასიათის გახსნაში მსახიობმა თამარ სულხანიშვილმა მთავარ ღერძად აქცია პეტრუსის გამონათქვამი, რომ იგი „არა-ადამიანური თავმოყვარეობის ქალია“. ამის გადმოსაცემად არტისტმა უნარიანად გამოიყენა გარეგნული სიცივე და ოლიმპიური სიმშვიდე, ოდნავი ნერვული დამაბულობის დაღით. იგი ისეთი მიუკარებლად ცივია, რომ საკვირველი არ არის, თუ პეტრუსს არ იზიდავს, არ სიამოვნებს მისი სიხალღე. ლიდას სიყვარული მკაცრად და ცივია არა მარტო მეუღლის, არამედ საკუთარი თავის მიმართაც; იმდენად მკაცრი, რომ როცა მარტო რჩება, მაშინაც კი საკუთარ თავს სჯის გულჩვილობისათვის. სხვათა წინაშე პეტრუსოვა-სულხანიშვილი მშვიდი და აუღელვებელია, მაგრამ როცა მარტო რჩება, აშკარად ეხედავთ იმ უსახლდრო წამებას, რომელსაც იგი განიცდის.

ყველაზე სასიხარულო მოვლენად სპექტაკლში მიგვაჩნია ახალგაზრდა მსახიობის იური

ცანავას წარმატება. გულახდილად უნდა განვაცხადოთ, რომ მისი ადრეული ნამუშევრები არ გვაძლევდნენ საფუძველს გვეფიქროს, თუ სიმართლე ასეთი რთული როლში გაიმარჯვებდა. ამჯერად ჩვენ დიდი სიამოვნებით ვაღიარებთ ჩვენი შეხედულების გაცრუებას. მილან სტიბორის სახე უაღრესად რთულია და ღრმა ფსიქოლოგიურ გახსნას მოითხოვს. მსახიობმა ნამდვილად გაართვა თავი ამ სიმძლევსა და სირთულეს — მისი სტიბორი ერთი საუკეთესო სახეა სპექტაკლში. მსახიობის ასეთი თვალსაჩინო წარმატება უსათუოდ სპექტაკლის დამდგმელის დამსახურებაცაა. არტისტმა მოახერხა ჩვენთვის დამაჯერებლად ეჩვენებინა მილანის სულგირი განცდები და, თუ გნებავთ, შეკრეცვა. ი. ცანავა თავის სტიბორს ერთგულ დამცველად მოეგონა და მაყურებელს მისი ეგოისტური სიმაართლე მართლაც კი ეჩვენება. ცანავას მილანს ნამდვილად გულწრფელად უყვარს მატისოვა და ორივე ხელით გამწარებული ებღუტება მისი დასაყუთების სურვილს. იგი მზად არის ფრჩხილებით დაახრჩოს პეტრუსი; მათი შეტაკება ნამდვილად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა.

მილანის დედის როლს ნათელა წერეთელი ასრულებს. მსახიობმა სტიბოროვა დავეხმარე მკაცრ და ცივ ფერებში. ეს ისეთი დედაა, რომელსაც შვილი უზომოდ უყვარს, მაგრამ, ალბათ, არასოდეს უგრძნობინებია მისთვის ნამდვილი დედური სიბოძა და აღერსი. შვილი მას ეგოისტურად, ავადმოყვარედ უყვარს და სიზოგერბას იმით უმსუბუქებდა, რომ ყველაფერს თვითონ აკეთებდა მის მაგივრად. ამიტომაც სასუბუქით გასაგებია, როცა სასამართლოს სსდომზე აცხადებს. მილანმა არაფერი იცის, მე ვიცი. მას აშკარად არ ესიამოვნა შვილის ჰეროზინება, მაგრამ როცა იგი ჩაიშალა, ყოველგვარ ღონეს მიმართა, რათა მატისოვასათვის საშაგიერო გადაეხადა. მას არ ესმის ლიდას გრძნობა და მხოლოდ შვილის ინტერესებიდან გამომდის. მსახიობმა ხასიათის სწორედ ეს თვისება გამოჰყო განსაკუთრებულად დედის სახეში და წინა პლანზე წამოსწია იგი.

ბ. ტორონჯაძე ვაცლავ კრალის როლში ცოტათი შებოჰილად გრძნობს თავს, აკლია სცენური თავისუფლების გრძნობა. ამის გამო მსახიობი სახეს ვითიშება, როცა სიტყვიერის მასალა აღარ აქვს. ეს ისეთი ნაკლია, რასაც იგი თანდათან გამოასწორებს. სახის გახსნისას კი არტისტი ძირითადად მართალია. იგი ცდილობს ითამაშოს ფრთხილი, ხათრიანი ადამიანი და ამ მიზანს კიდევაც აღწევს, სახის მთლიანობას ზემოხსენებული ნაკლი რომ არ არღვევდეს.

გამოცდილი მსახიობი გიორგი ახვლედიანი კადრების განყოფილების მუშაის ტრეშეის როლს ასრულებს. მსახიობმა თავისი გმირი

დაგვიხატა როგორც კანონების მონა. ტოშევი-
ახვლედიანი არასოდეს არ დაარღვევს კანონის
არც ერთ მუხლს და არც სხვას ამატიებს მსგავს
დანაშაულს. იგი კმაყოფილია, თუ თანაშრო-
მელს არავითარი ლაქა არა აქვს ბიოგრაფიაში,
სხვა მას არაფერი აინტერესებს და არც აუა-
მიანური გრძნობების გაეგება რაიმე. მაგრამ
როდესაც კაცმა მანტიით მათ ყველას დანახა
თავიანთი დანაშაული, ტოშევი-ახვლედიანის
ხმაში პირველად გაისმის საოცრად რბილი ნო-
ტები და იგი დიდი სინანულით ამბობს, „მე
არ ვიცოდი, თუ ეს ასეთი სიყვარული იყო“.
ადამიანი სრულიად გარდაიქმნა, მას თვალი
აეხილა და ცხოვრებას სხვაგვარად შეხედა.

ეთერ მალაყმაძე მხიარული და ცელქი მაიკაა.
მსახიობი სწორად გადმოსცემს პერსონაჟის ხა-
სიათს: ეს ცელქი გოგონა გასაოცრად სერიო-
ზული და საქმიანია, როდესაც ლიბა მატისოვას
მსაჯულად წარმოიდგენს თავს. იგი ხელმძღვა-
ნელობს თეორიული მოსაზრებებით, რომელ-
ზეც გამომდინარეობენ კანონებისაგან. მას არ
შეუძლია შეურიგდეს, რომ მატისოვამ ოჯახი
დაანგრის. მაიკა არ შედის იმის განსჯაში,
არის თუ არა ეს ოჯახი დამყარებული ჯანსაღ
საწყისზე ან როგორია მატისოვას გრძნობა.
ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშეა გოგონა, რომელ-
საც სურვილი აქვს დიდ ადამიანად წარმო-
გვიდგეს. ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ ამ
ახალგაზრდა მსახიობსაც ერთი ნაკლი აქვს —

როცა თავის საქმიანობას მორჩება, ეთიშება და
იკას სახეს. ეს მასაც გამოუტყდელივით და-
ლეღვით მოსდის.

ჩვენ ბოლოსათვის მოვიტოვებთ ის, ვინც
მთავარია საქმის მსვლელობაში. ეს არის კაცი
მანტიით. რესპუბლიკის სახალხო არტისტი მე-
რამ ხინიკაძე დიდი ტაქტიკა და ღრმა ადამი-
ანური გრძნობით ასახიერებს მას, ყოველ დე-
ტალს სათანადოდ აფასებს და მართლაც მი-
ვივით ჰკინძავს მთელ საქმეს, თვალნათლივ
წარმოგვიდგენს ამბის მსვლელობას და ბრალ-
დებულთა დანაშაულს. იგი ყველას დამსახუ-
რებისამებრ მიუზღავს და თვითეულ დეტალს
აფასებს როგორც დიდბუნებოვანი ადამიანი.
იმ მომენტში, როდესაც საბოლოო დაკითხვისას
ყველანი შესძახებენ მატისოვას, ამ გამ-
კიცხავ ხმათა შორის ეულად გაისმის ხინიკაძე-
კაცი მანტიით გულითადი ცრემლნარევი ხმა.
მას ესმის დიდი სიყვარულისა და ნანობს ამ
შესანიშნავი სიცოცხლის დაღუპვას, სიცოცხ-
ლისა, რომელსაც ვერ გაუშვს და ყველამ თი-
თო ლახვარი ჩასცა. ჩვენი აზრით, ხინიკაძე დი-
დი სიმართლით ასახიერებს კაცს მანტიით და
ხელს უწყობს სპექტაკლის ძირითადი იდეისა
და ყველა სახის სწორად გახსნას.

კარგია მხატვარ გ. ცერაძის დეკორაციული
გაფორმება, რომელიც სავსებით შეესაბამება
პიესის სთლისკვეთებას.



სახელოვნანი ბრძოლის ისტორიიდან

ბრძოლა საზოგადოებრივი ხელისუფლებისათვის აჭარაში 1920 წლის მიწურულს

1920 წლის მაისის რევოლუციური გამოცემების შემდეგ, როგორც ცნობილია, ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ, ქართველი მენშევიკების ხელშეწყობით, ბათუმის ბოლშევიკური ორგანიზაციის ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი დააპატიმრეს. ამის გამო მასების მოძრაობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის დროებით შესუსტდა. საჭირო იყო ბოლშევიკური ორგანიზაციის განმტკიცება გამოცდილი პარტიული მუშაკებით, რომლებიც სათავეში ჩაუდგებოდნენ და სწორი გზით წარმართავდნენ მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას. ეს გაგრძელება გაითვალისწინა რკპ (ბ) ნოვოროსისის კომიტეტმა, როცა 1920 წლის 26 მაისს ე. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც დაწერილებით მოუთხრო მათ საოკუპაციო ხელისუფალთა და მათი ლაქია მენშევიკების ვერაგული მოქმედება და გამოთქვა სურვილი, რათა დაპატიმრებული შესაცვლელად ბათუმში გამოგზავნათ გამოცდილი პარტიული მუშაკები.

1920 წლის 7 მაისს რსდს რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი მუხლის ძალით საქართველოს კომუნისტურ ორგანიზაციებს ეძლეოდათ ლეგალური მუშაობის უფლება, მაგრამ ამ პირობას საქართველოს მენშევიკური მთავრობა სისტემატურად არღვედა. მენშევიკურმა საგანგებო რაზმებმა ციხეები დაპატიმრებული ბოლშევიკებით გაავსეს.

1920 წლის 7 ივლისს ანტანტის იმპერალისტებმა საბოლოოდ დატოვეს ბათუმი, ხოლო 8 ივლისს ქალაქი მენშევიკური მთავრობის შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს. პირ-

დაპირ უნდა ითქვას, რომ მენშევიკური რეაქცია აჭარაში ოდნავადაც არ ჩამოუვარდებოდა ანტანტისას. ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი ბ. ჩხიკიშვილი ჯერ კიდევ ბათუმში ჩამოსვლამდე, თბილისიდან, იმუქრებოდა, რომ საქართველოს მტრებს არ ექნებათ ადგილი ბათუმსა და მის ოლქში, რომ ანტისახელმწიფოებრივი მუშაობა არ იქნება დაშვებული.

გენერალ-გუბერნატორი საქართველოს მტრებში გულისხმობდა როგორც ქართველ კომუნისტებს, ისე ყველა ანაქართველს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ მოძრაობაში ან თანუგრძნობდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. დაიწყო პროფკავშირების, საწარმოებისა და დაწესებულებების „წმენდა“ კომუნისტებისა და მათი მომხრეებისაგან. განსაკუთრებით დევნიდნენ რუსებს. მათთან დალაპარაკება საკმარისი იყო, რომ აღმაინი კომუნისტად გამოეცხადებინათ და დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სისხლის სამართლის მილიცის უფროსი დიდხანს იმყოფებოდა ბათუმში და მისი განკარგულებით ჯერ კიდევ 1920 წლის ივლისსა და აგვისტოში საქართველოს საზღვრებიდან გაასახლეს ასობით მოწინავე მუშა და ინტელიგენტი, მათ შორის 100-მდე კაცი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო.

მენშევიკურ რეაქციას აჭარის მშრომელები ენერგიულ წინააღმდეგობას უწყევდნენ, მაგრამ „უჩინობისათვის“ მენშევიკები სასტიკად სჯიდ-

1 გაზ. „ერთობა“, № 148, 1920 წ.

2 საქ. სსრ ორცხა, ს. 126, ფურც. 4-10.



ნენ არა მარტო „დამნაშავეს“, არამედ მთელ სოფელსაც. ამის საუკეთესო მაგალითი იყო სოფელ კოხის ამბები. როგორც არქივებში დაცული მასალებიდან ჩანს, 1920 წლის სექტემბერში მენშევიკმა ჯარისკაცებმა იარაღი წაართვეს, ხოლო შემდეგ სცემეს ერთ-ერთ გლეხს ს. გუნთაიშვილს. ამ უკანასკნელმა საპასუხოდ მოჰკლა ორი ჯარისკაცი. გენერალ-გუბერნატორმა კონში გაგზავნა დამსჯელი რაზმი და მთელი სოფელი აიკლა. რაზმმა სოფლის ყველა ოჯახი პირწმინდად გაძარცვა.

ბათუმის ოლქში დამყარებული მენშევიკური დიქტატურა სწორად შეაფასა გაზეთმა „სა-მუსლიმანო საქართველომ“. იგი წერდა: „შემდეგი თაობა ზოგიერთი გვარდიელის და მილიციონერის საქციელს საზღაბროდ გახდის და შესაძლოა აყვანში ატირებულ ბავშვს დედა ასე აწინებდეს: „გაჩუმიდი, მოვიდა გვარდიელიო“.¹

მაღე პოლიტიკური მდგომარეობა აჭარაში იმდენად დიძაბა, რომ ჟორდანია-რამიშვილის მთავრობა იძულებული გახდა ბათუმში სასწრაფოდ გაეგზავნა დამფუძნებელი კრების დეპუტატი გელეიშვილი, რომელმაც შემოიარა მთელი აჭარა და დამფუძნებელ კრებას ვრცელი მოხსენება წარუდგინა ამ მოგზაურობის შედეგებზე.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ მენშევიკურ მთავრობას თავისი არასწორი პოლიტიკით აჭარაში არც ერთი მოყვარე არ შეუძენიაო. უფრო მეტი, რაცა გვყავდა, ისიც სულერთიანად მოგვიმღერებიაო.²

მოხსენებლის მტკიცებით, მენშევიკი მოხელეები „ფეხის ყოველ გადადგმაზე ქრთამს იღებდნენ ფულთი და საქონლით... ფუთი კარაქის ან ყველის და ცხვრის მირთმევას აქ ქრთამი არა ქვია — ეს ფეშქეშია, ამას არც ხალხი ჩივს. ფულის და ისიც დიდი ფულის გადახდას ყველა ჩივს“.³ შემდეგ მოხსენებაში დახასიათებულია ის აუტანელი რეჟიმი, რომელიც სულისმართების საშუალებას არ აძლევდა აჭარის მშრომელ მოსახლეობას.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა იძულებული გახდა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი ჩიხიკიშვილი თბილისში გაეწვია. ახალ გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა მენშევიკი გრ. გიორგაძე, მაგრამ თანამდებობის პირთა შვიცლას, რასაკვირველია, არ შეეძლო მოჰყოლოდა მენშევიკური რეჟიმის არსის შეცვლა.

როგორც ექვმიუტანელი დოკუმენტებიდან ჩანს, 1920 წლის შემოდგომაზე მშრომელთა მდგომარეობა აჭარაში კიდევ უფრო გაუარესდა. მენშევიკური მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკამ ქვეყანა სრულ სამეურნეო კატასტროფამდე მიიყვანა. მარტო ბათუმში უმუშევართა რაოდენობა 5.500 კაცამდე გაიზარდა.¹ აჭარის მშრომელი მოსახლეობა დიშმა, სპეკულაციამ არანაული გაქანება მიიღო. ამას თვითონ მთავრობის წევრებიც აღიარებდნენ. ჟორდანია-რამიშვილის მთავრობამ სურსათით ვერ უზრუნველყო ჯარის ნაწილებიც კი. ამიტომ, სამხედრო მინისტრის თქმით, სამხედრო სამსახურს თავი დაანება ოფიცრების საუკეთესო ნაწილმა.²

ასეთ აუტანელ ვითარებაში აჭარის გლეხებმა თხოვნით მიმართეს მთავრობას გაეთავისუფლებინათ ისინი მემამულეთა კაბალისაგან, მაგრამ მათი ეს თხოვნა, რა თქმა უნდა, უშედეგოდ დარჩა. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა მასების უკმაყოფილებას და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას.

ჯერ საოლქუაო ხელისუფლების, ხოლო შემდეგ ქართველი მენშევიკების დარტყმებით მიყენებული მძიმე ჭრილობები აჭარის კომუნისტურმა ორგანიზაციამ თანდათანობით მოიშუშა და კვლავ სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლას. 1920 წლის აგვისტოსათვის აჭარის კომუნისტებმა დიდი პოლიტიკური მუშაობა გასწიეს როგორც ბათუმში, ისე ოლქის გლეხურ მოსახლეობაში. ბრძოლამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის კვლავ ფართოდ შეუპოვარი ხასიათი მიიღო. მის ანგარიშად იდგა ბათუმის პროლეტარიატი. ამ გარემოებამ დააფრთხო ჟორდანია-რამიშვილის მთავრობა და აგვისტოში ბათუმში გამოგზავნა თბილისის პროფკავშირების დელეგაცია, რომლის მიზანი იყო ბათუმის პროლეტარიატი აეცდინა სწორი რევოლუციური გზიდან. მაგრამ მენშევიკების ვარაუდი ჩაიფუშა. ბათუმის პროლეტარიატმა მათ საკადრისი პასუხი გასცა და კიდევ უფრო გააძლიერა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა.³

ბოლოს, საქართველოში ჩამოსული II ინტერნაციონალის დელეგაცია ბათუმსაც ეახლა, მაგრამ აჭარის მშრომელთა მკაცრად დამკეს მოღალატე „სოციალისტები“ კატეცი, ვანდერეგელდე, რენოდელი, მაკდონალდი და სხვები.⁴ აჭარის კომუნისტურ ორგანიზაციას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო

1 გაზეთი „ბატუმსკაია ჟიზნი“, № 14, 1921 წ.
2 საქ. სსრ ორცსა, ფ. 48, ს. 144, ფურც. 4.
3 იქვე, ფურც. 4.

1 საქ. სსრ ორცსა, ფ. 48, ს. 191.

2 საქ. სსრ ორცსა, ფ. 48, ს. 191.

3 გაზ. „ბატუმსკაია ჟიზნი“, № 32, 1920 წ.

4 გაზ. „ახალი კომუნისტი“, № 46, 1920 წ.

დახმარებას უწყევდა ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაცია, რომლის განმტკიცებისათვის ბევრს ზრუნავდა რევოლუციის ტრიბუნის ს. მ. კირაოვი, რომელიც მაშინ რსფსრ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო საქართველოში.

1920 წლის ნოემბერში ანტანტის მესამე ლაშქრობის საბოლოო განადგურებამ და მეზობელ სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოს მშრომელების უსასღერო აღდგოვანება გამოიწვია. ამ უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გაამხანგა აჭარის მშრომელები. საბჭოთა საკონსულოს შენობაზე ბათუმში 1920 წლის 26 ნოემბერს წითელი დროშა აფრიალდა. წითელი დროშა აღმართა ბათუმის მეტელაურთა პროფკავშირმა¹. მაგრამ მენშევიკებმა მეტელაურთა კავშირის გამგეობის მთელი შემაღლენობა დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს.

რაც დრო გადიოდა, სულ უფრო გამოუვალი ხდებოდა მენშევიკური საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა. დამფუძნებელ კრებაში სულ უფრო ძლიერად გაისმოდა ხმა მთავრობის წინააღმდეგ. აღსასრულის ჟამს ქართველმა მენშევიკებმა ხელი მიყვეს კომუნისტთა და მათ თანამგრძნობთა მასობრივ დაპატიმრებას. მოხსენებაში „მდგომარეობის შესახებ საქართველოს კომპარტიამ“ ვკითხულობთ, რომ ამ დროს, ე. ი. 1920 წლის შემოდგომაზე, საუკეთესო პარტიული მუშაკები ციხეებში იხსნენ, ხოლო პარტიის წევრთა მთავარი მასა გაასახლეს საქართველოს ფარგლებიდან. გასახლებულ კომუნისტთა რიცხვი ორ-სამ ათასამდე აღწევდა. ბევრი პარტიული ორგანიზაცია სრულიად განადგურდა, განსაკუთრებით სოფლებში. საქალაქო პარტიული ორგანიზაციები მუშაობას განაგრძობდნენ მხოლოდ თბილისში, ქუთაისში, ფოთში, სამტრედიასა და ბათუმში. კომუნისტთა დაპატიმრებამ კიდევ უფრო ისტერიული ხასიათი მიიღო.

1 გაზ. „საქართველოს კომუნისტი“, № 14, 1920 წ.

შექმნილ ვითარებაში გამოსავალს ეძებდნენ კები ავანტიურაში ხელადნენ. ევროპაში ურიგდებოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებას. ამიტომ ორივე ამ რეაქციულმა ძალამ შეთქმულება მოამზადა რევოლუციის წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ საქართველოს მთავრობა, რომელიც საჯაროდ გაპყვიროდა „ბათუმს არავის არ დაენებებოთ“, ახლა მზად იყო ანტანტისათვის გადაეცა იგი. ამ ვერაგული ნაბიჯის დასაფარავად ბათუმში პორტო-ფრანკოდ უნდა გამოეცხადებინათ და იგი ანტანტის ჯარს უნდა დაეკავებინა. მაგრამ ეს გეგმა რსფსრ მთავრობის ენერგიული ჩარევის გამო ჩაიფუშა.

იმვე დროს რევოლუციური მოძრაობა სწრაფად იზრდებოდა მთელ საქართველოში, მათ შორის აჭარაშიც. ბათუმის ოლქის მშრომელები სულ უფრო აძლიერებდნენ ბრძოლას საძულველი მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ. მენშევიკებმა პარტიამ მშრომელ მოსახლეობაში ყოველგვარი გავლენა დაკარგა. ამიტომ მენშევიკებმა კვლავ გააძლიერეს რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ. 1920 წლის დეკემბერში დააპატიმრეს აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკები და გადაგზავნეს ქუთაისის ციხეში, მაგრამ მენშევიკური რეჟიმის გადაჩენა დაღუპვისაგან რეპრესიების გაძლიერებით შეუძლებელი იყო.

1921 წლის დამდეგი საქართველოს მენშევიკური დიქტატურის კრახის მაღწყვეტილი გახდა. 11 თებერვალს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, რომელიც 25 თებერვალს თბილისში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დამთავრდა. პოლიტიკურად გაკოტრებული მენშევიკური მთავრობა ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ ბათუმში გაიქცა, მაგრამ მტკიცე თავშესაფარი ვერსად ვერ პოვა, რადგან მოსახლეობამ ენერგიული ბრძოლა გამოუცხადა მას. 18 მარტს საბჭოთა ხელისუფლება აჭარაშიც დამყარდა. ასრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება — მთელი ძალუფლება მშრომელი მასების ხელში გადავიდა.

პარმენ ცაშიტარია,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



უკანგი ორიენცალისკი ბათუმის შესახებ

1887 წელს პარიზში გამოქვეყნდა წიგნი „ბათუმი და კოროზის აუზი“. მისი ავტორი იყო ფრანგი ორიენტალისტი და ჟურნალისტი ჟან (ჟიულ) მურიე. გასული საუკუნის 80-იან წლებში ჟ. მურიე სპეციალური დავალებით მოგზაურობდა საქართველოში და ეცნობოდა ჩვენი ქვეყნის სიძველეებს.

ფრანგი ორიენტალისტი საქართველოში მეტად ნაყოფიერად მოღვაწეობდა; სულ მოკლე

დროში თითქმის ზედიზედ გამოსცა რამდენიმე ნაშრომი. მაგალითად, „სამეგრელო“ (1884 წ., დაიბეჭდა ოდესაში), „შოთა რუსთაველი“, „კავკასიის არქეოლოგია“, „თბილისის მუზეუმი“, „ელადიკავაზიდან თბილისამდე“ და სხვ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ჟ. მურიეს წიგნის „ბათუმი და კოროზის აუზი“ იმ ნაწილს, რომელიც საკუთრივ ბათუმს შეეხება (ტექსტი თარგმან ი. ლორთქიფანიძემ, ტერმინები დააზუსტა და შენიშვნები დაუტოო დოც. ი. სიხარულიძემ).

ბათუმის ნამსადგური

აქარის ქედის ორ განშტოებას — პერანგას და კახაბერს შორის შავი ზღვა ქმნის ქარებიდან დატულ ნავსადგურს. ეს ბათუმი. მისი ზღვის უბე სივანით სამ ევრსზე მეტია, სიღრმით კი 30-70 ფუტამდე აღწევს. იგი არ არის დაფარული ჩრდილოეთის ქარებისაგან, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ქალაქს და ლუშავს ლუშაზე მდგარ გემებს, მაგრამ ჯებირებისა და

კაშხალების მშენებლობის დამთავრების შემდეგ, რომლებიც ქვიშას და რიყეს ღია ზღვისკენ შეაცვლებინებენ გზას და დაიცვენ რეიდს კოროზისა და აღმოსავლეთიდან მომდინარე დინების მიერ მოტანილ შლამისაგან, ბათუმში შეიქმნება ლუზის ჩაშვების ყარგი პირობები და იგი შეძლებს შავი ზღვის საუკეთესო ნავსადგურად გადაქცევას.

ბათუმის ახალი სიმაგრეები

თურქების მფლობელობის დროს ბათუმის მისადგომები ორი ბატარეით იყო დატული. ერთი დასავლეთით ბურუნ-თაბისა¹ სახელით იწოდება. ეს ყაზარმის მსგავსი ქვის შენობაა, რომელშიც თექვსმეტი ზარბაზნა და იტევს ექვს პოლს და საომარი ტყვია-წამლის მარაგს. რუსებმა იგი თანამედროვე ციხეთმშენებლობის და საზღვაო სროლის მოთხოვნილების საფუძველზე გადააკეთეს. მეორე ბატარეაც, სარისუში² რომ დგას, მნიშვნელოვან თავდასაცვ ნაგებობას წარმოადგენს. იგი ბოლაზის აღმოსავლეთით ბარცხანის და კარდერის შესართავთან ააშენეს თურქებმა უკანასკნელი ომის დროს.² ხოლო რუსებმა მიატოვეს. რაც შეეხება ქალაქს, იგი დაცულია კახაბრის ირგვლივ შემო-

რტყმულ მწვერვალებზე განლაგებული ბატარეებით. შემოერთების შემდეგ განხორციელებულ მშენებლობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია სამხედრო ნავსადგური და მოქმედი რკინიგზა, რომელიც ნავსადგურს ევრეთწოდებულ არტილერიის ქალაქთან აერთებს და გადის კახაბერის ხეობაში მდ. ყოროლისთავის³ და ბარცხანის ნაპირებზე. არტილერიის ქალაქი წარმოადგენს ყაზარმებისა და სხვა შენობების რიგს, რომელსაც შეუძლია მიიღოს ერთი დივიზია თავისი საომარი მარაგით. ნავსადგური, მოგმსახურა რა სიმაგრეებისათვის საჭირო ზარბაზნების ტრანზიტს, ახლა სავაჭრო გემების დატვირთვის და დაცლას აწარმოებს.

ბათუმი ცნობილი იყო 400 წლის წინათ ჩვენს ერამდე.⁴

მეორე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, იმპერატორ ადრიანეს მმართველობის დროს, რომაელებმა მას სამხედრო სადგურად იყენებდნენ და გამაგრებული ციხე ჰქონდათ, სადაც გარნიზონი იღმა. უფრო გვიან, V საუკუნეში, საქართველოს მეფემ ვახტანგ გორგასალმა იგი თავის სამფლობელოს შეუერთა. VI, VII და VIII საუკუნეებში ბათუმსა და ბათუმის პროვინციას კოლხეთისა და აფხაზეთის მთავრები მართავდნენ. ქართველი ხალხის გაერთიანებისა და საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ ქალაქი და პროვინცია კლარჯეთის ანუ ზემო ქართლის ნაწილს შეადგენდა⁵ და მას ქართველი ერისათვის მართავდა. XV საუკუნეში, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, კახაბერ გურიელის მმართველობის დროს თურქებმა დაიპყრეს ლაზისტანი და ქოროსს მოუახლოდნენ.⁶ 1561 წ. როსტომ გურიელის მიერ ხოფიდან და არაქვიდან განდევნილი თურქები XVII საუკუნეში ლაზისტანის და ბათუმის ოლქის პატრონებად დაბრუნდნენ. ბათუმი თავისივე სახელწოდების ლივის⁷ ანუ სანჯაყის მთავარ ქალაქად გადაიქცა. XVIII საუკუნეში ქართველმა გეოგრაფმა ვახუშტმა აღწერა ბათუმი როგორც პატარა ქალაქი, რომელსაც ლამაზი სიმაგრე ჰქონდა. დიუბრეს იქ ჩასვლის დროს, 1807 წ., შორი-შორ მდგომ სახლებში 2.000 მოსახლე ცხოვრობდა და დიდ სიფეოს ჰყავდა. ნავსადგური არაფრით არ იყო დაცული. ბაზრის თავში აღმართული იყო ქვის საძირკველზე აგებული ხის კოშკი. კოშკი უზარ-

ბაზო იყო და გარს თხრილი ერტყა. ბაზარი ორმოცდაათიოდე დიდ ღუქანს წარმოადგენდა. 1873 წ. ბათუმი ლაზისტანის საფაშოს მთავარი ქალაქი იყო, რომელსაც მუთესარიფი⁸ მართავდა. მუთესარიფი უშუალოდ ტრაპიზონის ვალის ანუ გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებოდა. ეს საფაშო თორმეტი კაიის⁹ ანუ მაზრისაგან შედგებოდა — ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზემო აქარა, ქვემო აქარა, მაჰახელი,¹⁰ ლივანი, გონი, ხოფი, არხავე, ეშენა და ათინე. თითოეულ მათგანს თავის კაიმაკამი¹¹ მართავდა, რომელსაც ხელქვეითი ორი ან სამი მუდირი ჰყავდა. მუდირი ჩვენს უბნის ზედამხედველს უდრის. ფაშას გარდა, ბათუმში იმყოფებოდა მეჯლისი ანუ მოავრობის საბჭო, კაიმაკამი, სასამართლო, საბაჟო, ციხის მშენებელი ბატარეის შტაბის ბინა. ბათუმში იყო ორი სკოლა — ერთი თურქული, მეორე ბერძნული, სამი მეჩეთი და ერთი წმიდან ნიკოლოზის სახელობის მართლმადიდებელთა ეკლესია.¹²

ნავსადგურის ახლოს მალაზიები და კერძო შენობები იყო. სხვა შენობებს შორის გამოირჩეოდა რუსეთის ვიცე-კონსულის სახლი ლამაზი ბაღით და ლაზი მაჰმუდის სასტუმრო. სასტუმრო თურქულ-ევროპული გემოვნებით იყო მოწყობილი, შადრევნით, აბანოთა და საბილიარდო დარბაზით. ქალაქის ეს ნაწილი უკვეშირდებოდა რეასი ღუქნისაგან შემდგარ ადგილობრივ ბაზარს, რომლის იქეთ გარეუბანი იწყებოდა, ისეთივე მცირერიცხოვანი მოსახლეობით, როგორიც დიუბრეს დროს იყო.*

* დ. ბაქრაძე, მოგზაურობა გურიასა და აქარაში.

ძალაჲ ბათუმი

ბათუმი აღწერისათვის ცოტა მასალას იძლევა, მაგრამ იქ რკინიგზის ხაზის დასაწყისში უეჭველად გაშენდება დიდი საზღვაო ქალაქი, რომელიც თავისი ნავსადგურის მეოხებით, ადრე თუ გვიან, ამიერ-კავკასიის, მცირე აზიისა და ირანის მნიშვნელოვან სავაჭრო გზად გადაიქცევა. რუსების დიდი მუშაობის შედეგად ბათუმს უკვე ამჟამად ევროპული ქალაქის სახე აქვს. გაყვანილია ქვით დაფენილი დიდი ქუჩები, ზღვის სანაპიროზე ქალაქს ლამაზი ხეივანი ამშვენებს, წყალსადენი და კარგი განათება სასიამოვნოდ ზღიან იქ გატარებულ დღეებს. ბათუმში არის ფოსტა, ტელეგრაფი (ყველა მიმართულებით) სასტუმროები: საფრანგეთი, იმპერიალი, ოდესა და ცენტრალური; საფრანგეთის, ინგლისისა და ესპანეთის ვიცე-საკონსულოები, თურქეთის გენერალური საკონსულო, გერმანი-

ის, ავსტრიის, ბელგიის, ამერიკის და იტალიის საკონსულოების აგენტები; სანაოსნო სააგენტოები და კომპანიები: რუსეთის კომპანია, ავსტრიული კომპანია ოლიიდი; საზღვაო კანტორები, ბაქერტი, პაპანი და ა. შ.; რუსეთის სავაჭრო სავაჭრო საზოგადოებები „ნადეჟდა“ „რუსსკოე ობშესტვო“, „სამხრეთის საზოგადოება“ და სხვ.; მართლმადიდებელთა ორი, ერთი გრიგორიანული, ერთი კათოლიკური ეკლესია, სამი მეჩეთი, ერთი სკოლა, თუნუქის ჭურჭლის ორი ფაბრიკა, თამბაქოს სამი ფაბრიკა, ასი სამიკიტნო, ორასი ღუქანი, აბანოები და სხვ.

ბათუმი სამი უბნისაგან შედგება. დასავლეთის ანუ ნუროის უბანი, ცენტრი ანუ ძველი ბაზარი, ჩრდილო-აღმოსავლეთი ანუ აზიზიდი წოდებული კახაბრის უბანი. ნუროის უბანი ყველაზე ვრცელია, იგი აფხაზ და ჩერქეზ ემიგრანტებს

უბოძა თურქეთის მთავრობამ და იქ დასახლა ხის ქოხსახეში. რუსეთის მიერ ბათუმის შემოერთების შემდეგ ემიგრანტებს ცალკე უბანში დასახლების წინადადება მისცეს. მათ დაურიგეს მიწის პატარა ნაკვეთები. ამრიგად, სურის უბნის სამი მეოთხედი გათავისუფლდა და ბათუმელ შეძლებულ მოხელეებს დაურიგდა. ასე დაიწყო 1879-1880 წლების გაცხადებული მშენებლობა. ხე-ტყის ნაკლებობის გამო ცემენტი პორტლანდიდან მოჰქონდათ, აგური და კრამიტი — მარსელიდან. საქმე გაიჩარხა და მალე ხის უბადრუკი ქოხსახეები მრავალსართულიანმა სახლებმა შეცვალა.

ძველი ქალაქი, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბაზარი ბათუმის ცენტრს წარმოადგენს, რომლის შუაგულში აღმართულია გუბერნატორის სახლი ბაღით. ბლის მალაღი ქვის ღობე სამხედრო ბანაკის აღმოსავლეთით სანაპირომდე აღწევს. ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთის ანუ კახაბრის უბნისა და ამავე სახელწოდების მთას შორის გადაჭიმულია კვადრატულ ვერსზე მეტი სივრცის ვაკე, რომელსაც ჩრდილოეთით მდ. ბარცხანა და ყარადიერე საზღვრავს. მეზობელი მაღლობებიდან ჩამომდი-

ნარე წყაროებით უხვად მიარწყული ეს მიწა-წყალი ბრინჯით ითესებოდა და ზაფხულში მწიფეში წყლით იყო დაფარული. ცხადია, თუ სწევლების რა ბუდე ჰქონდა ბათუმს თავის კართან. მართლაც, კახაბრის მთის კალთებზე გაშენებული სოფლები სალიბაური და ორთაბათუმი და აგრეთვე აფხაზური კოლონია მდ. ყოროლისწყლის ნაპირზე საშინლად იტანჯებოდნენ ციებით. ბრინჯის ყანების მიერ გამოწყვეტილი „მაღარა“ წამლავდა კახაბრის უბანს და აიძულებდა მოსახლეობას ზაფხულის თვეებში მთებში გახიზნულიყო. რუსეთის მიერ ამ მხარის შემოერთების შემდეგ ბრინჯის მოყვანა აიკრძალა და დაიწყო ბათუმის მიდამოების ამოშრობა. ეს მუშაობა ორი წელიწადი — 1879-1881 წ. წ. გაგრძელდა. მიწების ნაწილი უკვე ამოშრობილია და კვადრატული საყენი 50 კაბ. — 2 მან. 50 კაბიკამდე გაიყვია. ზღვის ქარს ქაობის მიახმები სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ანუ სურის და ცენტრალური უბნიდან კახაბრის მწვერვალებსაკენ მიაქვს. ზღვის სანაპიროსა და ნავსადგურის დასავლეთის უბნების ჰავა შედარებით კარგია.

მოსახლეობა

1873 წ. ბათუმის მოსახლეობის რიცხვი 4970 სულს უდრიდა, 1884 წ. — 8671 სულს (980 რუსი, 514 ქართველი, 167 გურული, 128 იმერელი, 907 სომეხი, 70 ლაზი,¹⁴ 603 თურქი,

112 სპარსელი, 377 აფხაზი და 1166 ბერძენი). 1885 წ. მოსახლეობის რიცხვმა 12.000 სულს მიაღწია. 1886 წ. იგი შეიძლება 17.000-მდე ავიდეს.

მ ა ზ რ ო ბ ა

თურქეთის მფლობელობის დროს ბათუმი, გარე სამყაროსგან მოწყვეტის გამო, შეზღუდულ ვაჭრობას ეწეოდა. შემოჰქონდათ სავაჭრო საქონელი ლაზისტანისათვის, ქობულეთისათვის, აჭარისათვის და ლივანისათვის (არტანუჯი,¹⁵ არტვინი). ინგლისიდან და შვეიცარიიდან შემოჰქონდათ ბამბის ქსოვილი, ალუბოლი და დამასკოდან — აბრეშუმის ქსოვილები, რუსეთიდან — რკინიგზის, შალის ქსოვილები ყირიმისა და საქართველოდან. სხვადასხვა ქვეყნიდან ღებულობდნენ აგრეთვე ფოლადს, კალას, ისეთ სანოვავებს, როგორიცაა შაქარი, ყავა, პილპილი, ნიშადური და სხვადასხვა მაგარი სასმელი. მაგრამ ადგილობრივი მომხარება საერთოდ შეზღუდული იყო. რაც შეეხება ექსპორტს, ქვეყნის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა საშუალოდ 30.000 ქილა სიმინდი, 18.000 ოყა ბრინჯი, 500 ოყა ყვითელი ცვილი, 10.000 ოყა თაფლი, 12.000 ოყა თეთრი თევზი, თხუთმეტითოედი თოფი სამი ტილოს ძაფი, ზეთი-ექვსი ტვირთი საშენი და საბოძი ხე-ტყე. ჯერ ომმა და ზავის დადების შემდეგ კი პროვინციიდან მოსახლეობის ემიგრაციამ დასცა ქვეყნის სა-

წარმოო ძალები და ბათუმის ექსპორტის დონემ 1878 წ. გაკირვებით მიაღწია წინა წლების დონის მიაღწელს. სამაგიეროდ ბათუმი კავკასიიდან და საზღვარგარეთიდან მოსახლეობის მოზღვაუებისა და რკინიგზის ხაზის მშენებლობის შედეგად დიდად გაიზარდა.* აი ინგლისის კონსულის ბ-ნ პეკოტის მიერ შეკრებილი ციფრები:

იმპორტი 1883 წ. — 40.000 გირვანქა სტერლინგი, 1884 წ. — 121.000 გირვანქა სტერლინგი.

აბრეშუმი, ბამბის ქსოვილი, შალეული, წმინდა შალის ქსოვილები (მუსლინი, ქისეა), სხვადასხვა დანები, სანოვავის კონსერვი, ასანთი და სხვ.

ექსპორტი 261.000 გირვანქა სტერლინგი, 1884 წ. — 905.000 გირვანქა სტერლინგი. დაუმუშავებელი დამარილებული ტყავი, ტყავი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, ნედლი აბრეშუმი, მარგანეცი, ნავთი, ნავთობი, მარცვლეული და

* რუსეთმა გააუქმა კომერციული შეღავათი ბათუმის ნავსადგურისა, რომელიც ბერლინის ხელშეკრულების 59 მუხლის ძალით გამოცხადებული იყო პორტო-ფრანკოდ.

იმპორტი — 1883 წ. ნახევარი მილიონი გირ-
ვანქა სტერლინგი, 1884 წ.—1.163.000 გირვანქა
სტერლინგი.

ტილო, ბამბის ქსოვილი, მიტკალი, ფესაც-
მელი, სხვადასხვა დანები, სამხედრო საჭურვე-

ლი, შაქარი, ჩაი, ფქვილი, მარილი, თამბაქო,
ქონის სანთელი და სხვ.

ექსპორტი — 1883 წ. 207.000 გირვანქა
სტერლინგი, 1884 წ.—389.000 გირვანქა სტერ-
ლინგი.

ტყავი, ბამბა, სიმინდი, ღვინო; ხილი; თამბა-
ქო.

ბათუმის ტბა

ქალაქის სამხრეთით ერთ ვერსნახევრის მან-
ძილზე თევზით ძალიან მდიდარი პატარა ტბა
მდებარეობს, რომელიც, ალბათ, ზღვის მოქცე-

ვამ და ჭოროხის მიერ ჩამოტანილმა შლამმა
წარმოშვა ისტორიულ ეპოქაში. ფიქრობენ ამ
ტბისა და ზღვის გაერთიანებას და დიდი მო-
ცულობის გამგებისათვის დოკების აშენებას.

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი

1. ტექსტშია „ბურუმ-თაბია“
2. აქ იგულისხმება ბარცხანის სიმაგრე, რომელიც მდ. ბარცხანის შესართავში მდებარეობს (მარჯვნივ). ცდება ქ. მურგი, როცა ამ ადგილს მდ. ბარცხანისა და ყარადერეს (ავტორისეული „ყარდერა“) შესაყარად ასახელებს. ყარადერე ანუ შავი წყალი ყოროლისწყლის შემდინარეა და ბარცხანას საკმაოდ შორავს.

3. ტექსტშია „კოროლისთავი“.
4. ეს შეხედულება საინტერესოა, თუმცა არ ჩანს რას ემყარება ავტორი. იგივე გაიმეორა ნ. დაიშვიჩმა 1890 წელს დაბეჭდილ ბროშურაში „ბათუმი“. ასეთი აზრი უსაფუძვლო არ არის. მას ესიტყვებიან და ამაგრებენ ბათუმის მიდამოებში აღმოჩენილი ძეგლები (ელისისტური ხანის აფორები, მონეტები და სხვ.).

5. ცდება ავტორი, ბათუმი არასოდეს ყოფილა კლარჯეთის შემადგენლობაში.

6. კახაბერ გურიელის დროს (გარდ. 1483 წ.) თურქები ასე შორს არ შემოჭრილან საქართველოს ფარგლებში. ავტორი აქ სიზუსტეს ვერ იცავს. ეს მხარე თურქებმა რამდენადმე მოგვიანებით, XVI საუკუნის 40-იან წლებში დაიპყრეს.

7. ტექსტშია: Livanie.

8. ავტორისეული „მუტესარიფი“ სწორი არ არის. ჩანს, ქ. მურგის ეს ტერმინი რუსული

ტრანსკრიპციით მოაქვს.

9. ტექსტშია: Kazap. „თორმეტი“ აქ მექანიკური შეცდომაა, უნდა იყოს „თერმეტი“, და შემდეგ არა კაზა, არამედ ნაპიე. ლაზისტანის სანჯაყი ხუთ კაზად (ბათუმი, აჭარა, ლივანა, ხოფა და ათინა) და თერმეტ ნაპიედ იყოფოდა.

10. ქ. მურიესელი „Matschakele“ ზუსტი არ არის.

11. ტექსტით „Kaimakan“.

12. ტექსტშია „Moudris“.

13. აშენდა 1865 წელს.

14. ავტორს ქართველებში არ შეჰყავს გურულები, იმერლები და ლაზები. ამ შემთხვევაში ქ. მურგი რაიმე გამოჩენილი როლია. ასეთივე შეცდომა ბევრ მეფისდროინდელ კალმოსანს მოხდოდა. საეჭვოა, ავტორისეული სტატისტიკის „603 თურქში“ რომ მართლაც ყველა თურქი ყოფილიყო. აქ უთუოდ მუსლიმანი ქართველები უნდა იგულისხმებოდეს. ამის ანალოგიებიც ხშირია. რა გასაკვირია, თუ ავტორებს, რომლებსაც იმერლების, ლაზებისა და გურულების ვინაობა არ ესმოდათ, შეცდომა დაეშვათ მუსლიმანი ქართველების ეროვნული კუთვნილების საკითხშიც.

15. ავტორი ცდება, არტანუჯი ლივანაში არ შედიოდა.



აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის შრომები

გამოქვეყნდა აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის „შრომების“ მეოთხე ტომი (რედაქტორი ხ. ახვლედიანი). თემატიკისა და შინაარსის მიხედვით იგი ფრიალ საინტერესოა.

გამოქვეყნებული შრომებიდან უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ვ. იაშვილის ნარკვევი „აჭარა VII-XVI საუკუნეებში“. მასში სათანადო დოკუმენტური მასალის საფუძველზე გადმოცემულია ამ საუკუნეთა აჭარის მოკლე პოლიტიკური ისტორია, ვრცლად არის აღწერილი აჭარაში შემონახული მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურის შესანიშნავი ძეგლები.

ვ. იაშვილს სწორად აქვს მოხაზული აჭარის ტერიტორიული საზღვრები, მათი ცვლილება, სოციალური წყობილება და ურთიერთობა, საერთოდ მესხეთის და, კერძოდ, აჭარის როლი ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, დამაჯერებლად არის აღწერილი უცხოელ დამპყრობთა ცდები აჭარის მიტაცებისათვის.

თურქთა შემოსევა აჭარაში იმ დროს მოხდა, როცა ფეოდალური საქართველო პოლიტიკური დაქვეითებისა და რღვევის გზაზე იდგა. მან მტრის ჯარბი ძალები საზღვართან ვერ შეაჩერა და უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა, რის შედეგადაც თურქეთმა აჭარა მიიტაცა და მას ექსპლოატაციის მიძიე უღელი დაადგა. მაგრამ თურქეთის იმპერიის მდგომარეობაც უარესდებოდა. ირანთან მარცხის გამო კიდევ უფრო მწვევდებოდა ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი, ღრმავდებოდა სოციალური წინააღმდეგობანი და შინაკლასობრივი ბრძოლა, დაპყრობილ ქვეყნებში ძლიერდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ეს მოვლენები ასახულია ისტორიის მეცნიერებათა კანდი-

დატის მ. სვანიძის ნარკვევში. ამავე ნარკვევში საქართველოს საგარეო ურთიერთობის ფონზე ახლებურად არის აგრეთვე გაშუქებული XVII საუკუნის აჭარის ისტორიის ზოგიერთი ძირითადი საკითხი.

მ. სვანიძე მდიდარი წყაროებისა და უცხოური ლიტერატურის საფუძველზე სწორად განიხილავს ირან-ოსმალეთის დაპირისპირებას საქართველოს საკითხში, გარკვეულ პერიოდში ქართველთა მიერ აღებული ოსმალური და ირანული კურსის საფუძველებს, ოსმალთა აგრესიის გაძლიერებას და მათ მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის, კერძოდ, აჭარის მიტაცებას და აქ ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის („ოსმალთა“) შემოღებას. ნაშრომში გაშუქებულია ის დიდი ბრძოლა, რასაც ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი ეწეოდა ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წინააღმდეგ თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის.

ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა აჭარის დაკარგვას და ყოველ ღონეს ხმარობდა მისი გამოსწისათვის. მაგრამ ამის რეალური შესაძლებლობა მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა. 1877 წლის აპრილში დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. ქართველმა ხალხმა ერთსულვნად დაუჭირა მხარი რუსეთის არმიას, რადგან ესმოდა, რომ ომში რუსეთის გამარჯვებას შედეგად მოჰყვებოდა ეროვნული ინტერესების განხორციელება — საქართველოს განუყრელი ნაწილის — აჭარის განთავისუფლება. ამ ომში ქართველთა მონაწილეობის შესახებ არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა, მაგრამ ქობულეთისა და გურუის რაზმების მონაწილეობა ყოველმხრივ შესწავლილი ღღემდე



არ ყოფილა. ამ ხარვეზს ავსებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნ. ჭეიშვილის ნაშრომი „ქობულეთისა და გურიის რაზმები აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“, რომელშიც ახალ საარქივო მასალებზე დაყრდნობით აღწერილია ამ რაზმების შექმნა, მათი ამოცანა და სამხრძოლო ოპერაციები.

საინტერესოა იროდიონ მალაზონიას ნაშრომი „ლუკა ასათიანის ცხოვრება და მოღვაწეობა ბათუმში“. როგორც ავტორი აღნიშნავს, ლ. ასათიანის მოღვაწეობის დროს ბათუმში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: განვითარდა სამარეწველო და კულტურული ცხოვრება, გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, ქალაქი უფრო კეთილმოწყობილი გახდა, გადაიდა პირველი ნაბიჯები აჭარის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების შესწავლისათვის.

შ. რუსთისა და ა. ქათამაძის ნარკვევებში სათანადოდ არის განხილული დანდალოს თაღიანი ქვის ხიდი, ციხე-კოშკი, კინტრიშის ხეობაში არსებული მატერიალური კულტურის ზოგიერთი ძეგლი და გამოთქმულია არაერთი საყურადღებო მოსაზრება.

საგულისხმოა ვ. გორგილაძის ნაშრომიც. ავტორს სამეცნიერო ლიტერატურაში პირველს შეუსწავლია აჭარაში საბჭოთა ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ვ. გორგილაძეს მოყვასი საინტერესო მონაცემები იმის გასაშუქებლად, თუ როგორ იქმნებოდა და ვითარდებოდა აჭარაში საკოლმეურნეო და კომერციული ვაჭრობა, უმჯობესდებოდა მომხმარებელთა მომსახურება.

საყურადღებო ცნობებია კ. ელიზბარაშვილისა და ს. ჩიხლაძის ნარკვევებში აჭარაში მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე, ამ საქმეში სკკპ 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დიდ როლზე.

„შრომების“ მეოთხე ტომს აქვს ნაკლი. დანდალოს ციხე-კოშკის აღწერის დროს, მაგალითად, მეკლევარია შ. რუსთიძე ერთმანეთის შენაცვლებით ხმარობს ციხე-კოშკსა და ციხე-სიმაგრეს (გვ. 22). სათანადოდ არ არის გამო-

კვეთილი საფორტიფიკაციო ნაგებობათა ტერმინები და კატეგორიები.

სხალთის ტაძრის დათარიღებისათვის მოტანილია ორი განსხვავებული მოსაზრება, მაგრამ რომელია სწორი, ამაზე ავტორი არაფერს ამბობს.

კინტრიშის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლების აღწერისას განხილული უნდა ყოფილიყო ეკლესია-ნასაყდრელების ტიპი, ფასადის დამუშავება, წყობის ხასიათი, სარკმელი ფორმები და ზომები. ავტორის ა. ქათამაძის აზრით, „ქ. კინტრიშის (ახლანდელი ქ. ქობულეთის) დაარსება... უნდა მომხდარიყო 1796-98 წლებში“ (გვ. 64). მცდარია ქობულეთის გავიგება კინტრიშთან და მისი დაარსების ავტორისეული დათარიღება. საკმარისია ითქვას, რომ ქობულეთის ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იხსენიებს იტალიელი არქანჯელო ლამბერტი, ხოლო მომდებარე ხანაში მას ეხებიან სხვა ავტორებიც (ოარდენი, ვ. ბაგრატიონი).

მესხური ქორწილის აღწერისას ნ. ბარათაშვილი მკაფიოდ გვიჩვენებს მესხური ქორწილის წესჩვეულებებს, ქალის მორთვა-გარეგნობას, დაქორწინებამდე ქალ-ვაჟთა ურთიერთობას, მშობლების დამოკიდებულებას. შვილების დაქორწინებაში მშობლების გადამწყვეტი ჩარევა ავტორს შეეძომით ხალხის გამუსლიმანების შედეგად მიანია. ეს მოკლენა გვაროვნული საზოგადოების გადმოწაშითა და იგი დამახასიათებელი იყო საქართველოს ყველა კუთხისათვის.

„შრომების“ მომავალი ტომის გამოცემისას სასურველია ყველა წერილს დაერთოს რეზიუმეები რუსულ ენაზე და თუ შესაძლებელია, ერთ-ერთ უცხო ენაზეც, მით უმეტეს, რომ ახლა ამგვარი შრომისადმი ინტერესს უცხოეთშიც იჩენენ.

ეს შენიშვნები, რა თქმა უნდა, არ ამცირებენ სარეცენზიო „შრომების“ მეოთხე ტომის ღირსებას. იგი აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერული კოლექტივის შემოქმედებითი ზრდის მკაფიო დადასტურებაა.

მ. ჯიჯიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

საბრძოლველი ლექსები

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობამ „ნაყადლუმა“ ახლახან გამოაქვეყნა პოეტ არჩილ გურჯიძის ლექსების წიგნი „ყველგან ჩემი სახლი“.

მრავალფეროვანი და საინტერესოა კრებულში შეტანილი ლექსების თემატიკა: ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერაშენება, გმი-

რი ვაჟიკების შეუპოვარი შემართება ვერაგი პიტერელი ავაზაკების წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში, კოლმეურნეების თავდადებული შრომა. სამშობლოს გულწრფელი სიყვარულის გრძნობითაა გაღებარი სტრიქონები:

ვაგათივე ნედლი ლერწამი,
გადიდე ჩემი მამული...!

მაღალებს ყრმობის დღეები,
დამნათის ყრმობის ლამაზი...
მაღალებს ჩემი ქვეყანა
და ჩემი ხალხი გამრჩელი.

პოეტი გატაცებით უმღერის საბჭოთა ახალ-
გაზრდობას. ეს მათ დასძრეს მთები, შეჰკრეს
შლეგი მდინარეები, დადგეს და დახვავეს ხორ-
ბლისა და სიმინდის მთები, აღმართეს ფაბრიკა-
ქარხნები, გააცოცხლეს დამაშრული ყამირი,
გასკრეს არხები, მორწყეს უდაბნო:

დღეს ასახელებს სამშობლო,
ხვალ ახალ ბჭეებს გასცდებით.
მოვასწროთ, ბევრი მოვასწროთ,
ვიდრე დაგებრიცადლებით.

არჩილ გუტჩიძეს კარგად ეხერხება ბუნების
გაცოცხლება. ეს იგრძნობა თითქმის ყველა
ლექსში და განსაკუთრებით კი იქ, სადაც პოე-
ტი აღწერს მშობლიურ სოფელს:

რძით გალობია კალთები,
უბე. მზითა და მწვანით,
შუბლით იალბუზს ეყრდნობა,
ცას მიბჯენია ბანით.

ესაა პატარა სოფელი, ტყის ლურჯი ნაქერი,
რომელსაც მუდამ ცისკრის შუქი და დილის
ლიმილი ადგია.

ბუნების ლირიკული სურათებია წარმოდგე-
ნილი ლექსებში „მთები“, „ხმლების ცისარტ-
ყელა“, „სოფელში“ და „მაისი“.

ბუნებრივია და დამახასიათებელიც, რომ ქუ-
თაისში მომუშავე პოეტის ლექსებში ხშირად
ისმის ამ ინდუსტრიული ქალაქის შრომის
ჰიმნი. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი „მაღლა-

კის ველო, დიადო“. მასში ნაჩვენებია, თუ რა
გორ შეიცვალა სახე ოდესღაც ხრიოკმა მაღ-
ლაკის ველმა. წინათ უსიცოცხლო ტიალ მინ-
დორზე მშრომელებმა სართულები აღმართეს
და შექმნეს ქართული ავტომობილის სამშო-
ბლო:

ხრიოკ მიდამოდ ქცეულო,
კავკასიონო ტაშირო,
ახლა სიცოცხლის სიმღერად,
თვალის საამოდ გაშლილო!

არჩილ გუტჩიძის ლექსებს ახასიათებს ნათე-
ლი გრძნობა, ხალასი განწყობილება. ამით იბ-
ყრობენ ისინი მკითხველის ყურადღებას. ამ
მხრივ კრებულში შეტანილი ნაწარმოებებიდან
გამოირჩევა ლექსები „ახალგაზრდობა“, „სიმ-
ღერა კომკავშირისა“, „გიზმობენ სკოლის ზარე-
ბი“, „ჩვენი სიმღერა“ და სხვ.

მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავს თითქოს
არჩილ გუტჩიძეს აღარ სჭირდება დაოსტატება.
მის ლექსებში ჯერ კიდევ გვხვდება დაუხვეწავი
სტრიქონები, ნედლი, დაუმუშავებელი ადგი-
ლები. ხშირად გვხვდება მარტივი რითმებიც.
რაც მთავარია, სინამდვილის ბევრი საინტერე-
სო მხარე მოითხოვს ავტორისაგან კიდევ უფრო
ღრმად და სრულყოფილად გამოხატვას.

არჩილ გუტჩიძის ლექსების ახალი კრებული
„ყველგან ჩემი სახლია“ იმის საწინდარია, რომ
ჩვენი სინამდვილის ღრმა შესწავლით, პოეტუ-
რი სახეების უფრო ოსტატური გამოკვეთით
პოეტი შექმნის დახვეწილ და სრულყოფილ ნა-
წარმოებებს.

პავლე ხმალამი.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XII 60 წ. საბეჭდი 6 (პირობითი 8), საგამომცემლო
7 თაბახი. შეკვეთის № 7272, ემ 00669, ქალაქის ზომა 70X108, ტირაჟი 2.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარბოლიგრაფსაშხართელოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Р. Люксембург, 22.

18-25/1
ფან 4 336.



ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
„Литератури Аджара“
ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ